გიორგი გიგაური

პიქტოგრაფიულ-ხაზოვანი დამწერლობის ნიშნები საქართველოში

რედაქტორი – **ქეთევან სოხაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი ქართველოლოგი

ტექნიკური რედაქტორი – **მაკა ბლიაძე**

მადლობა დავით გალეგაშვილს,
მანანა აბრამიშვილს და ქეთევან აბრამიშვილს
წიგნის გამოცემაში შეტანილი წვლილისათვის

ISBN 978-9941-27-465-7
© გიორგი გიგაური, 2017

წინათქმა

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ადრე გამოცემული მონოგრაფიის მეორე ნაწილს, რომელშიც საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის „ფარულ“ (დაფარულ) ნიშნებზე გვქონდა კვლევები. მასში წარმოდგენილი ქართველი და უცხოელი მეცნიერების ეთნოგრაფიული ნაშრომები და მოპოვებული ახალი ინფორმაცია, ვფიქრობთ, ეთნოკულტურისა და პალეოგრაფიის სპეციალისტებს დააინტერესებს. საქართველოს მთლიან ტერიტორიაზე და ისტორიულ ლაზეთში შემორჩენილი პიქტოგრაფიულ-ხაზოვანი ნიშნების აღწერა, რომელიც უძველეს ხალხთა კულტურას ასახავს. პალეოგრაფიის ნიშნები აშკარად უძველეს რწმენასაც უკავშირდება და მისი სწორი კვლევა პრინციპული და ძალიან საპასუხისმგებლოა. წიგნში ჩვენს მიერ გამოთქმული სხვადასხვა ვერსია რამდენჯერმეა გადამოწმებული და შეჯერებული სხვადასხვა სპეციალისტებთან.

ქართულ ეთნოკულტურაში შემორჩენილი წინარეანბანური დამწერლობის ნაშთები ბევრგან მეორადი გამოყენების ქვებზეა და მათი პასპორტიზაცია, შენარჩუნება და გადარჩენა მომავალი თაობებისთვის აუცილებელია. ჩვენი აზრით, დეკორში გადასული სიმბოლო-ნიშანი ინახავს უძველეს მოხაზულობას და მისი თავდაპირველი შინაარსის ამოცნობა ისევ ეთნოგრაფიული ინფორმაციით გახლავთ შესაძლებელი. ნიშნები მრავალმხრივაა საინტერესო: ემპირიული ცოდნა, რწმენითი ხაზი, ასტრალურ-კოსმოგონიურ-კოსმოლოგიურ წარმოდგენები და სხვა. აღსანიშნავია საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა საკულტო ობიექტებზე შემორჩენილი სიმბოლო-ნიშნები აპოტროფიულ-დეკორულ გაფორმებებში დაფიქსირებაც: ლიფანალის ნიშნები სვანეთიდან, ზედაშეს ღვინის ქვევრის სიმბოლები, ცხენებისა და საქონლის დამღები, ძველი დედაბოძებისა და კიდობნების ნიშან-ორნამენტები, ძველი საფლავის ქვები და სხვა. ნიშნების საერთო ხასიათი ასტრალურ-კოსმოლოგიურია, რომელიც ადგილობრივ რიტუალებთანაა კავშირში.

წიგნში შესულია წლების განმავლობაში მოპოვებული ეთნოგრაფიული ინფორმაცია და წერილები, რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ და სამეცნიერო ჟურნალებში იყო გამოცემული საქართველოსა თუ უცხოეთში. ასევე შევიტანეთ გამოუქვეყნებელი წერილი გრაკლიანის წარწერის შესახებ, რომელშიც ამ წარწერის ჩვენეული წაკითხვის ვერსია წარმოვადგინეთ. იგი მომდინარეობს ისევ ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი პალეოგრაფიული არტეფაქტებისა და

დეკორში გადასულ სიმბოლო-ორნამენტთა სახეწოდებებისგან. ქართველ-იბერიელთა (კოლხ-მესხთა) ძველი კულტურა, რაც ინფორმაციის გადაცემის ნიშნებს შეეხება, საერთაშორისო პალეოგრაფიული კულტურაში ქართველთა ჩართულობის მხრივაც საყურადღებოა.

წიგნის მთავარი დანიშნულება გახლავთ ინტერესი აღძრას უძველესი ქართული დამწერლობისა და ძველ ხალხთა ყოფა-ცხოვრების მიმართ. მომავალი თაობებისთვის ამ საკითხთა სწორად გადაცემა და მეცნიერული მიდგომა განსაზღვრავს მათი მნიშვნელობის სწორად შეცნობასა და დაფასებას.

შესავალი

საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის მატერიალური კულტურის ძეგლები და ეთნოგრაფია ადრიდანვე იქცევდა მკვლევართა ყურადღებას. ამ რეგიონში შემორჩენილი წინაქრისტიანული და ადრექრისტიანული საკულტო ძეგლები და რიტუალები ღრმად გვახედებს ქართულ-იბერიული ისტორიის ფესვებში. გამოცემულია ნაშრომები ავტორების: ვაჟა-ფშაველა, ნ. ურბნელი, დ. პავლიაშვილი, ვ. ბარდაველიძე, ბ. გაბური, ა. შანიძე, გ. ჩიტაია, ს. ბედუკაძე, ს. მაკალათია, ალ. ოჩიაური და სხვა. მკვლევარების აზრით, ტრადიციების საწყისი საღვთო წარმოდგენებიდან იღებდა სათავეს. ენათმეცნიერების, ისტორიკოსების, პალეოგრაფების, თეოლოგებისა და არქეოლოგების კვლევები მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სფეროს სხვადასხვანაირ მონაცემებს შეიცავს, საერთო აზრია, ამ რეგიონში შემორჩენილი ტრადიციული ფორმები უძველესია და მომავალში ფუნდამენტური კვლევები უნდა გაგრძელდეს და გაიზარდოს, რათა უძველესი ეთნოგრაფიული რიტუალების და წესების იდენტიფიცირება მოხდეს.

სხვადასხვა კვლევების ჩატარების შემდეგ საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის რეგიონი კვლავ იქცევს ჩვენს ყურადღებას. აქ შემორჩენილი ასტრალური ხასიათის პიქტოგრამები, რომელიც საკულტო ძეგლებშია და მთებზე ჯერჯერობით აუხსნელი დანიშნულების წრიული ნაგებობები, მოითხოვს ღრმა შესწავლას.

2008 წელს ამ რეგიონში შედგა ექსპედიცია და ჩატარდა კვლევა საკულტო ძეგლებზე და ამ ძეგლებთან არსებულ ციხე-კოშკებზე შემორჩენილი, მეორეული გამოყენების ქვებზე ამოჭრილ პიქტოგრამებთან დაკავშირებით. მოხდა უმეტესი ნაწილის პასპორტიზაცია, სისტემატიზაცია, ფოტოგრაფირება და მომზადდა შესაბამისი რუკები. ჩატარდა კონფერენცია (რუსთაველის საზოგადოების დარბაზი 20. 10. 2008) და გამოიცა კონფერენციის შრომები, „ფარული ნიშნები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“ (ავტ. გიორგი გიგაური. 2010 წ).

2012 წლის აგვისტოში ამავე რეგიონში ჩატარდა მოკლევადიანი საველე სამუშაოები, რომელიც მთებზე ჩადგმული ქვების („სამანის“ ქვების) და წრიული ნაგებობების აღწერასა და მათ კლასიფიკაციას ეხებოდა. მთა მტკიცედ ინახავდა და ნაწილობრივ დღემდე ინახავს უძველეს ტრადიციებს, მათ შორის საღვთო წარმოდგენები, წესრიგი. ხალხის ყოფა-ცხოვრება დამოკიდებული იყო წინაპართა გამოცდილი ცხოვრების წესზე. ამ რეგიონში გვხვდება მთებზე ჩადგმული ქვები და წრიული ყორე-ნაგებობები, რომელიც ზღვის დონიდან 2800-3000 მეტრზეა. მათი უმეტესობა ლანდშაფტთან მიმართ ერთნაირად განლაგებულია (სამხრეთითაა მი-

მართული). მათ შესახებ ზეპირი ინფორმაცია აღარ არსებობს. წრიული ნაგებობები ძირითადად ჩაშლილია და დარღვეულია. მათ შიგნით ზოგან, წაქცეული გრძელი ქვაც მოწმდება. ასევეა მთებზე ჩადგმული ქვა-სამნების მდგომარეობაც, მათგან ზოგიერთი სალოცავთანაა დაკავშირებული, მაგ. პირაქეთ ხევსურეთის სოფ: გველეთის 7 ქვა-სამანი, რომელიც „მთავარანგელოზის“ სალოცავის ტერიტორიაზეა. ქვა-სამნები მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად იყო ჩადგმული და მათი მდებარეობა ლანდშაფტთან მიმართაც ტრადიციული ჩანს.

2012 წელს კვლევა ჩავატარეთ ამ სალოცავის ფასადების აღსაწერად (გეოგრაფიული მდებარეობა) და ასევე დავადასტურეთ სალოცავის ნიშების ადგილები (მონაც. ძირითად ნაწილშია). ძველ სალოცავებში შემორჩენილი სკრიპტული ნიშნების გეოგრაფიული ადგილმდებარეობის განსაზღვრა და მათი მიმართება ადგილობრივ რიტუალურ წესებთან. წრიული ყორეების აღწერა და მათი საკულტო წარმოდგენასთან კავშირი. ძველი ხალხის ცოდნა – წარმოდგენების გახსნა ახალ სიტყვას იტყვის ასტრონომიული ცოდნის შესახებ.

ასტრალური სიმბოლოების ტრადიცია მოდიოდა უხსოვარი დროიდან და მათი ჩართულობა ხალხური საკულტო დღეობების დროს ერთ-ერთი მთავარი საკვლევი მასალაა. საკულტო ძეგლებზე, ტანისამოსზე , სახლის ინტერიერში, პურ-საწირებზე, სამეურნეო და საბრძოლო იარაღებზე ხშირად ვხვდებით ასტრალურ სიმბოლოებს, რომელთაც ძველ ქართულად „ღვთაებრივი“ ნიშნები ეწოდებოდა. ყოველი ნიშან-სიმბოლო მეორდება (სისტემურია) სხვადასხვა სოფელში და სხვადასხვა ობიექტზე. მათ შორისა სპირალური, გასხივებული და წრიული პიქტოგრამები და სხვა გეომეტრიული ფიგურები. ჩვენი კვლევის ობიექტს შეადგენს ადგილობრივ ქართულ დიალექტურ (ფხოური) ენაში შემონახული ისეთი სახელწოდებები და ტერმინები, რომელიც ასტრალურ ხასიათს შეესაბამება. მათ არქაულ სემანტიკას წარმოაჩენს და რწმენითი საფუძველიც შერჩენილი აქვს. მკვლევართა ზოგადი მოსაზრებები ასეთ საკითხთა მიმართ 1920-იანი წლებიდანაა ცნობილი. ამ ნაშრომთა, თანამედროვე გამოცდილების კვლევებთან შედარება დღეს აქტუალურია. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საკულტო ძეგლების და ასტრალური (ღვთაებრივი) სიმბოლოების შედარება, საერთო ძველქართული მატერიალურ კულტურის ძეგლების სიმბოლოებთან საინტერესოა, მათ შორის ქართული დარბაზის დედაბოძის ორნამენტებთან, რომელიც ცნობილია X-XI საუკუნის ნიმუშებით [1. 16.], [23].

პიქტოგრაფიული ნიშნებისა და კოსმოლოგიური ცოდნის კვალი ქართულ სამყაროში

სხვადასხვა კულტურაში ინდივიდუალურად ვითარდებოდა ინფორმაციის გადასაცემი ხერხები და საშუალებები. უძველესი დამწერლობა შეიქმნა შუამდინარეთში, ინდოეთში, ეგვიპტეში და ხმელთაშუა ზღვისპირეთში. იმდროინდელი ეკონომიური განვითარებისთვის დამახასიათებელი სიმბოლო-ნიშნები, რომელიც სტილიზირებული სახით მოცემულია სისტემური დამწერლობის ნიშნებში, ასახავს ძველი ხალხის რწმენა-წარმოდგენებს და გარემოს აღთქმის ღირებულებას. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში ეთნოგრაფიული კვლევებით ბევრი საინტერესო მასალა გამოვლინდა, მათ შორის, დეკორული და ინფორმაციის გადასაცემი სიმბოლო-ნიშნებია. მათი ნაწილი აპოტროფიული დანიშნულებისაა. გეომეტრიულ ორნამენტებთან დაკავშირებით ბევრი ქართველი მკვლევარი მუშაობდა, მათ შორის: რ. შემერლინგი, გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, ირ. სურგულაძე და სხვა. ყველა აღიარებს, რომ „გეომეტრიული ორნემენტები საქართველოში ოდითგანვე იყო გავრცელებული“ [8.]. პიქტოგრამების მიმართ სპეციალური გამოკვლევა და ყურადღების მიქცევა გვიან მოხდა, უმეტესად, აღწერითი ფორმით გამოვიდა მონოგრაფია ქართულ-ინგლისურ ენაზე „ფარული ნიშნები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“ 2010 ავტ. გ. გიგაური. დღევანდელი მონაცემებით დაფიქსირებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ხევსურეთი, თუშეთი, ფშავი, ხევი) 165 ნიშნიანი ქვა, რომლებზეც 900-ზე მეტი ერთეული გამოსახულებაა ამოჭრილი. ძირითადად 40-45 სიმბოლო-ნიშანია და აქედან განმეორადი 20-ზე მეტი ნიშანია. ფიქსირდება ლიგატურა (გაერთებული) გამოსახულებები. პიქტოგრაფიული ან სკრიპტროგრამული (ფარული ნიშანი) ნიშნები მსგავსია ფშავ-ხევსურულ-თუშური გეომეტრიულ-დეკორულ ორნამენტებთან, რომელიც ცნობილია თავისივე სახელწოდებებით. პიქტოგრამებში წამყვანია ასტრალური ხასიათის სიმბოლო-ნიშნები (იხ. სურ 1).

ფარულ ნიშნებში ძირითადად ასტრალური („ღვთაებრივი“ ხალხური გადმ.) ხასიათის ფიგურებია და მათი მხატვრული ხასიათი მსგავსი, ქართული დარბაზის დედაბოძის ორნამენტებთან და დასავლეთ საქართველოს სარიტუალო (ლიფანალურ) სიმბოლებთანაც. ასევე „ზედაშეს“ ღვინის ქვევრის სიმბოლო-ორნამენტებთან. 2012 წლის მონაცემებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ძირითადი ასტრალური პიქტოგრაფიული სიმბოლო-ნიშნის რაოდენობა (ქვაზე ამოკვეთილი) 4 ათეულ აღემატება. ძირითადი ფიგურები გეომეტრიულია და მათი უმეტესობა დეკორულ ორნამენტებშიც დღემდე გამოიყენება, ტანისამოსზე, ფარდაგებზე, ხის მხატვრულ დამუშავებაში. სალოცავებთან დაკავშირებულ ციხე-კოშკებზე

პიქტოგრაფიული ღვთაებრივი სიმბოლოებია შემორჩენილი, რომელთაც პროფესიონალური კვლევა-ძიება ესაჭიროება. ხევსურეთში პიქტოგრაფიულ ნიშნებში დაფიქსირებულია უძველესი სიმბოლოს „მზის ნავის“ მსგავსი გამოსახულება სოფ: კისტანის ციხის მეორადი გამოყენების ქვის ზედაპირზე [19. 69]. ციხის ქვები ჩამოტანილია უფრო ძველი ნასოფლარიდან „ზეზეიჯედან“, როგორც ადგილობრივი გადმოცემა გვეუბნება. აქაა „საკვირაოს“ გორი, რომელზეც ნაყოფიერების ძველი სალოცავი არსებობდა. დღეს სალოცავი „ღვთისმშობლის“ სახელობისაა და ტრადიციული რიტუალები სრულდება. ასეთი გამოსახულება სხვაგან არსად შეგვხვედრია და ვფიქრობთ იგი ლოკალური სიმბოლოა. აღნიშნული ქვა ათანდილათ ციხის სამხრეთის კედელზეა, სარკმლის გვერდით ჩატანებული (დახ.ზომ: 60X80 სმ). იხ. სურ. 2. „ზეციური ნავი“, „ღმერთების ნავი“, „მზის ნავი“ [24]. ასეთი სახელწოდებით იცნობენ, უძველეს მსგავს, შუამდინარეთულ გამოსახულებას. ჩვენ გამოვყოფთ ყველაზე სპეციფიკურ ნიშანს. ხევსურეთის ჭალაისოფელში „კარატის“ სალოცავის შიგნით „კამალას“ (სალოცავის ყველაზე მთავარი და საკრალურად დაცული ადგილია) ქვეშ (სამხრეთის კედელთან) დავაფიქსირეთ მითოლოგიური „ქადაგი ქალის, მინანის ქვა-ტაბლა“ (როგორც მას ადგილობრივმა ხუცესმა იმედა ლიქოკელმა (70წ) უწოდა). ამ ქვაზე (ზომ: 100X40 სმ) (იხ. სურ. 3) გეომეტრიული ასტრალური ნიშანია, რომელიც მეორდება სხვაგანაც.

ასეთივე ნიშანი, სხვა განმეორებად ფიგურებთან ერთად გვხვდება. ამავე ხეობაში სხვა სალოცავის („იახსარი“) კედელშია ძველი ქვა. (იხ. სურ. 4) მსგავსი ნიშანი უკვე რამდენიმე წრით თუშეთის სოფ: ფარსმის სალოცავის ტერიტორიაზეა დაცული (იხ. სურ. 5).

დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, სვანეთში ზემოთ აღნიშნული პიქტოგრაფიული ნიშნების მსგავსი (სისტემურია) ნიშები გვხვდება ქვებზე ამოკვეთილი, მაგ. სოფ. იფხის ეკლესიის სამხრეთ ფასადზეა სამი წერტილიანი წრე, ხელების გამოსახულებები და სხვადასხვა ფიგურები. ასევე სვანეთის არქეოლოგიურ ნივთებშია (ცაიშის ძვ.წ. 2 ს. ქვა-ამულეტები. დაც. სვანეთის მუზეუმში), პიქტოგრაფიულ-ხაზოვანი დამწერლობის ამსახველი მსგავსი გამოსახულებები. სვანეთში სიმბოლოებიანი, მრგვალი გახვრეტილი ქვები ბევრია აღმოჩენილი, რომელიც თავის დროზე არა მარტო ინფორმაციის მატარებელი იყო, არამედ, ნივთს ფუნქციური დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა.

პირაქეთ ხევსურეთის სოფ: ბლოს „მუხის წმიდა გიორგის“ სალოცავის დარბაზის კართან დავაფიქსირეთ პიქტოგრამებიანი ქვა-სკამი, ზომ. 100X45 სმ. (შესაძლოა ძველი სატრაპეზო ქვაც იყო). (იხ. სურ. 6 და ჩანახატი სურ. 7) ქვის გვერდზე 5 ერთეული სიმბოლო-ნიშნებია. ერთ-ერთი აშკარად ასტრალური ნიშანია და მეორდება არღუნის ხეობის პიქტოგრამებში. ასევეა თუშეთის სოფ: დართლოს პიქტოგრამები და სკრიპტები (ფარული ნიშნები), მაგ: ერთ-ერთი საბერო სახლის კედელ-

ში ჩატანებული, მეორადი გამოყენების ქვა, რომელზეც ასტრალური გამოსახულებებია. იხ. სურ. 8.

ცალკე აღნიშვნის ღირსია „ბორჯღალოს" მსგავსი სკრიპტოგრამა, რომელიც ხელების გამოსახულებების გვერდითაა ამოჭრილი და იგი ხევსურეთის სოფ: ჭეჭყეთის ციხის ტერიტორიაზეა (ქვის ზომ. 50 X 35 სმ. იხ. სურ. 9).

თუშეთის სოფ: დანოს ციხის ქვაზეა ბოლოებმოხრილი ჯვარი და ხუთი სხვა ნიშანია გარშემო. აქაც ასტრალური ხასიათის სიმბოლოებია.

ცენტრალური ფიგურა სხვა სიმბოლო-ნიშნებს აერთიანებს. (ქვის ზომებია: 65 X45 სმ. იხ. სურ. 10).

ინფორმაციის გადმომცემი ასეთი პიქტოგრამები თუ იდეოგრამები ცნობილია მსოფლიოს ძველ ხალხთა კულტურაში. ძველი დამწერლობის მკვლევარები, დამწერლობის თავწყაროდ სწორედ ასტრალურ-გეომეტრიულ სიმბოლოებს მიიჩნევდნენ, რომელმაც ადგილი დაუთმო სამინათმოქმედო დანიშნულების გამომხატველ სტილიზირებულ ნიშნებს [21]. ქართული „ღვთაებრივი" (ასტრალური) სიმბოლო-ნიშნების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ბუნებრივია ჩნდება კითხვა: „გვქონდა თუ არა, ძველ საქართველოში ასტრონომიული ცოდნა ან მსგავსი წარმოდგენა?", რა მემკვიდრეობაა შემორჩენილი დღემდე? როგორც მატერიალური ძეგლების სახით, ისე ზეპირსიტყვიერებაში.

„საქართველოში როგორც სამიწათმოქმედო კულტურის ერთ-ერთ უძველეს ქვეყანაში ცაზე და ვარსკვლავებზე დაკვირვების ტრადიცია ძველთაგანვე იყო განვითარებული". „ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ შემოღებულ რომაულ წელთაღრიცხვამდე ქართველებს თავისი ასტრონომიული წესით გამართული წელთაღრიცხვაც ჰქონდათ" [10]. წერილობით წყაროებში შემონახული მდიდარი ტერმინოლოგია და ხალხურ სიტყვიერებაში არსებული სახელწოდებები დასტურდება. ე.წ. „მემარგეთა" საქმიანობაში განსწავლული კადრების არსებობა და მათი საქმიანობა, „ცის მარაგის", „მარაგიანი ცა", „მარაგით ზრახვა" და სხვა ტერმინები გვიანობამდე შემორჩენილა ქართულ ენაში [10]. ძველ საქართველოში „მზის კალენდრის" არსებობა დასტურდება, რომლის წარმომავლობა მკვლევარებისთვის არაა ბოლომდე ამოხსნილი [15]. ეთნოგრაფიულ ყოფაში არქაული ნაშთებია მხოლოდ შემორჩენილი. ყოველივე ამის აღნიშვნის კვალდაკვალ საჭირო გახდა კვლევა და ადრე ჩატარებული ძიების შედეგების შეჯამება.

პირაქეთ ხევსურეთში (არაგვის ხეობა), ფშავში, თუშეთში, ხევში ხშირად გვხვდება „ქვა-სამნები" და წრიული ყორეები მთის წვერებზე. მაგ. ხევში სოფ: სნოს მთაზე ცნობილია 3000 მ-ზე „სპათანგელოზის" სალოცავი და სამანის ქვა.

ასეთი ადგილი ძველად, ბრძოლისთვის მოსამზადებლად და რწმენისთვის აქტიური დადებითი ენერგიის მიმნიჭებლად მიაჩნიათ (იხ. სურ. 11).


2012 წლის აგვისტოს თვეში ხევსურეთში მოვინახულეთ ერთ-ერთი ასეთი „მზის ბუდე“, როგორც მას უწოდებდნენ ძველად. იგი ლიქოკის ხეობის ზემოთ საქარის მთაზეა და თითქმის ჩანგრეული დაგვიხვდა. ადგილობრივი მცხოვრების (დავით ლიქოკელი 48 წ) ინფორმაციით, წრიული ყორე ადრე მაღალი იყო, ხოლო მოგვიანებით საქონლის მწყემსებმა იგი ნაწილობრივ დაშალეს. ძველი ჩანაწერებით არსებობდა „მზის ბუდეები“[10]. წრიული ყორეები შემორჩენილია ტანიეს ხეობაში „სახარის ღელე“, „ფშანთ მაღალი“, „ზეთუკის მაღალი“, „ბლო-ხადუს“ გადასავალი, სოფ: ბლოში „მზისბუდის“ გორი, სოფ. ჯუთაში „ღალანგურის“ ნიშთან, კუჭისთავის გორზე, სოფ. კაწალხევთან, ფუნდუკის მთაზე და სხვა. „ხევსურეთში წლის დროთა აღრიცხვა წარმოებდა სოფლების აღმოსავლეთ მხარეს მწვერვალებზე აღმართული ქვის სვეტთა ჯგუფების ე.წ. „მზის ბუდეების“ საშუალებით, რომლებზეც პირველად ამოსული მზის დისკოს მოხვედრისა და თანდათანობით მორიგ ბუდეზე გადანაცვლების ადგილის მიხედვით დგინდებოდა: თვე, სეზონი, წლის დასასრული, წლის დასაწყისი თუ სამიწათმოქმედო-სამეურნეო საქმიანობისთვის განკუთვნილი ესა თუ ის მნიშვნელოვანი თარიღი“ [10].

აღნიშნული „მზის ბუდე“ საქარის მთაზე ზღვის დონიდან 2800 მეტრზეა და შიგნით ნაქცეული გრძელი ქვაც ფიქსირდება. წრის დიამეტრი 1.80 სმ-ია, შუაში ჩადგმული გრძელი ქვა (მენჰირი), მიწის ზედაპირიდან 1.60 სმ-ია. ქვის წყობა გადმოცემით 70-სმ იყო, ნაწილი ჩანგრეულია. იხ.სურ. 12.

ქვის ყორე და შუაში გრძელი ქვა, სწორედ ცის მნათობებზე დაკვირვებისთვის იყო განკუთვნილი. ქვა-სამანი ლიქოკის ხეობაში კიდევ სხვაც ფიქსირდება, იგი მთაზე „კარატის“ სალოცავის გზაზეა. მნიშვნელოვანი ამბის გადმოცემა და მნათობებზე დაკვირვება ერთი და იგივე ობიექტის საშუალებით დაკავშირებული იყო რწმენასთან, ამიტომ სალოცავებთან ხშირად შემორჩენილა ასეთი ქვა-სამნები. მაგ: პირაქეთ ხევსურეთის სოფ: გველეთის სალოცავის ტერიტორიაზე ასეთ მიწაში 7 ქვა-სამანია ჩადგმული. ქვები სიმაღლით 1.80 სმ-ია, სიბრტყით 30-40 სმ, სისქით 8-10 სმ. ქვები სამხრეთისკენ მომართულად დგანან. წრიული ნაგებობა ფიქსირდება ფშავში, სოფ: მაღალოსკარის სალოცავის მთაზე. სალოცავი „პირიმზის“ დედა-ღვთისმშობლის სახელობისაა. მზის და ცის თაყვანისცემასთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა დასავლეთ საქართველოში არსებული ხალხური წარმოდგენები და გადმოცემებიც [16]. ნაყოფიერებასთან ან მზის საპატივსაცემოდ აშენებული წრიული ქვის ნაგებობები და სალოცავები ურთიერთკავშირშია (ინფორმ. ვაჟა თურმანაული. ფშავი. სოფ: ხილიანი. პედაგოგი). წრიული ნაგებობის ნაშთებია თუშეთში, სოფ: შენაქოსთან (შტაყოს გორზე, 1 ს. არქეოლ. რ. დოლაბერიძე) და სოფ: ბოჭორმის თავზე მთის წვერზე (ინფორ. ნ. იდოიძე ეთნოგრაფი-ისტორიკოსი), ასევე დასავლეთ საქართველოში, მაგ. ხვამლის მთაზე და სხვა. ქართულ წერილობით ძეგლებში ხშირად ფიქსირდება „მზის ბუდობა“ და „მზის სახლად შეს-

ვლა“, მაგ. „გაიყარნეს, ყმა წავიდა სახლად ჩადგეს მზისა წვერნი“ [2. 770]. დროის გასარკვევად, ცაზე დაკვირვების საინტერესო ფაქტია ასევე „ვეფხისტყაოსნის“ ადგილი „ზედ წაადგა, შეექცევის, დროთა დღეთა ანგარიშობს, თვენი ესხნეს ორანიღა, ამას სულთქვამს, ამად იშობს“ [2. 185]. მზის ამოსვლის თუ სახლად ჩასვლის შინაარსით ხშირადაა მინიშნება ფოლკლორულ მასალებშიც. ხევსურეთის მზის ბუდეების მიმართ ამბობენ: „აქ მზე რიგრიგობით ბუდობს მზის ბუდეებში, რომელიც ხელოვნურად ნაგებ ქვის სვეტების წყობას წარმოადგენს“ [10]. მზე-მთვარის შუქ-ჩრდილების დაკვირვების გარდა საფიქრებელია, ვარსკვლავებზეც დაკვირვების აღმნიშვნელი ძველი გამოთქმაც: „ცას ჭვრიტს გაღგდებს“ [14. 1105]. „ჭვრეტს“ – დიდი ხნით დააკვირდება, ასეთი განმარტება აქვს დაფიქსირებული ს. საბას თავის ლექსიკონში. „ჭორტი“ და „ქვაკაცი“ ს. საბას სინონიმებად მიაჩნია, ჭორტი“ – ქვაკაცაი აგებული ნიშნად [4]. ხევსურულ საკულტო ტექსტებში რამდენიმეგან ნახსენებია მზეს შედარებული ღვთაება, მაგ. „მზის მყოლი ანგელოზი“, „მზეი მამარწყვილებულა“ [11. 14].

მზე და მთვარეზე დასაკვირებელ ობიექტებად ჩანს ჩრდილო კავკასიაში შემორჩენილი, კერძოდ, ხამხის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია ქვის სვეტებად აგება. მას სახელწოდებაც „ჩურტი“ ჰქვია და ადგილობრივები მემორიალურ ძეგლებად იცნობენ. ძეგლის სიმაღლე 2.50 მ-ია. [23], იხ. სურ. 13. ნაგებობის ძირში კლდის გაყოლებაზე პატარა ღრმულები შეინიშნებოდა, ანუ მზის და ციური მნათობების მოსანიშნავი ადგილები. კავკასიურ „ჩურტს“ ჯვრის ფორმები აქვს საფუძველშივე და თავის დაბოლოებამდე ასევე გრძელდება („ჩურტი“ და „ჭორტი“ სახელწოდებებიც საინტერესო მსგავსებას ამჟღავნებს (ავტ. გ.გ). სამხრეთ საქართველოშიც ბევრგან შემორჩენილა „ქვა-კაცები“, რომელთა განლაგებაც მომავალში გამოსაკვლევია. ხევსურეთში მთვარეზე დაკვირვებისთვის კი „გალს“ იყენებდნენ, რომელიც დღეს, აბრეშუმის ფერადი ძაფების შესანახად შემორჩა. (ხევს. სოფ. კისტანი გ. ჭინჭარაული 85 წ. 2004 წლის ჩანაწ.).



აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემორჩენილია ასევე ციხე-კოშკებში და ზოგიერთ საცხოვრებელ სახლის ფასადზე ჰორიზონტალური „მზის საათი“ მსგავსი ქვები. ერთ-ერთი ასეთი „მზის საათი“ დავაფიქსირეთ თუშეთის სოფ: ინდურთას ერთ-ერთ სახლის ფასადზე. გრძელი ქვა, რომელიც ჰორიზონტა-

ლურად გამოდის (60 სმ.) სამხრეთის კედლიდან, მიწის ზედაპირიდან 2.80 სმ. ქვის წვერზე სიმბოლოც არის ამოჭრილი (იხ. სურ. 14).

ხალხური ჰორიზონტალურ-ჭორტიანი მზის საათები ხშირად იყო საქართველოში, ძირითადად სამხრეთ კედლებზე. ისინი არა მარტო დღის პერიოდს, არამედ სეზონის დადგომასაც აღნიშნავდნენ. ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომ ეს ტრადიცია გადმოვიდა ადრექრისტიანულ ტაძრებზე, მაგ. სვეტიცხოველზე, გელათზე, ფოკაზე, ანანურის ტაძარზე. სვეტიცხოველის ტაძრის (11 ს.) გუმბათის ზედაპირზე ფიქსირდება მაცხოვრის ბარელიეფი, რომელსაც ხელში წიგნი უკავია და წიგნზე წრეებია გამოსახული. ეს უკანასკნელი ძალიან ჰგავს ძველ ბერძნულ ანტიკიტერულ მექანიზმის გამოსახულებასაც. ე.წ. საათის არქეტიპს, რომელსაც იკვლევდა დე სოლა პრეისი. დროის და პერიოდის საზომი ხელსაწყოები საღვთო ცოდნასთან იგივდებოდა ძველ დროს (იხ. სურ. 15). „მზის ბუდეების“ მსგავსი ფორმაა ქართული დარბაზის „ერდო“, რომელიც დედაბოძთან ერთად ძველად საკულტო ობიექტი იყო. ერდოდან ჩამოსული მზის სხივი, დაცემული დარბაზის ერდოს გვირგვინზე, ამა თუ იმ დროს და სეზონს აღნიშნავდა. იხ. ქართული დარბაზის ერდოს ჩანახატი და ფოტო (სურ. 16 და სურ. 17).

ხევსურეთში ჩაწერილია და კიდევ ახსოვთ „ცისკრის ვარსკვლავის“ მოძრაობაზე დაკვირვების შესახებ ხალხური გადმოცემები. იცოდნენ „მოძრავი მასკვლავნი“ და „უძრავი მასკვლავნი“. ასევეა მთვარის ფაზების მიმართაც დაკვირვებები, სხვადასხვა სამშენებლო და სამეურნეო სამუშაოები დაკავშირებული იყო მნათობთა პერიოდებზე, მაგ. სავსე მთვარეობას იცოდნენ სახლის სახურავის „ბანის დაგება“ გაკეთება, ამ დროს სახურავი „წყალს არ უშვებსო“. აგრეთვე საინტერესოა, „წელწადს“ (ახალწელს) „ბედის კვერების“ შეგორება სახლის კარებიდან. სწორედ „ბედის კვერებზე“ საჭვრეთილით დაჭვრეთილი ასტრალური (ღვთაებრივი) სიმბოლოებია საინტერესო (იხ. სურ. 18. 19). ძველი საჭვრეთლები ეთნოგრაფიული მუზეუმიდან (ბარისახო), (იხ. სურ. 20). სალოცავის კარი და სარკმელი ხშირად იყო შემკული ასეთი სიმბოლოებით. „კარი“ საკრალურია და დიდი მნიშვნელობაც ენიჭებოდა ძველი დროიდან. მთაში ჰაერი გაცილებით გამჭვირვალეა და გაცილებით ბევრი ვარსკვლავიც ჩანს. ვარსკვლავთა სახელწოდებებია: „ცისკრის ვარსკვლავი“, „შუქურ ვარსკვლავი“, „ქარავნის ვარსკვლავი“, „ხარის ნამუხლარი“, „ირმის ნახტომი“, „საბედო ვარსკვლავი“, „შვიდმოქცევის ვარსკვლავი“, „ვარსკვლავთ სამშვილდე“, „ძაღლი ვარსკვლავი“, „მორბედი“(გიგანტი), „მასკვლავკუდედი“, „თაგდირი“, „იკვლივი“, „კონდიო“ [4], „მოხურა“, „საკალოე მასკვლავი“, „სულთოხანი“, „მეშველნი“, „მესახლენი“, „მრავალანი“, „ბევრანი“, „წერილანი“, „ბუწვაი“, „ქუჩილანი“, „უღელანი“ (ტყუპა ვარსკვლავნი), „ჭყიტა“ (ჩრდილ. ვარსკ.), „ჭყრიალა“, „ჭყლუტა მასკვლავი“, „მასკვლავთ ბრუტი“, „მასკვლავთ საჩინო“, „მასკვლავის საბნელოს შაჯდომა“, „ბორიო მასკვლავი“, „სულთოხათ მამყოლნი“, „წერი-


ლათ მამყოლნი" „ჭიჭიტანი", „ტაბლისფეხანი" – სამვარსკვლავიანი ხომლი [14]„ ხარგუთნეულის დედისა", „ხარის ქურდები", „ბალახის ვარსკვლავი", „ძაღლის მამყოლი ვასკვლავი"[10], „მოსვლის ვარსკვლავი" და სხვა. ცალკეა ცის სახელთან დაკავშირებული უამრავი სახელწოდებები, მათ შორის ხევსურულ ლოცვაში სოფ: ატაბეში („კვირიას" სახ. სალოცავი) ჩაწერილი ტექსტი, სადაც „ღვთის კარი" და „ცის კარი" მონაცვლეობით იხსენიება [13]. ხევსურული ლექსიკონით „ცათ ჩამახურვა" – ესაა უდიდესი უბედურება, ყველაფრის სიკვდილი. „ცანი იხურებიან" – დიდი უბედურება მოდის. „ცათკარი" – უამრავს, ბევრს ნიშნავს ფხოურ დიალექტზე [14]. „ჩემი ბედის ვარსკვლავი" – ადამიანის ბედსთან, დაბადებასთან, სიცოცხლესთან, სიკვდილსთან ანალოგიურად წარმოიდგენდა ვარსკვლავის ბედსაც ძველი ქართველი. „ვარსკვლავ ჩამადის" – კარგი ვაჟკაცის სიკვდილია. ს. საბას ლექსიკონში ცა უსაზღვრო არ არის. საბას სიტყვით რომ ვთქვათ, გარშემოუწერელი, ე.ი. უსაზღვრო მხოლოდ ღმერთია. სალოცავებში ხშირად ცენტრალურ ადგილს „მზის კარი" ჰქვიან და იგივე კვრივია შეუვალი თუშეთ-ფშავ-ხევსურეთში. „პირიმზის" სალოცავები რამდენიმე ადგილას, მათ შორის აღსანიშნავია პირაქეთ ხევსურეთის სოფ; ჩირდილის მაღლა მთაზე ძველი სათაყვანებელი „ღვთისმშობლის" ადგილი. ამავე სოფელშია ქვევით „სამკიბლური" („სამკიბალ წმიდა გიორგი"). „ადგილის დედის" სალოცავი სახელწოდება ხშირად შერწყმულია „წმიდა გიორგის" სახელობის სალოცავს. მკვლევარების მიერ გამოთქმულია აზრი, რომ ძველ ქართული მიწის „დედა ღვთაება" ქრისტიანულ „წმ. გიორგისთან" შეიძლება იყო კავშირში („გიმ" – „მიწა" სვანური ენის ჩოლურ დიალექტზე), [9]. „მზე" – კეთილის, ღვთაებრივის სინონიმია ენობრივ მონაცემებში და აქედან „მზე მამსწვრალ ეშმა" (დაჭერილი ეშმაკი), ხევსურულ ლექსიკონში ბოროტის „გამჩერებელია" და შემაკავებელია [14]. „მზით ყოფას" დალოცავდნენ ახალ დაბადებულ ბავშვის ბედსაც და ახალ აშენებულ სახლსაც ასეთ სიკეთს უსურვებდნენ ძველ საქართველოში. მხრებზე და ბეჭებზე მზის, მთვარის გამოსახვა ქართულ მითიურ პერსონაჟებთან ხშირად გვხვდება, მაგ. ამირანის ეპოსი. ხევსურეთში „ნაწილიან" თორღვას ჰქონდა მზე და მთვარე მხრებზე გამოსახული და ამით მის „ღვთაებრიობას" თითქოს წარმოაჩენდა: „ბეჭებს უნახეს ჯვარიო, მარჯვნივ მზე წერებულიყო, მარცხნისკე მთვარის ნალიო" [12.120].

ფხოურ დიალექტში, კერძოდ ხევსურულშია „ორჯელ ცათ ჩამოხურვილი", „სამჯერ ცათ ჩამოხურვა" (ყველაფრის სიკვდილი) გამოთქმები. ცის სახელი უკავშირდება კარს, ბევრს, მოძრაობას და სიარულს: მაგ. „ცაკვალა" (რთული გზა იარა), „ცის კარუზა" (უაზროდ მავალი), „ცადენა" (სიარული), „ცანცრაკი" (უჩვეულოდ სიარული), „ციბრუტი" (ტრიალი), „ცარაბუა" (ტარაბუად რტიალებს), „ცამცამი" (ციმციმი), „ცამცუმი" (სახელი), „ტატანი" – ცის კიდური, „მარაგიანი ცა", „ცისკართ გახმა" (უცხო ნათება ცაზე), „ცარვალი", „ცისგიდელი", „ცალგანი" (ერ-

თპირი), „ცალია“ (მარტო), „ცის წინწელი“, „ცაბაურა“(მთის სახელია), „მეტოცა“-(ცაზე მეტი), „ცადალი“ , „ცანდი“ (უღლის ნაწილია), „ცახე“ (ოკრობოკრო) , „ცაგანი“ (ქუდის ზედა ნაწილი), „ცარგი“ (ხელსაწყოა), „გორგოცა“, „ცაკურა“, „ცალბია“ (სახელებია), „ლულუცა“ (წაგრძელებულ სახიანი), „ზეთა ცათანი“, „მეტოცალი“ [14], „კვრეცა, „ტკეცა“, „ცარვა“, ცანდალი“ (შანდალი), „ცანცრახი“ (ჩქარი სიარული), „ცანი ცადანი“ (მონაცვლე ცა), „ციქუა“ (მოციქული), „ცახი“ (მზის შუქზე ჩრდილი), „ცანდარი“ (კანაფის ბლაგები), „ცანკვილი“ (კენტი), (ს.საბა), „ცაახე“ მზის შუქი), „ცარეკლი“, „ცის კიდე“, „ცარაფი“ „ცაში შახდომა“ (ამპარტავნება), „ცალბიაკ“ [14], „ცადალია“, „ცისად ცისად“, „ცის ზომელობა“ და სხვა. ქართული ხალხური გადმოცემით არსებობს ცხრა ცა და მათი სახელწოდებებია: „ჭირანო“ (მთვარის ცა), „ცორანო“, „მელტარო“, „კოჭიმელი“ (მზის ცა), „ჭიმჭიმელი“, „კიმკიმელი“, „ალბასტრო“, „ვარსკვლავთ ცა“ (ხნელი, ორანო, ფელაგი), „ბროლის ცა“ [4]. ხევსურეთში შემორჩენილი მითოლოგიით: „მერიგე ღმერთი ბროლის ცაზე სუფევს“ (მეცხრე ცაზე). აქედან საინტერესოა სალოცავების და სალოცავთან დაკავშირებული კოშკების თავზე თეთრი ბროლის ქვით (დადგმა) შემკობა. აღსანიშნავია სახელწოდება „ბურჯი“ – ვარსკვლავთა ზოდიაქი [4]. „ბურჯღნი“ – ვარსკვლავნია კრებულნი ხევსურულ ლექსიკონშიც (ალ. გაბური). „ხომლი“ – მრავალვარსკვლავედი [4]. ცის სახელთან დაკავშირებულია „ქვეცა“-ს და „ზეცა“-ს საღვთო წარმოდგენა. „ზეცაში“ ღვთიშვილთა სამყოფელია, რომელიც ადამიანებს ძველთაგანვე სწამდათ. ცალკე კვლევის ნიმუშია სახელწოდებები „საუკუნო“, „უკუნი“, „უკუნეთი“, „უკუნითი-უკუნისამდე“ (მარადისობა). აქაც დროის აღმნიშვნელი მარადისობის სახელი იქცევს ყურადღებას „საუკუნო“, „უკუნითი-უკუნისამდე“. სახელწოდება მომდინარეობს „უკუნიდან“ ანუ ბნელიდან, გამოდის, რომ ძველი ხალხური წარმოდგენა მარადისობაზე იწყება „უკუნიდან“ და დამთავრდება ისევ „უკუნით“. ეს დროის პერიოდი ადამიანებისთვის იმდენის მომცველია, რომ მარადისობას უდრის. აქაც ისე როგორც „სკნელთან“ დაკავშირებით (ქვესკნელი, ზესკნელი, წინსკნელი, უკანასკნელი) კოსმოლოგიური უძველესი რწმენის შედეგებს ვხედავთ და მომავალში ღრმა კვლევას მოითხოვს.

ხალხურ „ღვთაებრივ“ სიმბოლოებს შორის აღსანიშნავია „ბორჯღალას“ სახელწოდება და მისი გრაფიკული ფორმა. იგი გვიანდელ ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში მოხსენიებულია, როგორც მზის სიმბოლო, მაგრამ საკულტო ობიექტებზე, ქართულ დედაბოძებზე ერთ ობიექტებზე, რამდენიმენაირი ბორჯღალოებია გამოსახული, რაც აზრს წარმოშობს რომ, იგი უფრო მნიშვნელოვანი ფორმის გამოსახულებაა. „ბორჯღალა რომ მზის სიმბოლოა, ამას არ ადასტურებს მისი ქართული სახელი“ [12].

მითიური სამყაროს ქართული მოდელი
Georgian mythical world model



By Giorgi Gigauri

„გაბორჯღვილი" – მითიური ირმის რქებია, რომელსაც სიცოცხლის სიმბოლოს მნიშვნელობაც აქვს. „ბორჯი" – ლაზურად დროს და ჟამს ნიშნავს, „ღალა" – ბარაქას. „ბორჯი" – საძირკვლის ფესვსაც ნიშნავს (ივ. ჯავახიშვილი. ტ.1.).

ბორჯღალას სიმბოლო ძირითადად საკულტო ობიექტებზე გამოისახებოდა. ქართულ დედაბოძზე გამოსახული ძველი ბორჯღალა დაფიქსირებულია 10-11 საუკუნის (მცხეთა) ობიექტებზე, [1] (იხ. სურ. 21). არქეოლოგიურად საქართველოში აღმოჩენილია ჭვირული ბრინჯაოს გულსაკიდები, რომელზეც ბორჯღალოებია გამოსახული (ძვ.წ. მე-2 ათასწლეული). არქეოლოგმა გ. ნიორაძემ ისინი ბორჯომის ხეობაში მოიპოვა. ხევსურეთში ბორჯღალას გამოსახავდნენ სახლის მთავარ თავხეზე, „კეზზე" და სახლის უფროსი „მეკეზისწვრე ანგელოზსს" დაილოცებდა ყოველ ახალ წელს. ბორჯღალოს ამოჭრაც „ღვთაბრივ საქმედ მიიჩნეოდა", [12].

ხევსურეთის სამხარეო ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია გასული საუკუნის რამდენიმე ნივთი, მათ შორის სარიტუალო „საჭვრეთელი" (ხის საბეჭდავი), რომელზეც ბორჯღალოებია გამოსახული. „ბორჯღლიან მირგვალაი" ასეთი სახელწოდება აქვს მთის ხალხის ლექსიკონში. ქართულ ყოფაში მრავალი ფაქტია დადგენილი და შესწავლილი, სადაც ნათლად ჩანს, რომ წრის დაკავშირება საგანთან თუ არსებასთან ამ უკანასკნელს ასტრალურ შინარსს ანიჭებდა. ტრიალისა და ბრუნვის იდეა „ღვთაებრივ" სიმბოლოებში მთავარია და მუდმივად „ცოცხალია" გამოსახულება.

ბორჯღალოების მეორენაირი სახელწოდებაა „ბუღაური" და ეს სახელი დარბაზის დედაბოძის ზემოთა ნაწილსაც ეწოდებოდა (იხ. სურ. 22). იხ. ქართული დედაბოძის ჩანახატები (ნ. ბრაილაშვილი 1930 წ.) სურ. 24. სიმბოლო „ბორჯღალას" მხრების რაოდენობა შვიდი ან ცხრაა და ფრთების მიმართულება იცვლება სხვადასხვანაირად. ძირითადად მარჯვნიდან მარცხნივ მოძრავია. ადრექრისტიანულ ძეგლებზეც წამყვანი ადგილი უკავია ბორჯღალო ორნემენტებს. რამდენიმეგან ქრისტიანული ტაძრის აღსავლის კარი ძველი დედაბოძის მსგავსია და ზედ მსგავს სიმბოლოებსაც აკეთებდნენ. ხევსურეთის გარდა, სხვა კუთხეებშიც შემორჩენილია ბორჯღალოების გამომსახველი არტეფაქტები. მათ შორის, ჩვენ, აღვნიშნავთ სვანეთში დაფიქსირებულ ხის კიდობანს და ზედ გამოსახულ საინტერესო კომპოზიციას. სვანეთში შემორჩენილი კიდობნის ორნამენტები ცალკე საკვლევი თემა, რომელიც აშკარად, ქართველი ხალხის ძველი ასტრონომიური ცოდნის ამსახველია (იხ. სურ. 25). სვანურ ეთნოკულტურაში ფიქსირდება ბარაქიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადმომცემი (პიქტოგრაფიული) ნიშნები, მაგ. ადგილობრივ (მესტია) მუზეუმში დაცულია 19 საუკუნის თითისტარის ნიშნები, რომელიც მსგავსია ასტრალურ-კოსმოლოგიურ სიმბოლოებისა.

ხევსურეთში საახალწლოდ იანვრის თვის დღეობები და ივლისის თვეში „ათენგენა" ყველაზე დატვირთულია თავისი ძველებური რიტუალებით. დღეობების სახელებია: ქრისტე (7.1. ა.ს.), წელწადი (14.1.), კუმეტი (15.1.) წინაშუადღე (16.1.), უკანაშუადღე (17.1.), წყალთკურთხევა (18.1.), განცხადება (19.1.), აღვსება (დიდმარხვის წინა შაბათს), მარხვაშამაე (დიდ მარხვის წინა ღამე), ურწყნი (დიდმარხვის წინა ორშაბათიდან გრძელდება 2 კვირას), მგელთუქმი (დიდ მარხვის პირველ შაბათს), სულთაკრეფა (დიდ მარხვის პირველ შაბათს), ოცობა-ლამპრობა (7. IV. ხარებას), კუდიან წუხრა (აღდგომის წინა ორშაბათს), დიდ ხუთშაბათი (აღდგომის წინა ხუთშაბათი), აღვსება-აღდგომა, აღვსების შაბათი, ამაღლება (აღდგომიდან ხუთი კვირისა და სამი დღის შემდეგ), ხალარჯვება, ათენგენა (20-25. VII), მარიანობის მარხვა (14. VIII), ფერისცვალი (19. VIII), გძელთუქმი, მეღვარეობა, ხნულია (ფერისცვალების მომდევნო შაბათს), მარიანობა ენკენია (16. IX), ჯვართამაღლება (27. IX), ხარის უქმი (ენკენიას სწორზე), გიორგობა (23. XI). [3], [5], [11], [13].

ქართული წარმართული კალენდარის შესახებ კვლევებში ხშირად მითითებულია ციური სხეულების მზე და მთვარის მიხედვით აღრიცხვიანობის არსებობა ძველ დროში და მისი მნიშვნელობა [15].

2012 წელს ექსპედიციის დროს (ასტროფიზიკოს პროფ. ი. სიმონიას მითითებით) სალოცავის ფასადები გავზომეთ, განვსაზღვრეთ კონსტრუქციული ღია ნაწილის აზიმუტით მდებარეობა და „მზის ბუდეების" დონე დავაფიქსირეთ. სალოცავის ფასადები უმეტესად სამხრეთის (ან მცირედი სხვაობით სამხრეთ აღმოსავლეთით) მხრისკენ მომართულია, 130-135 გრადუსით. შესაწირავ ცხოველს აყენე-

ბენ თავით აღმოსავლეთით და ხუცესი ამ დროს დგება ცხოველის ჩრდილოეთით, ანუ ზურგით ჩრდილოეთით და ასე ლოცულობს (ატარებს რიტუალს). სამხრეთისკენ მომართულია სალოცავის ნიშები, სადაც ზარი ჰკიდია. უნდა აღვნიშნოთ, რომ სალოცავში ცხოველის შეწირვაზე უფრო დიდად მნიშვნელოვანია ჯვარ-სალოცავის ტერიტორიაზე ხის დარგვა. სალოცავის ეზოში დღემდე შემორჩენილია „წმიდა" ხეები ანუ „ხატის ტყეები". მითოლოგიურად ამ ხეებზე ჩამოდიოდნენ „ღვთიშვილები", რომელებმაც ადამიანებს ასწავლეს ყველაფერი, ხოლო სიმბოლურად ხატში „დროშა" იგივე, „ალვისტანია" დამკვიდრებული. „ალვისტანი" იგივე სიცოცხლის ხის სიმბოლოა. სიცოცხლის ხის სიმბოლოა ქორწილებში რიტუალური „მაშხალა"-ც, რომელიც ფშავ-ხევსურეთში და თუშეთში გვიანობამდე იყო შემორჩენილი [8], [12].

მთიან რეგიონში შემორჩენილი საკულტო მითოლოგია, ანდრეზები და საკულტო ხატ-სალოცავთა რიტუალები უკავშირდება მითიურ ღვთიშვილების მოსვლას და მათგან დადგენილ წესებს. ღვთიშვილნი იგივე „ზეცრიელნია" ანუ ზეციდან მოსულნია. ასევე ცნობილია „ქვეცრიელნი", ანუ მავნენი, შეცდენილნი. მთელი სამყარო კეთილისა და ბოროტის ბრძოლის ასპარეზია და ჯვარ-ხატებს შესთხოვდნენ ღვთიშვილთა დახმარებას [12]. მთავარ სალოცავში გუდანის „ზენა სამხვთო" ჯვარში ახალწელს (განმცხადებას) ტარდებოდა „ბერიკაობა" [3], რომელიც ბოლოს ფშავში შემორჩა გვიანობამდე. ბერიკაობის დღეობა და ხევისბერთა საქმიანობა რამდენად ურთიერთკავშირშია, ეს ჯერ კიდევ გასარკვევია. ფშავში არსებობდა „კოპალას" საბერო სახლი „ნინახი", რაც საბერო ინსტიტუტების უძველეს წარმომავლობას ადასტურებს [7]. ცაზე და ცის მნათობებზე დაკვირვების შესახებ საინტერესო ცნობა ჩავიწერეთ, ხევსურეთის ბუნების, ფლორა, ფაუნის მკვლევარი ალექსი არაბულის (80 წ.) ინფორმაციით: „ძველად ქადაგები ვარსკვლავებს აკვირდებოდნენ და ჯვარის სახელით წინასწარმეტყველებდნენ, მათ შორის ისეთ მოვლენებს როგორიცაა მიწისძვრები და სხვა ბუნებრივი მოვლენები. შემდეგ მათი საქმიანობა გააგრძელეს მკითხავებმა და ვეღარ „უსრულდებოდათ" ნათქვამი, რაზეც ხალხი დასცინოდა. მათ იცოდნენ მოძრავ-უძრავნი ვარსკვლავნი და მათზე ახდენდნენ დაკვირვებას. ერთ-ერთი ასეთი ადამიანი იყო ძაღლიკა ლიქოკელი, რომელმაც ბევრი ვარსკვლავის სახელწოდება იცოდა" (ალ. არაბული). თუ სად და როგორ ახდენდენ დაკვირვებას, ამაზე ინფორმაცია დაკარგულია. მცოდნე ხალხის რაოდენობა მიილია, წავიდა და თან წაიღო უძველესი „ცნობა". ასევე საყურადღებო ინფორმაცია ჩავიწერეთ პირიქითა ხევსურეთის სოფ: კისტანის ხუცესის გაბრიელ ჭინჭარაულისგან (78 წ. ჩაწერილია ვიდეო მასალა. 2013 წ), რომელიც მზეზე დაკვირვების ხალხური მეთოდია „დათვისჯვარზე გვქონდ სამ გორის კუჭულა და წვერებზე სამ ქვან იყვნეს ჩადგმულნი. 2.50 მეტრის დაშორებებით მწკრივზე. გაზაფხულზე ნაპირა ქვის ჩრდილ თუ ვერ მიაღწევდ შუათანა ქვამდე,

თქვიან ნვიმიან წელ იქნებავ, თუ ნაპირის ქვის ჩრდილ მიაღწევდ შუამდე, მაშინ საშუალო წელ იქნის, თუ ჩრდილ გადავიდოდ შუათანას ქვას და მესამემდე მივიდოდ, სიცხიან წელ იქნებავ, თქვიან და მართლდებოდაც".

ასტრალური იგივე „ღვთაებრივი" სიმბოლო-ნიშნებით არის შემკული სარიტუალო პურ-საწირის და „ბედის კვერების" ზედაპირები, რომლებიც თავისებურ რიტუალის დროს გამოიყენებდნენ. ახალ წელს ხევსურეთში და თუშეთში „წელწადი" ჰქვიან, რაც ძველი წლის „წადი"-ს (წასვლას) დროს ასრულებდნენ ხუცესები და სახლის უფროსი ადამიანები. რიტუალი შემდეგნაირად არის: სახალწლოდ მომზადებული და სულიერად მარხვით განწმედილი საკულტო მსახური ჯვარ-სალოცავის დარბაზში ათენებს ღამეს. დილით ადრე (ახალ წელს) თვითოეული ოჯახიდან მოდის ერთი მამაკაცი მოაქვს „ბედის კვერები" , რომელზეც „ღვთაებრივი" სიმბოლოებია დაჭვრეთილი (იხ. სურ. 18. სურ. 19). ხუცესი აკურთხებს „ბედის კვერებს" და თვითოეულ ოჯახში მიდის (ან ოჯახის უფროსი) და თავის „ბედის კვერებს" სახლის კარებში შეაგორებს და დალოცავს ოჯახს. მსგავსია თუშეთის ტრადიციაც „ჭერში ჭყეტია", რომელიც ბედის კვერს ეხება და ასევე ახალ წელს სრულდებოდა [8]. „ბედის კვერის" ზედაპირის სიმბოლოებით შემკობაც ტრადიციულად უხსოვარი დროიდან მოდიოდა. ე.წ. „კვერა-ბერა" სამი ცალი იყო. მათი სხვადასხვა გამოსახულებები, ძველ დროს, თუ რა სემანტიკას შეიცავდა (?), დღეს დაკარგულია ინფორმაცია. ერთ-ერთი სპეციალური ჩანაწერი, რომელიც გაკეთდა 2009 წელს, მოხუცი ხევსური ქალისგან, მისი გადმოცემით: „...ქადებს შუაში ნიშნებს დასჭვრეთდეს და გარშემო შამაჭრეხილ იყვ. თვითოეულ ჯვარ-სალოცავს თავისებურ ლიშან-საჭვრეთაიც ჰქონდ" (ნ. თეთრაული 82 წლის. სოფ: გამარჯვება. დედოფლისწყარო)იხ. [19]. ე.ი. სალოცავებს თავთავიანთი საჭვრეთლები და ღვთაებრივი სიმბოლოები ჰქონდათ, რომელიც მსგავსებაში მოდიოდა სოფლის მაცხოვრებელთა ოჯახურ საჭვრეთის სიმბოლოებთან. ახალ წელს დილით, ადრე, სახლის კარებში „ბედის კვერის" შეგორება „დასაბამს" გამოხატავდა სიმბოლურად.

ამით იწყება ახალი წელი (წელწადი – დასაბამი) ანუ ახალი სიცოცხლე. შემდეგ სალოცავში სრულდება „ჟამის წირვა", თვითოეული ოჯახიდან რამდენიც მამაკაცია იმდენი სანთელი მოაქვს და დარბაზში ერთად ანთებული „გადიდებულ" ღუდებთან ერთად ილოცება. ზაფხულში დიდი დღეობის დროს, ასევეა საყურადღებო რიტუალი, რომელიც „აშალებს" (გადმოშლას) ეხება. ათენგენობაზე დიასახლისებმა იციან პატარა სალოცავებისთვის პურ-საწირების „სადობილოების" გამოცხობა, რომლებთანაც ზოგს სამკუთხა ფორმა აქვს, ზოგს მრგვალი, ზედ ასევე „ღვთაებრივი" სიმბოლოებია დაჭვრეთილი. ლოცვის შესრულების შემდეგ, დიდ ქადებს დაჭრიან, ხოლო „აშალებს" გადმოუშლიან ბავშვებს. ბავშვებიც ცდილობენ ხელთ მოიგდონ „აშალის" კვერები. ამ რიტუალშიც ასევე ვხედავთ ასტრალურ

წარმოსახვას. ეს რიტუალები მსგავსია საქართველოს სხვა კუთხეებში შემორჩენილ წესებთანაც, მათ შორის „ბასილას“ კვერები რაჭა-ლეჩხუმში და სხვა. სალოცავებში დღეობის ბოლოს „ფერხისა“-ის ცეკვა და მღერა იცოდნენ. ნახევარწრეში ჩადგებოდნენ ხელებგადაჭდობილები და მღერდნენ ჯვარ-სალოცავის სადიდებლად, მაგ: „ჯვარსა წინასა“ და სხვა. ასტრალური, გარკვეული არქაული ცოდნის ნაკვალევს წარმოადგენს ხევსურეთში ლოცვის ტექსტებში ხშირად მოხსენიებული „უჟამო ჟამი“-ს ტერმინი. ეს უძველესი სახელწოდება დღესაც მოიხსენიება, მაგ. ხახმატის სალოცავის ტექსტშია: „ღმერთო მაღალო, შენს კარსად, შენს კამალას დაიყენენ ჟამსა უჟამოსა, ბნელსა ცისკარს, დიდება შენდა ძლიერო ღმერთო“ ... [5]. ეს ლოცვა ჩავიწერეთ 2012 წლის ზაფხულშიც ექსპედიციის დროს. (ხუცესი გიორგი ჭინჭარაული 60 წ). „უჟამო ჟამი“ – სადაც დრო არ არსებობს, ასეთია ხუცესების აზრი, ხოლო „ბნელი ცისკარი“-ს მნიშვნელობა კი დღეისთვის უცნობია. „ნუ ჩამაგყარნასთ დღესა დღესინდელსა ბნელსა ცისკარს“... (ხუცესი გაგა ჭინჭარაული 75 წ). ლოცვის ტექსტებშია „მზის მყოლნი ანგელოზნი“, ასევე ნახსენებია გამოთქმა: „მზეი მამარწყვილებულა“ (მზემ ნაყოფიერ ქმნა , გ. ჭინჭარაული ხუცესი). ხევსურულ სარიტუალო წესებში ყურადღებას იქცევს სულის ხუცობაში მიცვალებულის „სულის ტაბლაზე“ დალოცვის წესები და სათქმელი ტექსტი. ჭირისუფალის ოჯახიდან გამზადდება ტაბლა, დაინთება სანთლები და სულის ხუცესი ლოცვას აღავლენს, ლოცვის დროს ხელს წრიულ-სპირალურად ატრიალებს სუფრის თავზე. ამ მოძრაობით თითქოს საიქიოს, „ზეცაში უგზავნის ამქვეყნად დადგმულ სუფრას“, იგივე „სულის ტაბლას“. ამ დროს მარჯვენა ხელში თასით სრულდება ტრიალი, მარცხნიდან მარჯვნივ, ხოლო თუ ხევსურს შემოაკვდა „ურჯულო“, მაშინ მარცხენა ხელით კეთდება, მარჯვნიდან მარცხნივ ხელის ტრიალი („არ დააღონას ახალ სული მისგან მოკლულმა საიქიოში“. გ.ჭინჭარაული ხუცესი). სარიტუალო წესებში წრიულ, სპირალური მოძრაობები ბევრია თუშ-ფშავ-ხევსურეთში, მაგ. ხატში ბავშვის მიბარებისას, მისაბარებელ ბავშვს სამჯერ წრეზე შემოატარებენ, სალოცავის მთავარ კვრივის გარშემო. ასევე ქალების „ხატში გაყვანის“, მიბარების დროსაც, ქალის თავზე სამჯერ შემოატარებენ სარიტუალო ქადებს, რომელზეც ასევე ასტრალურ-კოსმოლოგიური ორნამენტებია. ყველაზე ნიშანდობლივად წრიული, სპირალური სიმბოლოების მსგავსი მოძრაობები ფიქსირდება მთავარი „სარიტუალო ალვისტანის“ (დროშის) აბრძანების და დაბრძანების დროს. თავხევისბერი დროშით ხელში სამჯერ დატრიალდება ადგილზე (ხალხთან ერთად) და მერე მიდის მთისკენ (გადაღ. ვიდეო მასალა, სოფ. გოგოლაურთის „ქმოდის წმ. გიორგის“ ხატში. 2012 წ. ხევისბ. ფ. ბაღიაური), როცა მთაზეც მთავარ ნიშთან დაბრძანდება დროშა და შესრულდება ხარების (კურეტების) შეწირვის რიტუალი, ასევე წამოსვლის წინ ადგილზე სამჯერ წრიულ, სპირალური მოძრაობას ასრულებენ (მარჯვნიდან მარცხნივ), ხალხთან ერთად და დაეშვებიან ქვედა სალოცავისკენ „ფერ-

ხისაის" სიმღერით, რომელიც ფრიგიული კილოთი დღესაც სრულდება. ასევეა დროშის „დაბრძანების" დროსაც და ასეთი რიტუალია ხევსურეთში და თუშეთშიც, მეტ-ნაკლები სხვაობებით. ასტრალურ სპირალური მოძრაობების წესები მთავარია და დღემდე საკრალურად შემორჩენილია. წრიულ-სპირალური პიქტოგრამები და სკრიპტოგრამები ბევრია ქვებზე შემორჩენილი ხევსურეთსა და თუშეთში. წრიულ-სპირალური სიმბოლოები „საჭვრეთლებზეც" ტრადიციულია ძველთაგანვე. ხევსურული საჭვრეთლები, ბარისახოს სამხარეო ეთნოგრაფიული მუზეუმიდან (იხ. სურ. 20).

ასტრალური წარმოდგენის ნაშთებად მიგვაჩნია ხევსურულ ლოცვებში „ღვთის კარის" და „ცის კარის" სინონიმები. მაგ: „ჩემ სიტყვა ღვთის კარზე (მეორეგან „ცის კარზე") აიტანეთ, მადლი მამითხოვეთ, ღვთისაგანამც გაგემარჯვებისთ, ღვთისაგანამც დეგელოცებისთ..." (ხუცესი. პ. გოგოჭური სოფ: ატაბე. გადაღებულია დოკუმ. მასალა). „კარი" ანუ გასასვლელი სხვა განზომილებაში, იგივე „ღვთიშვილების" საუფლოში. ძველი სალოცავების თავზე ხშირადაა „ღვთაებრივი" სიმბოლოები ამოჭრილი კარის ქვებზე, მაგ. „კარატის" სალოცავის ოთხწერტილიანი ჯვარი. „ასეთი ღვთის კარი ღვთიური ნათების მატარებელი ას" (მთხრობ. ხუცესი გ. ჭინჭარაული 78 წ. სოფ; გუდანი 2012 წ). კარი ანუ გასასვლელი სხვაგან საინტრესო მსგავსებას პოულობს ჩრდილო კავკასიურ ვაინახურ მითოლოგიაში აღწერილ „სოროებსთან", რომელიც ზეცაშია და გასასვლელებია სხვადასხვაგან (კავკასიური მითოლოგია. ქ. სიხარულიძე. კავკასიური სახლი. 2006). უძველესი წარმოდგენები იმდენად მდგრადი წარმოსახვით შემორჩა ხალხურ ცოდნას, ხსოვნას, რომ ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ „წმიდა კარი"-ს მნიშვნელობა მაცხოვრის სახელს დაუკავშირდა, მაგ: „მე ვარ კარი, ჩემს მიერ თუ ვინმე შევიდეს ცხონდეს" იოვანეს სახარება 10 თავი.

პიქტოგრაფიულ გეომეტრიულ სიმბოლოებში ხშირად წერტილოვანი ნიშნებიც ფიქსირდება, მაგ. ოთხწერტილიანი ჯვრის სიმბოლოები. ოთხწერტილიან ჯვარს გამოსახავდნენ ძველად ხევსურულ ტანისამოსზეც [18] (იხ. სურ. 26). მსგავსი სიმბოლო-ნიშანი ასევე მოძრაობის აღმნიშვნელად გვევლინება, რადგან ჩვეულებრივ ხალხურ დეკორშიც ხშირადაა იგი. თუკი ადგილობრივ ლექსიკონს დავესესხებით და ვიტყვით: „დადგომა, გაჩერება სიკვდილია". ჩვენი აზრით, ასტრალური ნიშნები მოძრაობის აღმნიშვნელი სიმბოლოებია, რადგან „ღვთაებრივი" მარად ცოცხალსაც და მარად მოძრავსაც ნიშნავს (ავტ. გ.გ) . ორნამენტებშიც „ღვთაებრივი" სიმბოლო ჭარბობდა: მზის, ვარსკვლავებისა და სხვა მნათობთა გამოსახულებები, რომელიც სტილიზირებული ფორმით იყვნენ დეკორში ჩართულნი. კოსმოლოგიურ სიმბოლოების მსგავსად, ქართულ ისტორიულ წყაროებში ბევრი საინტერესო ინფორმაცია ინახება, რომელიც მხოლოდ დღეს 21-ე საუკუნეში შეიძლება ნაწილობრივ ამოიხსნას. საქმე ეხება 17-საუკუნის მოღვაწის ს. საბას „ცის მზომელო-

ბათა“ და „წამის“ დროის, უმცირეს დროის სახელებს. აქაც კოსმოლოგიურ უდიდეს ინფორმაციას ვხედავთ, რომელიც უძველესი დროიდან მოდის ქართულ ენაში. საიდან და რა ხელსაწყოთი შეიძლება დაფიქსირებულიყო წამის მეათედები და მეასედების მსგავსი დრო? კესი, მასი, არდი, მეყი, წენი, ბლისი, ნვინი, ესენია წამის შიგნით დროები. ასეთი უმცირესი დრო მხოლოდ დღეს ფიზიკოსების და ასტროფიზიკოსების მონაცემებში შეიძლება იყოს. რა ხელსაწყო აფიქსირებდა ასეთ დროს?. წამის ასეთი აღრიცხვა ნაწილობრივ მხოლოდ დღეს დაიწყეს კოსმოლოგიაში. ამ ლექსიკონში, ასევე საინტერესოა ქარის მოძრაობების 30-ზე მეტი დასახელება, რაც ასევე სპეციალური ხელსაწყოს გარეშე დღესაც კი წარმოუდგენელია. ძველად საქართველოში ასტრონომია და ცაზე დაკვირვებები, რომ განვითარებული იყო ფაქტია.

ამრიგად საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილი ასტრალური პიქტოგრამები და სკრიპტოგრამები შეესაბამება ადგილობრივ საკულტო ტრადიციებში შემორჩენილ რიტუალებს და წესებს. ზუსტად ასეთი დამწერლობის ნიშნები სხვაგან არ დაფიქსირებულა, ხოლო ზოგადი მსგავსება შეიმჩნევა უძველეს ხალხთა კულტურის დამწერლობებთან, მათ შორის; შუმერულ (წინალურსმური), ინდური, იბერიული(პირენეის), კრეტული, ეტრუსკული. გრაფიკული მსგავსება 30-35 სიმბოლო-ნიშანთან ფიქსირდება. ადგილობრივი რწმენითი წარმოდგენები, რიტუალები რამდენად უკავშირდება შემორჩენილ სკრიპტოგრამებს ან პიქტოგრამებს და მთებზე წრიული ქვის ყორეების დანიშნულების გარკვევა, ჩვენი აზრით, ახალ სიტყვას იტყვის, ქართველი ხალხის ძველი ემპირიული ცოდნის შესახებ. საღვთო საკრალური წეს-რიგის ფორმები მსგავსია კოსმოლოგიურ წარმოდგენებთან და სამყაროსეული წარმოშობის მითიურ გადმოცემებთან. ინფორმაციის შემნახავი და გადამცემი პიქტოგრამული სიმბოლო-ნიშნები ტრადიციულია საკულტო ობიექტებზე დეკორულ-ორნამენტებში გადასულ სიმბოლოებთან. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი წერილი ჩართულია ასტროფიზიკოსების საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში სახ. **"Handbook of Archaeostronomy and Ethnoastronomy" 2014.**

მთებში შემორჩენილი წრიული ნაგებობები და ჩადგმული ქვები კავშირშია საღვთო წარმოდგენებთან და ხალხური ტრადიციით მზეზე, მთვარეზე და სხვა ციურ მნათობებზე დასაკვირვებელ ობიექტებთან, მათ ნიშებთან. ქართულ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი ვარსკვლავთა და ცის სახელწოდებების წარმოშობა ასახავს ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს, რომლებიც ემპირიული ცოდნითაა დაგროვილი. ქართული გეომეტრიული დეკორი გადმოღებულია ასტრალური პიქტოგრამებიდან, რაც მოდიოდა ტრადიციულად უხსოვარი დროიდან. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ანალოგიური ასტრალური სიმბოლო-ორნემენტების ტრადიცია საქართველოდან შორეულ ქვეყანაში ესპანეთში, კერძოდ ბასკურ გამომსახველო-

ბით დეკორული ნიშნები. მათ შორის ისეთი მსგავსებებია, რომ შემთხვევითობა ნაკლებად ეთქმის, მაგ. ჯვარი მხრებს შორის ოთხი ფიგურით (იხ. ბასკური სიმბოლოების სურ. 27. ბასკური სასაფლაოს ქვა სურ. 28). მსგავსი სიმბოლოების განმეორება გვხვდება სხვადასხვა საკულტო ძეგლებზე და ქართულ ადრექრისტიანულ ტაძრის მორთულობაში, მაგ. ქართული დედაბოძები, პურის კიდობნები, წილკნის ტაძარზე, საფარის ტაძარზე, ხცის, სკრის ეკლესიათა კედლების ორნამენტებში და სიმბოლოებში და სხვა.

სამეცნიერო დონეზე ქართულ-ბასკური ტრადიციული დეკორული სიმბოლოების, ორი ფენომენი ერთმანეთთან ჯერ არავის შეუდარებია. მათი ძველი სახელწოდებები და მათთან დაკავშირებული რიტუალები ინახავს უძველეს ტრადიციებს. ჩვენი აზრით, ლინგვისტური და ისტორიული წყაროების მონაცემების გარდა, გეომეტრიული სიმბოლო-ორნემენტების შედარება ახალ სიტყვას იტყვის ძველი ხალხის ცხოვრების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. ჩუბინაშვილი შუა საუკუნეთა ქართული ხის ჩუქურთმა 1958. ტაბულა 16.
2. შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი თბილისი 1937 წ.
3. ვაჟა-ფშაველა ხუთტომეული ბაჩანა რაზიკაშვილი „რამე რუმე მთისა“ V ტ.
4. საბა-სულხან ორბელიანი ქართული ლექსიკონი 1928.
5. ს. მაკალათია ხევსურეთი 1984.
6. გ. ჩიტაია ხევსურეთი. სტაციონარის დღიური ბარისახო. ისტ. ეთნ. განყ. დღიური 1938.
7. ვ. ბარდაველიძე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები ტ 1. 1979 წ.
8. ვ. ბარდაველიძე გ.ჩიტაია ქართული ხალხური ორნემენტი 1. ხევსურული 1939.
9. გ. ჩიტაია სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში ენიმკი 1941.
10. ს. ბედუკაძე დროის განსაზღვრის ხალხური სისტემა და მისი ანარეკლი. „ვეფხისტყაოსანში“ 1968.
11. ალ. ოჩიაური ქართული ხალხური დღეობების კალენდარი 1988 თბ.
12. ი. სურგულაძე ქართული ხალხური ტრადიციული ორნემენტის სიმბოლიკა 1986 მეცნიერება.
13. თ. ოჩიაური ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან 1954.
14. ალ. ჭინჭარაული ხევსურული ლექსიკონი თბილისი 2005.
15. პ. ინგოროყვა ძველი ქართული წარმართული კალენდარი VI ტ. 1956.
16. ნ. აბაკელია ცის თაყვანისცემა დასავლეთ საქართველოში მატეანე. 1983.

17. რ. შმერლინგი ქართული ხუროთმოძღვრული ორნემენტი თბილისი 1953.
18. ლ. მოლოდინი, გ. ჩაჩაშვილი ქართული კოსტუმის კატალოგი. ხევსურული 1964.
19. გ. გიგაური ფარული ნიშნები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში თბილისი 2010.
20. Б. Куфтын Археологические раскопки в трялети Тбилиси 1941.
21. Ч. Лоукотка Развитие пысма М. 1950.
22. Л. Сумбадзе Грузинский Дарбази. Тбилиси 1960.
23. В. И. Марковин Памятники зодчества в горной Чечне. М. 1980.
24. A. Parrot Archeologie mesopotamienne Paris 1953.

Astral-cosmological pictograms and stones remained on Georgian territory is a profound research topic. The Devine beliefs and cosmological titles that are fixed in Georgian ethnic culture are interconnected.

Decorative ornaments that are on cultic and early Christian monuments are similar (analogous) to symbol signs in pictograms.

The origination of the names of the stars and the sky remained in Georgian folklore indicates local customs and habits that are accumulated by empirical knowledge. Regularity of symbols and early Christian Devine texts require deep research, as ancient people's beliefs about the earth and the function of a human are preserved in their culture.


Оставшиеся на территории Грузии астрально-космологические пиктограммы и вставленные на вершине гор камни(менхири) – это тема для глубокого изучения.

Божественное предстовление сохранившиеся в грузинской культуре и фиксированные космологические названия связаны между собой.

Пиктографические символи похожи на орнаменти сохранившыеся на древнехристянских и культовых памятниках.

В Грузинскых народных сказаниях происхождения названия звезд и небо описивают местные обичия, которие набраны эмпирическими знанями.

Системизация символов и ранних христянских текстов требует глубокого изучения, так как в них сохранены представления древних народов о вселенении и назначении человека.



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ 6



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11



სურ. 12




Рис. 6. „Чурт"—памятник в честь умершего. В плане имеет форму креста. Верхняя часть состоит из черных шиферных пластинок, чередующихся с камнями. Хамхинское общ., урочище близ сел. Лейми. (Из мат. экспед. 1921 г.).

სურ. 13




სურ. 14




სურ. 15




სურ. 16




სურ. 17




სურ. 18




სურ. 19




სურ. 20




სურ. 21




სურ. 22




სურ. 23



სურ. 24



სურ. 25



სურ. 26



სურ. 27



სურ. 28

დაკარგული ისტორია
(უძველესი ღვთისმსახურების კვალდაკვალ)

„თავის ქვეყნის და გვარ-ჯილაგის ისტორია
ვინც კარგად იცის, იმას ვერანაირ მტერ
ვერ მაერევის“ 1981 ჩანაწერი. ხევსურეთი.

ხვთისო ლიქოკელი

ქართულ ისტორიულ წყაროებში მოყვანილი ზოგიერთი ცნობები, ღრმად შესწავლას მოითხოვს და ამოუხსნელია ბევრი დაკარგული ინფორმაცია. ისტორიკოსების მიერ ნახსენები ქართველთა მონათესავე ქვეყნის ხალხი, შემდგომ საუკუნეებში დაკარგულია, ან სხვა ქვეყნის ტერიტორიაზეა მოქცეული და შერეული. ისტორიული ეთნიკური პროქართველები თავისი გენეტიკური კოდის და მრწამსის გადასარჩენად თავისივე თვისტომთან მისულან და იბერიულ-ქართული ქვეყნის შენებაში ჩაბმულან. ასეთ ისტორიულ ინფორმაციას ვხვდებით „არიან-ქართლის“ შესახებ, „ქართლის ცხოვრებიდან“. ასევე სპეციალისტებისთვის ამოუხსნელია ვ. გორგასლის ისტორიკოსის ჯუანშერის მიერ ნახსენები „ჯაზირის მიწა-წყალი“, სადაც ქართველებიც ცხოვრობდნენ. ასევე ინფორმაციაა, რომელიც ეხება „ქალდეველთა ურიდან“ მოსულ მონათესავე ქართველი ხალხის ერთ ჯგუფზე „იგინიცა დაეშენნეს ქართლს“ [1]. ძველ ბერძნული ისტორიული ცნობებში ნახსენები და აღწერილი „კოლხები“ საერთოდ არ ჩანს ქართულ ისტორიულ წყაროებში, ასევე ქართული მოდგმის „ხალდების“ შესახებ არასრული ინფორმაცია, ასევე ისტორიულ ფრიგიაში პროქართველი მესხების („მესხოი“ ძვ. ბერძ.) შესახებ არასრული ინფორმაცია და ა.შ.

ძველი დროის ისტორიკოსები ძირითადად ემსახურებოდნენ სამეფო კარს და მათი ტენდენციურობით ეთნიკურ ქართველებზე დეტალური ინფორმაცია არ გვაქვს. სხვანაირად, დღეს მკვლევარებისათვის და მეცნიერებისთვის ეს საკითხი გარკვეული იქნებოდა. მიუხედავად იმის რომ, ბევრი ფუნდამენტური კვლევებია ჩატარებული მცირე-აზიასა და მესოპოტამიის ისტორიულ მოსახლეობის შესახებ, ბოლომდე გასაგები მაინც არაა, პროქართველთა კიდევ სხვა საცხოვრის ადგილების თავისებურება. საქართველოს ტერიტორიის გარდა, კიდევ სად იყო ისტორიული ადგილები, ამაზე კვლევა მომავალშიც გაგრძელდება. არქეოლოგიური მასალები და შემორჩენილი ტოპონიმიკა საქართველოს სამხრეთით პროქართველთა ისტორიულ არსებობას ადასტურებს. საქართველოს ტერიტორიაზე ფიქსირებული პიქტოგრაფიული და ფარული დამწერლობის ნიშნები, უძველეს დამწერლობის ტრადიციას ადასტურებს. ასეთივე დამწერლობის ნიშნები საქართველოს გარდა

კიდევ სად იყო, ამაზე კვლევა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. ქრისტიანობამდელი ქვეყნის, წარსულის კვლევა ერთ-ერთი მთავარია, სწორი ინფორმაციის დასადგენად და მომავალი თაობებისთვის გადასაცემად. ამ საკითხში ფარული ნიშნების იდენტიფიცირება და პროფესიონალური წაკითხვა უპირველესია, რომელიც ძველ ღვთისმსახურების კულტურის ძეგლებს უკავშირდება. ნიშნიანი ქვები დადუმებულან და ელოდებიან ამეტყველებას, ისტორიიდან ხმის მოწვდენას. ფარული ნიშნები ღვთისმსახურებას რომ, უკავშირდება ამაზე რამდენიმე ფაქტი მეტყველებს, მაგრამ მთავარი კვლევა წინ გვაქვს. პირველი, საერთოდ უნდა ითქვას რომ, ქართულად სიტყვა „წერა“ და „შეწირვა“ ურთიერთკავშირშია, უდავოა. ნივთი თუ რიტუალი ყოველთვის იყო ნიშნებით დანიშნული, რათა ღმერთისთვის მიკუთვნებულიყო. შესაწირავ ცხოველზე და პურ-საწირებზე ჯვრის გამოსახვის გარეშე დღესაც არ ხდება (შესაწირის შეწირვა) სალოცავისთვის. იმ ჯვარ-სალოცავებზეა სწორედ საუბარი, სადაც მიმდინარე ღვთისმსახურება ძველ აღთქმასთან მსგავსია, უფრო ზუსტად ძველი აღთქმის არქეტიპია. ბოლო პერიოდში რამდენიმე წიგნი გამოვიდა სადაც მცდელობა იყო შეედარებინათ ხევსურეთის ღვთისმსახურება და ძველი აღთქმის წესები, („ძველი აღთქმა და ხევსურთა წეს-რწმუნებანი“ ავტ. ლ. გაბური). მათ შორის დიდი მსგავსებებია; კარავიანი ღვთის კარი, ხუცესის ხელ-მხარის განათვლა, რჯულის კაცები, მოფიცრობის ტრადიცია, მოკვეთის ტრადიცია, სისხლის აღების ტრადიცია, მაწმიდარ-მაგანძურნი და ქადაგ-მისანნი, სამკადრეო ნაჭერი, უფროს-უმცროსობა, წინაპართა კულტი, წყაროთა დალოცვა, რქების შეწირვის ტრადიცია, ქვათა შენახვის ტრადიცია, წყაროს წყალში განბანვა, სალოცავის დიდი ქვებით აგების ტრადიცია, ცხოველის სისხლით განათვლის წესი, სამან-სამძღვრის ტრადიცია, ქალის უწმიდურების შესახებ, უსურმაგის შესახებ დაცვის წესი, შაბათის უქმი, ხატში მიბარების ტრადიცია, ხატში შვიდდღიანი დღესასწაულის და მსახურების წილის ყრის ტრადიცია, ხატისთვის პირველმოგებული ხბოს შეწირვის ტრადიცია, ხატში ზღვნობის და ხავიწიანი ქადების შეწირვის ტრადიცია, ტაბლის სახელდების ტრადიცია, „ფერხისაის“ ტრადიცია („მახანაიმის ფერხისაის“ (ქებათა-ქება სოლომონისა 7: 1,2), მკვდრის დატირების ტრადიცია, მკვდრის უწმიდურობა, პირის სახსნილოს ტრადიცია, ნაცარ-თვალი და გამაწმიდავებელი წყალი, ხატში ხუცესის ყავარჯენის (კვერთხი) ტრადიცია, ფარულ ნიშნიანი სალოცავის ქვები და ამ ნიშნების მსგავსება კაბალას თილისმათა სიმბოლოებთან, „კამალა“ და კაბალა, კიდობნით „წმიდა ჯვრის“ შენახვის შესახებ გადმოცემები და ბიბლიური „უფლის კიდობანი“ და სხვა. აქ შემთხვევითი მსგავსება ნაკლებად საფიქრებელია, რადგან რწმენასთან გვაქვს საქმე. ამას ღრმა კვლევა, რომ სჭირდება საერთო აზრია, სადაც სხვადასხვა სპეციალისტების გამოცდილი, ცოდნა მოგვცემს სწორ დასკვნას.

ღვთისმსახურების ისტორიის მკვლევარები დღეს გამოთქვამენ აზრს, რომ მრავალღმერთიანობამდე მონოთეისტური რწმენა არსებობდა მსოფლიოს ხალხებში და დამადასტურებელ ნაშთებსაც პოულობენ, მაგ. ევროპაში მალტის უძველესი ტაძრის ნაშთები, იერიქონის არტეფქატები და სხვა. რწმენის სფერო ყველაზე დიდხანს ინახავს ენობრივ, ფოლკლორულ და რიტუალურ ფორმებს და აქედან ადვილია ზოგადი წარმოდგენა ენის კლასიფიკაციის შესახებ. რომელი რწმენა იყო ნამდვილი პროქართული, ამაზე თვითონ სახელების და სახელწოდებების ეტიმოლოგია გვეუბნება. სხვა ერისგან მიღებული ღვთისმსახურება აჩვენებს, იმ ერისთვის დამახასიათებელ სახელწოდებებს, რაც მიღებული იყო რწმენიდან და ენობრივი ჩვეულებიდან გამომდინარე. მაგ: ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომ ბერძნული სახელწოდებები გაჩნდა ქართულ ღვთისმეტყველების ენაში. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საკულტო ღვთისმეტყველებაში სახელების ეტიმოლოგია არ შეცვლილა, რადგან უფრო ძლიერი ტრადიციული ფონი დახვდა. მათი წარმომავლობა ქართული ცნობიერებით იყო განპირობებული. საინტერესოა 1212 წლის ინფორმაცია: „ფხოველნი ჯვარის მსახურნი არიან და ქრისტიანობასა იჩემებენ“ (გვ. 111-112) [1] საყურადღებო გამოთქმაა „იჩემებენ“ ანუ საკუთარის შესახებ წარმოდგენა აქვთ. აქ ღვთისმეტყველების ტერმინოლოგია ღრმად ქართულია და ამას ემატება „ჯვარის ენაც“. მთის მოსახლეობა ოდითგანვე მტკიცედ ინახავდა წესებს და სხვა ენის (ბერძნულის) მიხედვით „ლიტურგია“ მიუღებელი იყო. იბადება კითხვა, ქართველთა წინაპრებს ხომ არ ჰქონდათ ძველი აღთქმის მსგავსი ღვთისმეტყველება? რომელიც ებრაული ბიბლიის ხალხური, უფრო ძველი წესი იყო. სალოცავებში შემორჩენილი პიქტოგრამები და ფარული ნიშნები დღეს რიტუალური ხის საბეჭდავებში მხოლოდ ფუნქციურად შემორჩა. ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომ მოხდა სინკრეტიზაცია (შერწყმა) ძველ ღვთისმსახურებასთან და მთავარანგელოზების და ქრისტიანი წმიდანების სახელები ჩაენაცვლა. მთავარანგელოზების სახელებიც ქრისტიანობის შემოსვლას უკავშირდება, ხოლო ღვთისშვილები მითიურ ძეგლებად შემორჩა ხსოვნას. ხევსური ხუცესის „ხელ მბრის განათვლა“ შესაწირავი ცხოველის სისხლით მსგავსია ძველი აღთქმის წესებთან, მაგრამ მოსეს და არონის ხსენება არაა. ბევრი მსგავსი ჩვეულება და საღვთო რიტუალია მსგავსი და სიღრმისეულად გამოკვლევას მოითხოვს. ხევსურული ღვთისმსახურება აშკარად უფრო ძველია და ქართული ენის ძირებს სწვდება. წარმართული ელემენტები შემატებულია, ხოლო ცენტრალური, მთავარი „მერიგეს“ (მორიგე, მარიგე) ხაზი მთავარია და მასზეა აგებული მთელი წეს-რიგი. ამ კონტექსტში ქართული ისტორიული ინფორმაცია, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილს და ლეონტი მროველს („მეფეთა ცხოვრება“) აქვს ყურადღებას იმსახურებს, მაგ. „და შემდგომ დაივიწყეს ღმერთი დამბადებელი თვისი და თაყვანს სცემდნენ მზესა, მთვარესა, ვარსკვლავთა და ნივთიერთა და პირუტყვთა და შემოერიათ გარე-

განი წარმართნნი: სპარსნი, თურქნი, ასურნი, და ბერძენნ და შემდგომად ურიან. და იტყოდიან ესოდენითა ენითა. და უმეტეს დაივიწყეს დამბადებელი თვისი და წესნი და ჩვეულებანი თვისნი". (17 საუკ. ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოისა საქართველოისა"). „ ქართული ჩვეულებანი" გაიგივებული იყო „დამბადებელის" ღმერთის რწმენის წესთან, ეს ძალიან საინტერესოა ჩვენთვის. ისტორიულ პერიოდში რა თანამიმდევრობას ჰქონდა ადგილი, ამოუხსნელია. სიმბოლო-ნიშნების მიხედვით ხევსურეთში დავითის ვარსკვლავის და სემიტური ნიშნების კვალი არ ჩანს. თვითონ ქართული ენა ენათმეცნიერებაში, სტადიური კლასიფიკაციით წინაინდოევროპულ ენების ჯგუფს მიეკუთვნება. იგი შედარებულია უძველესი კულტურის ხალხთა ენებს, როგორიც არიან: შუმერული, ელამიტური, სანსკრიტული, თაბალური, ხათური და ხმელთაშუაზღვის მკვდარ ენებს: კრეტულ, ეტრუსკულ და იბერიულ (პირენეის) ენებს. ქართული ენის არქაულობა და ამავე ენაზე ძველი აღთქმის მსგავსი ღვთისმსახურება ორგანულად ურთიერთკავშირშია. ღვთისმსახურების კონსერვატიულობა და ტრადიციის მდგრადობა ენის სიძველეს ინახავდა ყოველთვის. ხევსურულ სალოცავებში დაცული ნიშნები რამდენად უკავშირდება ამავე სალოცავების საკრალურ ბუნებას, ამის გარკვევა დღეს უმთავრესია. საჭიროა სიღრმისეული გენეზისის ძიება და სისტემურობის ხარისხი. შედარებითი ცხრილის მიხედვით, რომელიც ჩავრთეთ მონოგრაფიაში „ფარული ნიშნები" [15], გარეგნული, გრაფიკული ფორმების შედარება შეიძლება შუმერულ, ხარაპულ (სინდურ), კრეტულ და იბერიულ დამწერლობის ნიშნებთან. მსგავსება 25-35 -მდე ერთეული ფიგურაა. 8-9 ერთეული ნიშნის მსგავსება ნაკლებად საყურადღებოა, ხოლო უმეტესად განმეორებული ფიგურა უკვე სერიოზულად საკვლევია. აქ შემთხვევითობა გამორიცხულია და ენის ფაქტორი უფრო უწყობს ხელს, ამ დროს. 2011 წლის ინფორმაციით, ასეთივე პიქტოგრამებიანი ქვები ლაზეთის მთიანეთშიც (არქაბი) აღმოჩნდა. იქაური ტოპონიმიკა და გეომეტრიული დეკორი რამდენად კავშირშია პიქტოგრაფიულ გამოსახულებებთან გასარკვევია.




საერთოდ დამწერლობის ისტორიაში პიქტოგრაფიული (ხატოვანი) და იდეოგრამული ფიგურები უფრო მეტი იყო, რადგან თითოეული ფიგურა შესაბამებოდა სიტყვას, ხოლო სილაბური და მარცვლოვანი დამწერლობის ჯგუფები შემცირებული რაოდენობითაა ცნობილი. საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონში მატერიალურ კულტურის ძეგლებზე დაფიქსირებულია 50-მდე განსხვავებული (სისტემური) ნიშნები. მათ შორის ჯვარ-სალოცავებზე და ამ სალოცავებთან არსებულ ციხე-კოშკებზე. სულ 170 ქვა, ზედ 900-ზე მეტი ერთეული განმეორებული წყობილი ნიშნები. ფარულ ნიშნებში ჩართულია ასომთავრულის მსგავსი ნიშნები და გეომეტრიული ფიგურები.

ძველ ქართულ ტრადიციულ სიმბოლო-ნიშნებში (მათ შორის ქართული დედაბოძის ორნამენტის სიმბოლოებში) სემიტური სამყაროს დამახასიათებელი ნიშნები არ გვხვდება (ქრისტიანულ ძეგლების სიმბოლოებს არ ვგულისხმობ), მაშინ თვითონ ივრითში (ძველ ებრაულში) გახდა საძიებელი ასეთი სიმბოლო-ნიშნები. ქართულ ისტორიულ წყაროსთან შედარებით, ძველ ებრაული ისტორია უფრო ძველ ჩანაწერებს ინახავს. სწორედ ბიბლია გახლავთ ის ისტორიულ-თეოლოგიური სახელმძღვანელო, რომელიც ებრაელი ერის გმირულ წარსულს აღწერს. თავისი დადებითი და უარყოფითი ისტორიული პიროვნებების აღწერით გვასწავლის ცხოვრებასა და ღვთისმორჩილებას. ღმერთისადმი ერთგულება და ეროვნული თვითმყოფადობა განუყოფელია და ამაზეა ებრაული ბიბლიის დედააზრი. აღმოჩენილია ძველ ებრაული წარწერების ტექსტები ძვ.წ. 8-10-საუკუნისაა (გეზერის კალენდარი) და ისინი ღვთისმსახურების შესახებ არის. ბიბლიის მკვლევარები შტადე, ჰოლცინგერი, ბუდე, გუნკელი, ველჰაუზენი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ შესაქმეს ნიგნში შესულია (წინაინდოევროპული ენიდან) ქალდეველთა ურიდან სხვა ხალხთა გადმოცემები და რიტუალებიც. მათ შორის შუმერული მითოლოგიები და გადმოცემები. მკვლევარები გამოარჩევენ (დღევანდელი მონაცემებით) არაებრაულ სახელებს მაგ. თობელი, ლამეხი, მეთუშელი, ჰენოხი [2] გვ. 408. ასევე მუსიკალური საკრავი ინსტრუმენტების სახელებს: ბანბანი, ებანი და სხვა. გადმოცემებთან და სახელებთან ერთად უძველესი სიმბოლო-სკრიპტებიც გასათვალისწინებელია. ბიბლიური გადმოცემით ებრაელთა ერთ-ერთი (მთავარი) წინაპარი ებერი იყო (დაბ.19.25), რომელიც „წყალში გამსვლელი"-ს (მდინარეზედ გამსვლელი) მითიური მნიშვნელობით არის ცნობილი [19]. „ებერ" – იქითა მხარეს, ასეთი შესატყვისობაც ცნობილია. „ბერეშიტ" – დასაბამად საწყისი, „ბერით" – ახალი აღთქმა, „ბერა" – ჭრა, „ბარა" – შექმნა [13]. ებერთან ერთად იბერის ეტიმოლოგიაც საინტერესო მსგავსებას ამჟღავნებს. უძველესი „ჰიბრუ" და „ნიპპურ" სახელწოდებებსაც ერთნაირად ასახელებენ, მაგ. NI.IB.RU (М. Зильберман). მზის და მთავარის კალენდარული აღრიცხვიანობის შემოღებასაც შუმერული პერიოდიდან ვარაუდობენ მკვლევარები, რომელსაც ებრაული და ქართული ისტორიკოსები იყე-

ნებდნენ, ე.წ. „დასაბამისმიერი“ დროით ძველ ქართულად დღეს 7621 (2017) წელია. ჩანს ეს წელთაღრიცხვაც შუმერული პერიოდიდან მოდიოდა და არა მართლა დასაბამიდან (ავტ). ჩვენი აზრით, „ებერი“ – რაღაც მნიშვნელოვანის „გადმომსვლელი“, გვიან მიაწერეს მდინარეზე გადამსვლელს. „ებერი“ – გადამსვლელი ასეთი შესატყვისობა ქართულ ენაშიც ნაცნობია, მაგ. „ებირება“, „გადაბირება“, „შაუნდნას იმასავ, თუ სხვაგნიურ, სულ რა ებირებოდასავ“ (ხევს.ლექს. ალ. ჭინჭარაული). ცნობილია გადასვლები სახელწოდებებში: „იბერი“ და „იმერი“ (იქითა მხარე). ბიბლიის მკვლევარი ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლაბიოსი აღნიშნავდა: „თობელმა დაფუძნა თობელები, რომლებსაც ახლა იბერები ეწოდებაო“ (გეორგიკა 1. გვ. 271). აქ ქართული ბერიკაობის რიტუალია საინტერესო და ამას მოგვიანებით აღვწერთ. ბიბლიაში თობელის ანუ თუბალ-კაენის შესახებ ნათქვამია „ესე იყო კვერით ხუროი მჭედელი რვალისა და რკინისა“ (შესაქმ. IV, 22). საქართველოში აღმოსავლეთ რეგიონშია „თებულოს“ მთა. აქ შემორჩენილი ტოპონიმები მსგავსია მესხურ-ლაზურ-ჭანურ სახელწოდებებთან, მათ შორისაა: „შუბან“ (ლაზეთი), „შუბან ნერგის ანგელოზი“ (ხევსურეთი. ლიქოკის ხეობა), ლიქონა (ლიქოკი), არხოტა (არხოტი), ორბეთი (ორბეულთა), კვარშა (კორშა), ოშკი (როშკა), გველეთი, კვირინმიდა, ღული (ღულალისი), აბულთა (აბულეთაურნი. ხევს.), ბისო, აკნელი (აყნელი), ხალდიზენე (ხადუ), ტბენი (ატაბე), აჭე, შატბერდი (შატილი), გიორგიწმიდა, აწუნდი(წუნდა), ჯავახი (ჯავახე. თუშეთი) და სხვა. ბიბლიურად წარღვნის შემდგომ, „ებერი“ არ მონაწილეობდა ბაბილონის გოდოლის შენებაში და ენობრივ აღევაში არ მოხვდა. ამ დროს „ერთ ჭეშმარიტ ღმერთს სცემდნენ თაყვანს“ ასეთი ინფორმაციაც ინახება ბიბლიის მიხედვით, შემდგომ დაიწყეს უკეთურობა და იწყეს „გოდოლის შენება“. ჩვენი აზრით, ზემოთ ნახსენები, „წყალში გამსვლელი“ წარმოადგენს უფრო ძველ მითიურ წარმოდგენას მაგ. შუმერული მითოლოგიით „ღვთაებრივი წყლიდან განუნიდან“ ღვთაება ამოდის (მათ შორის ინანა), იგივე „უთუსეული ენგურის სახლიდან“ ზე- კაცის ამოსვლა (შუამდინ. მითოლოგია ზ. კიკნაძე).





„განუნი“ და ქართული დედაბოძის სიმბოლო-ორნამენტი

ანალოგიურად ქართულ-ბასკური ენებით „იბერის“ დაკავშირება წყალთან, მდინარესთან და ტბასთან (ტაბალი) ცნობილია. „ტაბალ“ – ებრაულად წყალში ნათლობაა (ტაბუირება – დაფარული საიდუმლოება). ენათმეცნიერები „ტაბალს“ და „იბერს“ ერთმანეთს უკავშირებენ. სახელწოდება იბერი (ბერ) ღრმა წარსულში არსებობდა და ამ ენაზე მოსაუბრე ხალხები, წინაინდოევროპულ ენაზე მოსაუბრე ხალხად მოიაზრება. „მესხნი ჩვენაც გვყვან წყლისანი“ – ასეთი ხალხური ლექსიც მოიპოვება ხევსურულ პოეზიაში. „წყლისანი“ ღვთიშვილები იყვნენ ასეთი მონაცვლეობაც სჩანს მეორენაირ ამავე დროის ლექსში: „ხორეჯნ ჩვენც გვისხენ ღვთიშვილნი“. შუასაკუნეების ხალხურ თეოლოგიურ წარმოდგენაში „ღვთიშვილების“ „წყლიდან“ მომდინარეობის შესახებ წარმოდგენა, რომელიც ხალხურ ლექსშია, შემთხვევით არ შემორჩენილა (მსგავსება „ბერიკაობის“ დღესასწაულთან). ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესოა სიმბოლოების და ორნამენტების კომპოზიციებიც, სადაც ანთროპომორფული ფიგურები წყლის (დაკავკაული და დატალღული ორნამენტები) მნიშვნელობის მსგავს სიმბოლოების შიგნით ან გვერდით ხშირად გვხვდება, ქართული დედაბოძების დეკორატიულ გაფორმებებში და ძველი ავეჯის სიმბოლოებში. ტერმინი „წყალობა“ (შეწყალება) ღვთისმსახურების ენიდან მოდის ასევე და ჩვენი აზრით, „ღვთაებრივი წყლის“ გადმოცემას მიუთითებდა. წყლის კულტის ნაშთები შემორჩენილია პირენეის (იბერიის) ნახევარკუნძულზეც და ქართულ სამყაროშიც „ვეშა წყაროს“ მომდინარეობა „სიცოცხლის ხესთან“ არსებობს, მითოლოგიური გადმოცემებით. ფარული ნიშნების მსგავსი განლაგება ჩანს ერთ-ერთ ქვაზეც იხ. სურ. 102. [15].



აღნიშნული საკითხი ცალკე საკვლევი თემაა და ბევრად მდიდარ მრავალფეროვან გამოთქმას და საკულტო ობიექტებთან დეკორულ-იდეურ კომპოზიციებს წარმოადგენს. სახელ-ტერმინების მსგავსება შეიძლება შემთხვევითიც იყოს, მაგრამ როცა საქმე რწმენას და ღვთაებრივ წარმოდგენებს ეხება, მაშინ საეჭვოა ფაქტები უბრალო, მსგავსებას მივაწეროთ.

ძველი ბერძენი და რომაელი გეოგრაფების ინფორმაციით სახელი იბერის ისტორია იმდენად ძველია რომ, იმ დროსაც, ე.ი. ანტიკურ დროსაც, იგი, უკვე, ღრმა


წარსულის მქონეა. ქართულ ლექსიკონში ფუძე „ბერ“ ღრმად გამჯდარია და უძველესია. ჩვენი აზრით, „იბერი“ არის ღვთისმსახურებიდან და მისი წარმოდგენიდან მომდინარე (იხ. „ბერიკაობის“ რიტუალი). „ბერ“ მთავარია და „ი“ თავსართია როგორც მაჩვენებელი მაგ. ი-სარი, ი-მერი, ი-რემი, ი-ელნო (მთა), ი-არა, ი-არაღი და სხვა (ი და ე პრეფიქსებია და მათი მონაცვლეობაც ცნობილია, მაგ. „ებრო“, „ებირება“). ხევსურულ ჯვარ-სალოცავებში შემორჩენილი „საბეროები“ მიუთითებს წინაქრისტიანულ ღვთისმსახურების კვალს. საბერო ოთახია სალოცავს მიშენებული, სადაც ჯვარის მსახურნი ღამეს ათევდნენ დღეობების დროს [8]. „საბერო“ რომ უძველესი დროისაა, ამას ადასტურებს „ბერ ბაადურის“ შესახებ სალოცავთან დაკავშირებული გადმოცემაც და საბერო „ნინახთისა“, სადაც კოპალას, ქოხსამლოცველო ჰქონია და აქვეა „სანეს“ გორიც (ფშავი,შუაფხო). ფშავში არის ერთი საინტერესო სახელწოდება „ცაბაურთა“, რომლის წამომავლობა ამოუხსნელია და ამის შესახებ არავინ დაინტერესებულა, რათა ღრმად გამოკვლეულიყო. ჩვენი მცდელობით ნაწილობრივ შევეცადეთ აღგვედგინა უძველესი წარმოდგენა და ლოცვები, რომელიც ამავე სალოცავში ტარდებოდა, მაგ. ადგილობრივი ხევისბერი ხვთისო პატარაშვილი (80 წ. 2012წ. ბულაჩაური), რომელიც აქ „მთავარანგელოზის“ სალოცავში მსახურობდა 36 წელიწადი, იხსენებდა ძველი ლოცვების შინარსს: „დიდება შენდა მთავარანგელოზო, ცასმაარულო, ცასბარებულო, შენა გამარჯვებით, ჩვენდ წყალობა, დიდება დიდო მთავარენგელოზო“... . ვფიქრობთ ამავე სალოცავის სხვა ლოცვებიც ასევე ჩასაწერი და შესადარებელი იყო და ასე შეიძლება ამოხსნილოყო „ცაბაურთას“ სალოცავის ქართული წარმომავლობა. სალოცავებში ხუცესის მთავარ თასს „ბარძიმნი“ ეწოდება და ესეც ბერის სასმისს მიუთითებს (ქართ. მი-ბარ-ებული. ასეთი სახელწოდება სპარსულ ენაშიცაა, მაგრამ „ბარ“ და „ბერ“ ფუძე უფრო ქართულ ენაშია ღრმად გამჯდარი და მას მრავალნაირი განშლაც მოეპოვება). აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონში ცნობილია მდინარე „იბერის“ არსებობა (სტრაბონი) და დღევანდელ „იორს“ შეესაბამება ეტიმოლოგია (იბერი-ივერი-იორი). ამ მდინარის ხეობაში არსებობდა დასახლება „ბერი“ (დღევანდელი ჟალეთი. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ადრე ერქვა „ბერი“). „ჰიბერი“ ასეთი სახელწოდება რომაულ პერიოდში არსებობდა. „ბერ“ ფუძე- სახელწოდება უცხო არაა ახლო აღმოსავლეთისთვის, მესოპოტამიის დასავლეთით ისრაელის მიწაზე მდინარე იორდანიის ტბას, ტიბერიის ტბა ეწოდებოდა. უფრო უძველეს შუმერულ მითოლოგიაში ცნობილია „ბეროსოსი“ – ძველი ღვთაების სახელი და „ბარა“ – უზენაესის მნიშვნელობით იხსნება (შუამდ. მით. ზ.კიკნაძე). ამავე მითოლოგიაში ნახსენებია „ქუსინგ“ (უზენაესი ქურუმი), რომელიც „ხუცესი“-სთან მსგავსია, ჩვენი აზრით, ასევე მსგავსებაა „მერიგე“ (მორიგე,მარიგე) შუმერული „რიგმუ“ – „პირველი ღვთაებრივი უდიდესი ხმა“, რომელმაც წესრიგი მისცა სამყაროს (ღმრთის დაბადების წინა ხმა). თუშეთის ჯვარის მსახური „შულტა“ ძა-

ლიან ჰგავს, ასევე შუმერულ „შულპაეს“ – „ახალგაზდა უფალი გამობრწყინებული“ (იქვე). ბოლოს მთავარი, ხევსურეთში ბერიკაობა იმართებოდა ახალ წელს, გამცხადებას (18 იანვარი), გუდანის ჯვარში, განმცხადება-წუხრას აქ იცოდნენ „ბერიკაობა“. „ბერ-ბაადური“ გუდანის ჯვრის სახელია, „გმირმა ბერბაადურმა - გუდანის ჯვარმა დელამფარი უფარა“ (ბაჩანა რაზიკ. „რამე-რუმე მთისა“). ბერიკაობის თემა ცალკე, ღრმად საკვლევია, რადგან მთაში მისი რიტუალური ფორმები და სემანტიკა, უფრო ძველ წესებს შეიცავდა. მთავარი პერსონა „ბერიკა“ ატარებდა სხვადასხვა ნიღბებს და უფრო ხშირად მიღებული იყო კურდღლის, ღორის და თხის ნიღაბი. კურდღლის ნიღბიანი ბერიკა ჯვარ-სალოცავიდან კურთხევით გამოდიოდა და ჯგუფთან ერთად დადიოდა სოფლებში. მუსიკის და მღერის თანხლებით დადიოდნენ ოჯახ-ოჯახ და აგროვებდნენ შესაწირავს. ბერიკას კურდღლის ნიღაბი თავისი ღამაზად გაწყობილი ულვაშებით ძალიან დაფასებული იყო და ულვაშის „წართმევა“ ბარაქის მომცემი იყო ოჯახისთვის. „წაგლეჯილ ულვაშს პურის მოსაზელ ვარცლში ჩააგდებდნენ და ეტყოდნენ: „ბარაქასა არათასა, ბარაქასა ბევრათასა“.. „ბერიკა“-ს ვითომ დაიჭერდნენ და მოკლავდნენ, მერე დედოფალი წყალს აპკურებდა ან პატარა წყალში ჩააგდებდნენ და „გაცოცხლდებოდა“. იყო დიდი მხიარულობა“ (გოგოლაურთის ხევისბერი. ფშავი. მუქო. ფილიპე ბაღიაური 82წ. 2012წ.) „ბერიკა“ ამ შემთხვევაში სალოცავთან დაკავშირებულია და იგი ამაღორძინებელი, ხვავისა და ბარაქის მომტანია სიმბოლურად. „ამ მხიარულობის სიცილის ბუნება, ბუნების სიცილში იღებს სათავეს, იმ ბუნებისა, რაც გვამყოფებს. სადაც დაუსრულებელი მიწყივ ახლად მშობი ამაღორძინებელი სხეულები და ფორმები ურთიერთგარდამავლობენ, სადაც მიკროკოსმოსი ღიაა მაკროკოსმოსის მიმართ“ (ზ. ქარუმაძე. რა არის პანტაგრუელიზმი?. ფრანსუა რაბლე, გარგანტუა და პანტაგრუელი. 1991 თბ. გვ. 351-360). (სამწუხაროდ, ბერიკას და დედოფლის მისტერიაში ბაბილონური თამუზისა და იშტარის სახეებსაც ხედავენ, რაც ჩვენი აზრით, არასწორია). ბერიკაობის რიტუალებშია ჩადებულია უძველესი პროქართული მსოფმხედველობის დედააზრი, რომელიც ქართულ ზღაპარშიც გვხვდება, მაგ. დედინაცვალი გერს კლავს, იგი ხედ ამოდის, მისგან სალამურს აკეთებენ, სალამური საუბრობს თავის შესახებ, სალამურს ცეცხლში აგდებენ, ფერფლი აღმოცენდება ისევ მცენარედ და საუბრობს. დაუსრულებელი მოკვდომა-აღორძინების იდეა-მისტერია სწორედ ბერიკაობის დედაზრშია მოცემული, რომელიც ეროვნული თვითმყოფობის, თვითგადარჩენის სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი ხაზია უძველეს ღვთისმსახურებაში. აქ „ღვთაებრივი წყალიც“ ჩანს და წყლიდან ამოსული ბერიკას მხიარული სახეც. „ბერიკას“ მოსვლა იგივე „გადასახვა-გადმოსვლა“ საინტერესო მსგავსებას ამჟღავნებს ებრაული მამამთავრის „ებერის“ შინაარსობრივ გადმოსვლასთანაც. ეს უკანასკნელი, გვიანდელი მატერიალიზებური გადმოცემითაა ბიბლიურ ისტორიაში. მსგავსება „წყალთან“ და „გად-

მოსვლასთან“ არაა მხოლოდ, ასევეა ებრაული წყალში დაფვლა (განწმედა) „ტაბალ“ სახელწოდება. ამას უკავშირდება ხევსურული ზემოთ ნახსენები ლექსი: „მესხნი წყლისანი“-ს შესახებ ხალხური ლექსიც და „წყლის ხალხი“ (ბასკ.) და „ტბის ხალხი“ (ტაბალები. – ქართ.).

ბერიკას პერსონა დღეობაში მთავარია და ხევისბერის თანაშემწეა თითქოს. ფშავში გვიანობამდე იყო შემორჩენილი „ბერიკაობა“, ხოლო ხევსურეთში დღეს თითქმის დავიწყებულია. ჩვენი აზრით, „ბერიკაობა“ არქაული პალეოლითური დროის ხალხური საღვთო წარმოდგენის გამოძახილია, რომელიც წინაინდოევროპულ ენაზე მოსაუბრე იბერიულ და პროიბერიულ ხალხებს ჰქონდათ. „ღვთაებრივი წყლის“ მნიშვნელობა ბერიკაობის მთავარ პერსონასთან „ბერიკას გაცოცხლებასთან“ მთავარია და ამას ეხმიანება შორეული ბასკური ენით „ური“ (ურ) პრეფიქსის და სუფიქსის გამოყენებაც, რომელიც „წყალს“ ნიშნავდა და ნიშნავს (აქ საინტერესოა, „წყალწყალა“ ჩიტს „ურნატა“ ქვიან. (იხ. „ხევს. ლექსიკ“). ხევსურეთში გავრცელებული სახელებია: ბერდია, ბერდიხა, ბერდი, ბერგა, ბერდედა, ბერისძე, ბერდიული, ბერუა, ბებერა, ბერხენა, ბერკა, ბერდედული, ბერა, ადუა, გარსია, გიგა, გიგი, გაგა, აბა, აბაისძე, ალუდა, უთურგა, შარუმა, სამძიმარი, მინანი, თამთინა, ქალდა, თომთინა, უა და სხვა. ცნობილია სალოცავში „მი-ბარ-ება“ ანუ სალოცავისთვის, ღმერთისთვის გადაბარება (მიკუთნება). ასევე დასავლეთ საქართველოშიც არსებობს უძველესი ძეგლის ნაშთები სადაც „ბერ“ ამოსავალი ფუძეა სახელწოდებისა. მაგ: „ნაბერაყუ“, „ბერიკლდე“ და სხვა. ძველქართული ქალაქური სადღესასწაულო დღეობა „ბერიკაობა“ მხატვრულ სახიობაში გადასული პერსონაა, რომელსაც რწმენასთან კავშირი გაწყვეტილი აქვს. ენათმეცნიერები „ბერის“ ეტიმოლოგიას „ბრძმედი“, „გრდემლი“-ს სახელთანაც აკავშირებენ, როგორც ლითონის დასამუშავებელ ხელსაწყოებთან (ენათმეცნიერი, პროფ. მ. ქურდიანი). ქართულად ფერად ლითონის სახელი „თითბერი“-ც ძველია. ჩვენი აზრით, „ებერი“ და „ბერი“ უფრო თეოლოგიური სახელწოდებაა ვიდრე გეოგრაფიული. „ბრ“ თანხმოვანთა კომბინაცია ნათებასთან და ბრწყინვასთანაც (ბრიალი, იბერთქნა – ხმაურით გაცეცხლდა) გვხდება ქართულ ლექსიკონში. „ბერ“ – სახელწოდება უცხო არაა იბერიულ-კავკასიურ ენაშიც, მაგ: ვაინახურში იგი „დაბადებასთან“ და „დამბადებელთან“ კავშირშია (Бераш ден ца- მშობლიური სახლი, Бер динарг – სამშობიარო). ბერის სახელი უძველესი დროიდან საღვთო წარმოდგენებში და გეოგრაფიულ ადგილებიდან მოდიოდა (ქართ. „ბარი“ და ბასკური „ბარ“ – ჭალა. „იბაი“ – მდინარე. „იბერ“ – მდინარის, წყლის ხალხი. (იხ. რ. ლაფონი („ბასკური ენა და ბასკურ-კავკას. ჰიპოთ“ 1976)). რაც დღეობებში ნაშთებად შემორჩა იგი საღვთო რიტუალიდან იღებდა სათავეს, ასეთია მკვლევარების აზრი. იბერიულ სკრიპტოგრამებში „ბე“ მარცვალი აღინიშნება ცალ მხრიდან სამსხივიანი წრით, რომელიც მსგავსია ეგვიპტური იეროგლიფის „ათინ“ (ატი) გამოსახვასთან.

იბერიული „ბე“, „გე“ [16] და ხევსურეთის სოფ: კისტანის ღვთისმშობლის სახელობის სალოცავთან „საკვირაოს“ გორზე ციხის ქვის ნიშანი, იხ. სურ.95 [15]



იბერიული (პირენეის) დამწერლობა ანბანურ-მარცვლოვანია, გეომეტრიული ფიგურები ასტრალურ-კოსმოლოგიური ხასიათისაა და მხატვრულად ჩამოყალიბებული ნიშნებია. ამ დამწერლობის წარმოშობა მკვლევარებისთვის ერთმნიშვნელოვნად არ არის ამოხსნილი. იბერიულის მსგავსება საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილ პიქტოგრამებთან შესამჩნევია.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემორჩენილია ქურუმი-ქადაგი ქალის „მინანის“ შესახებ გადმოცემაც, რომელიც წმ. ნინოს არქეტიპია და ზოგჯერ იგივდება კიდეც. მის სახელს უკავშირებენ „ჯვარისმსახურებისნ დარსებას და კარატის, გუდანის, ხახმატის ჯვარ-სალოცავების წარმოქმნას. ჭალაისოფელში „კარატისნ ჯვარ-სალოცავში აღმოჩენილია ფარულ ნიშნიანი მინანის „ქვა-ტაბლან, რომელზეც „დღეობებში ქადებს აწყობდნენ და სანთლებს ანთებდნენ“ (ადგილ. ხუცესი იმედა ლიქოკელი 65 წ.) „მინანისნ სახელიც საინტერესო მსგავსებას ამჟღავნებს შუმერულ მითოლოგოსებში დაფიქსირებულ „ინიმინინ – „პირველი ღვთაებრივი სიტყვასთან. აქ უნდა აღვნიშნოთ ფერეიდნელ ქართველებში „ანინა--მანინასნ დარ-ავდრის სავედრებელი ლოცვები (ლექსო მამულაშვილი. ქ. თორელი.ფერეიდანი). შუმერულ ენის საღვთო სახელ-ტერმინების გარდა მსგავსებაა ამავე უძველესი კულტურის პიქტოგრამებთან და სიმბოლოებთან, (იხ. „განუნინ და „ენგურისნ გამოსახულება და ქართული დედაბოძის ორნამენტული სიმბოლო) იხ.ზემოთ გრაფიკ. გამოს. ქართულ გამომსახველობით დეკორში გეომეტრიულად სტილიზირებული სიმბოლოები ორნამენტის ფორმით გვხვდება საკულტო ობიექტებზე. საინტერესოა რომ, დასავლეთ საქართველოს მდინარე „ენგურის“ სახელის მსგავსად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ხევსურეთში სოფლის შუა საღვარე ქუჩას „ენგურინ (ინგური) ჰქვია და ეს სახელწოდება შატილის შუა ქუჩას დღემდე შემორჩა. კოპალა და იახსარი ბერებად იცნობიან და საინტერესოა რომ, იახსარს თავისი საბერო და სამლოცველო ქოხიც ჰქონია „ნინახთისა“, „ნინახი“. აქ

„ნანა“ ღვთაების და „წმ. ნინოს“ სახელები ურთიერთჩანაცვლებულია. რას ამბობს ბიბლია აბრაამზე და უძველეს ღვთისმსახურებაზე?

ბიბლიური ინფორმაციით აბრაამი ქალდეველთა ურიდან გამოვიდა და გამოიტანა ღვთისმსახურების ტრადიცია (მელქისედექის დალოცვა. დაბ. 14: 18-20). მელქისედექი „უზენაესი ღმერთის მღვდელინ (პავლეს ეპისტ. ებრაელთა მიმართ. თავი 7) ასეთია უცნობი მონოთეისტი ღვთისმსახურის აღწერა ბიბლიაში. ეს ღვთისმსახური ნახსენებია კუმრანის ტექსტში „მიდრაშ მელქისედექნ, როგორც „წმიდათა მეფე“ და „მარადიული მღვდელი მუდამ“. იგი თითქოს წარღვნამდელია და მისი ღვთისმსახურებაც წინა დროისაა (ენოქის წიგნი, ესეელთა ორიგინალიდან). გაურკვეველი წარმომავლობის „უმამო, უძმო უნათესავო“ მელქისედექი საინტერესოა ჩვენთვის, რადგან ქართულ ხალხურ მითოლოგიაშია ასევე „უმამო, უძმონ ამირანის ეპოსი. ბიბლიურად, ამ დროს, საფიქრებელია უძველესი ღვთისმსახურების წესებიც და ამ ღვთისმსახურების შემნახავი და გადმომცემი სკრიპტები (ფარული ნიშნები). არქეოლოგი ლეონარდ ვული, რომელმაც გათხარა უძველეს ქალაქ ურის ადგილები (25-30-იანი წ.) მან აღმოაჩინა 1840 სამარხი (ძვ.წ. 2500 წ.) და უმეტესი თავის ქალა კავკასიურ-ევროპეიდური რასისაა. ბიბლიური აბრაამის დროის დამწერლობის ნიშნები გაურკვეველია და სასაუბრო ენაც[21]. მითიური გადმოცემით, ბიბლიური „ჰენოხის ენა“ დაკარგულია. როგორც მკვლევარები ამბობენ, ბიბლიური – ეს პერიოდი, ისტორიოგრაფიული არტეფაქტებით უცნობია. „აბრაამის („ხა-იბრინ), ეტნონიმი „ხა-იბრინ ძალიან არქაული წარმომავლობისაა ახლო აღმოსავლეთის ისტორიულ წერილობით წყაროებში (М.Зильберман). „Ибру, Ибри . (пересекшие реку Евфрат) – слово из Шумерского языка“.[28]. ბიბლიური „უფლის აღთქმული“ მიწის დაკავება და ადგილობრივი ხალხის განადგურებას თავისებური არქაული გადმოცემა გვაქვს ქართულ მითოლოგიაში, როცა მიწას ველურები „დევები“ არიან დაპატრონებულნი, რომელიც ადამიანის ჭამასაც არ ერიდებიან. მაშინ ღმერთის მითითებით „ღვთიშვილნი“ ჩამოდიან, პირველად გერგეტის ტერიტორიაზე და ეხმარებიან ადამიანებს მიწის დაკავებაში. ჩვენი აზრით, აქაც უძველესი ისტორიული მითოლოგიზირებული მოვლენის გვიანდელი ინტერპრეტირება ჩანს, რომელიც კეთილის გამარჯვებაა ბოროტებაზე, ანუ ისტორიულად ადამიანების გამარჯვება ველურ და სასტიკ არსებებზე. ველური დევების ამბავი ზღაპარშიც დამკვიდრებულა, სადაც პატარა, სუსტი და ჭკვიანი ნაცარქექია ამარცხებს ბოროტ დევს. მთაში ამ ბრძოლების გამარჯვების ადგილებშია სწორედ ჯვარ-სალოცავთა გვიანობამდე მოღწეული კვრივები და ციხე-დარბაზები. საქართველოს ტერიტორიაზე ბევრგან არის დაფიქსირებული „დევისხვრელის“ გამოქვაბული, „საკერპო“, „დევთანადგომი“ (ზემოთიანეთი), „დევის ნასახლარი“, „დევის ნაციხვარი“, „დევის საფლავნი“ (უკანაფშავი), და სხვა. მითიურად „დევი“ ველური არსებაა და მისი გამოჩენა შიშს იწვევდა. ამ მითიური დევების გამოა, რომ

ყოველ სოფელთან არსებობს ე.წ. „უფრიანი“ ადგილი, ანუ მოსარიდებელი ხევი, რომელიც კეთილის ჯვარ-სალოცავის საპირისპირო საკრძალავი ცუდი ადგილი. იქ ადამიანის მისვლა და გავლაც არაა მიღებული. „უფრიანის“ შესახებ საუბარიც კი არაა მიღებული, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.

საქართველოში შემორჩენილ საკულტო ძეგლებთან დაფიქსირებულ ფარულ (სკრიპტებზე) ნიშნების შესახებ, გამოცემულ მონოგრაფიაში („ფარული ნიშნები“) განგებ არ აღვნიშნეთ და არ ვაჩვენეთ, შედარებით ცხრილში კიდევ ერთი რიგის სიმბოლოები. საქმე ის გახლავთ რომ, ამ სიმბოლოების ჩვენებით უფრო გავართულებდით ისედაც რთულად ასახსნელ ფაქტებს და უფრო გაურკვეველობას გამოიწვევდა. სირთულე არა მარტო გრაფიკულად მსგავსებაა, ასევე ღვთისმსახურების (ძველი აღთქმის) ანალოგიური წეს-ჩვეულებანი. საქმე ეხება ე.წ. „კაბალას“ თილისმების ნიშნებს და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემორჩენილ ფარულ ნიშნებს.

კაბალა არის უძველესი სწავლება და ფილოსოფია, რომელზე დაყრდნობითაც წარმოიშვა ებრაული საღვთო წიგნი „თორა“. კაბალას ეზოთერული მომდინარეობა მე-2 და მე-12 საუკუნეში გამოჩნდა. იგი ეყრდნობა ეცირას, ბაგირის, ზოჰარის სწავლებებს და მათ ნაწერებს (რაბინი იცხაკ ლურია აშკენაზი). მასში გაერთიანებულია 2-ე საუკუნის გნოსტიციზმი და ნეოპლატონიზმის შეხედულება. კაბალას ცნობიერება მოტანილია ისტორიული აბრაამის, მოსესა და სხვა ბიბლიური პატრიარქების მიერ (კაბალას ისტორია). მას ინახავდნენ საიდუმლოდ და თაობიდან თაობებს გადაეცემოდა, „სულიერი ენერგია, რომელიც მოდის აბრაამიდან“ (კაბალს მიხედ.). ჩვენთვის საინტერესოა კაბალას თილისმების სიმბოლოთა ისტორიული ხაზი და გრაფიკული ფორმების თავისებურებები. პირველ კაბალისტად აბრაამი ითვლება, რომელმაც შეკრიბა უძველესი ინფორმაცია და ღვთის მითითებით ჩაწერა. კაბალა საიდუმლოებით მოცული ჰემატრიებითა და სიმბოლო-ნიშნებით იყო ცნობილი. გამოიყენებოდა ე.წ. უძველესი „ენოხის ენა,“ რომელიც დღეს ებრაულ სამყაროში დავიწყებულია. მოგვიანებით ხელოვნურად, მედიტირებით შექმნილი „ანგელოზების ენა“ ოკულტურ რიტუალებს ემსახურებოდა (ეიდენის ენა). კაბალას თილისმების სიმბოლოები ასტრალურია და ძველებრაული დამწერლობიდან (?) მოდიოდა, თუმცა გაურკვეველია წინარე დამწერლობის ასოები და პიქტოგრამები. ჩვენი აზრით, ძველ ებრაულში სად და როგორ არსებობდა (ჯ. დის და ე. კეპის ინფორმაციით 16-ს.) ამ სიმბოლოების წინარე ნიშნები, ღრმად გამოსაკვლევია. სწორედ ჰემატრიები და ასტრალური ნიშნები იქცევს ჩვენს ყურადღებას, რადგან ფშავ-ხევსურეთის და თუშეთის პიქტოგრამებთან და ფარულ ნიშნებთან 30-მდე (ერთეული) მსგავსია. იხ. კაბალას თილისმების ნიშნები.



სანამ კაბალაზე კიდევ ვისაუბრებდეთ, ჯერ აღვნიშნოთ ქართულ ენაში რა შეხებაა ამ სახელწოდებასთან? „კაბალა“ ძველ ქართულად ნიშნავს: „ხართა გააბარებენ სასარგებლოდ იფქლითა მოსაცემად პირობითა რითმე სხვადასხვაითა“ (ს. საბა) [12]. ცნობილია გამოთქმა „დაკაბალებული“. ხევსურეთში და თუშეთში არის ერთი სახელწოდება „კამალა“, რომელიც ღმერთის პირდაპირ სამყოფელს აღნიშნავს, „შენს კარს, შენს კამალას დაიყენენ ჟამსა-უჟამოსა, ბნელსა-ცისკარს“... (ხახმატის ჯვარის ხუცობიდან. გ. ალუდაური 2002ნ) [8] ხევსურულად კამალა არის, მერიგეს (მორიგე, მარიგე) სამყოფელი მეცხრე ცაზე (ზოგან მეშვიდე ცა). „ცა ქვეყნის გამჩენო, დამრიგებელო, მომრიგებელო მერიგე ღმერთო“, „თქვენ, თქვენს გამჩენ, მერიგე ღმერთს ნუ მაიწყენთ და ნუ მაიძულებთ, თქვენ გამჩენ მერიგე ღმერთ არ მაგიწყენთ და არ მაგიძულებთ“ [8]. კამალა სალოცავში ყველაზე შიგნით, დაცულ ადგილზეა. ხუცობებში, წინადადებების ბოლოს ითქმება „ადამდე“, რომელიც „ამინ“-ის ნაცვლად იხმარება და გასარკვევია მისი მნიშვნელობა [9]. ძველებურ ჯვარ-სალოცავთა ხუცობებში უმეტესი გადმოცემა მხატრულ-ქარიზმულ სტილშია დაცული და ამაზე თითქმის არავის უმუშავია. მცირე გამონაკლისია „ჯვარის ენის“ შესახებ კვლევები და ისინი სამწუხაროდ მხატვრულ გაფორმებად არის მიჩნეული.

ებრაულ კაბალაში არის ჰემატრიები, რიცხობრივი გამოთვლების საფუძველზე შექმნილი საღვთო სახელები და სქემები. სწორედ აქ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ქართული ენის გამოთქმა „შემოთვლილი“, რომელიც ბრძანებას და რიცხოვნულ ანგარიშსაც გულისხმობს. ხევში, მითოლოგიაში არსებობს ქადაგის სიტყვა: „ძალა და შეძლება ღვთით მაშინ მქონდ შ ა მ ა თ ვ ლ ი ლ, კოჭნმირგვალნ კარზე რომ დამიდიოდესავ“ [8]. ქართულ ღვთისმსახურებაში ჰემატრიები იყო, თუ არა, ასეთი კვლევა აუცილებელია პროფესიონალურად ჩატარდეს. დაფარული უძველესი წესების ნაშთები, ამაზე მეტყველებს. ხევსურულ ღვთისმეტყველებაში „თორა“ და ებრაელი წინასწარმეტყველები არ ხსენდება, რაც ამტკიცებს რომ იგი ძველი დროისაა. თორასთან და თორის ეტიმოლოგიასთან საინტერესოა ქართული ისტორიული საბრძოლო ჩასაცმელი ჯავშანი „თორი“. საბრძოლო თორზე იყო გამოსახული ასტრალური ფიგურები: მზე, მთვარე, პლანეტები, ვარსკვლავები და სხვა ციური მნათობები [6] გვ. 125). დეკორატიულობა შერწყმული იყო საკრალურ-აპოტროფიულ ფუნქციასთან. ხევსურულ ხუცობაში, სადაც ქრისტიანული წმიდა წერილების ტექსტები შეერთებულია უძველეს ტექსტებთან, ერთი საინტერესო ინფორმაციული ადგილია. აქ „სიონელ ძმებს“ ახსენებენ და „ადგეს წავიდეს“-ო, ასეთი თანამიმდევრობაა: „ჩვენო ძმანო სიონისანო, მტკიცენო, მტკიცედ იყვენით, საქმესა ჩვენსა აღმატობდით, განაცუდდა შრომა იყო რემენი, იწვა ეძინა ჩვენისა ოხითა კვირაისითა. ა დ გ ე ს წ ა ვ ი დ ე ს, მახსენეს ღვთის მოწაფეთა ანგელოზთა-ადე, განიღვიძე! ადგა, განიღვიძა დილიხნია ფრია დაძღვეს, ეგენ უფრო საყიდელნია ცათაშია-თქვა უფალმა“. ქართული დღეობების კალენდარი. (ალ. ოჩიაური [9] გვ. 14. აღსანიშნავია ერთი ფაქტი, თუშ-ფშავ ხევსურეთის და მთიულეთის ძველი სალოცავების კარები და ფასადი უმეტესად სამხრეთის მხარესაა მომართული, ხოლო შესაწირავ ცხოველს თავით აღმოსავლეთით აყენებენ, აქაც, ვფიქრობთ გარკვეული ტრადიციული წესი იყო დაცული.

გუდანის ზენა სამხვთო ჯვარში, ხუცობაში იხსენიება „კულხა“. „შენ ხარ კულხელი“ (ხუცესი გადუა არაბული 2004 წ. ჩაწერილია დოკუმენტური ფილმი). ცნობისათვის მსოფლიოს ისტორიაში სხვადასხვა დროს და ადგილას იყო „კულხა“. ყველაზე ძველი შუმერული ურის ქალაქი შემდგომ იხსენიება როგორც კულხა, ეგვიპტის ძველი ქალაქი იყო კულხა და დღევანდელი ლაზეთის წინა პერიოდი ასევე კოლხეთად იხსენიება ძველ ბერძნულ წყაროებში. რომელ კოლხას ახსენებენ გუდანის ზენა სამხვთო სალოცავში გაურკვეველია და ამოსახსნელია. პირაქეთ ხევსურეთში არსებობს სოფ. ხადუ და ამავე ხეობაშია მამიშვილობის მოკლე გვარის ხალხი „ალდიანი“. ცნობილია ხმალის სახელი „კალდიმი“ ასეთივე უძველესი სახელწოდებებია ზემო სვანეთშიც სოფ. ხალდე და გვარი ქალდანი. ხევსურეთსა და სვანეთის უძველესი სოფლის სახელების გარდა საინტერესო მსგავსებაა გადმოცემებთან დაკავშირებითაც, მაგ: ქვიან ქალზე გადმოცემა (სვანეთის ხალდეში),


ხოლო ხევსურეთში სოფ. ხადუდან 5 კმ-ია სოფ. ბლო, სადაც არსებობს ადგილი ქალქვისთავი. ამავე ადგილასაა ბუნებრივი კლდე სახელწოდებით: „ქალიოქროს კლდე“ (?). ცნობილია ფშავის სოფლის სახელი „ახადი“ და ადგილი შუაფხოში „ხადო“. ენათმეცნიერები ამ სახელწოდებებში ხედავენ სწორედ, უძველეს პროქართველთა ხალდების და ქალდების კვალს. „ხალ“ (მოხალვა) ცხელთანაც კავშირშია და მითოლოგიური გადმოცემით, სოფ: ხადუს თავს, ცროლზე, მთავარ სალოცავთან „თოვლი არ მოდიოდა ისე ცხელოდა და სარიტუალო ქვაბებში უცეცხლოდ დუღდა ლუდი“ [9]. საინტერესოა მეცნიერების აზრი „ურ-ქაშდიმ“ სახელის შესახებ, რომელიც ასევე ბიბლიაშია ნახსენები „უკანასკნელი აზრი (იგულისხმება დილმანი რ.ი.) წარმოუდგენელია, რომ სიმართლესთან ახლოს იყოს, ამიტომ რადგან ამ სიტყვის მეორე ნაწილი – „ქაშდიმ“ – ქართველის სახელია: კაშდიმ = კასდივ – ქართივ. აქ ამ და ივ მრავლობითის რიცხვის (= ებ) ნიშანია. ამგვარი ბგერათა ცვლილება ქართულში ჩვეულებრივია. მაშასადამე დაბადების „კაშდიმ“ ქართებსა ნიშნავს, ხოლო „ურ-კაშდიმ“ ურ- არტუს ქართებს.“ (ქართ. ერის ისტორია. 1 ტ. გვ.411 1960 წ.) არსებობს ხალხურ ნაქარგობაში სიმბოლო-ორნამენტი „ხ (ქხ) ადურა“ (ხევს. ლექს. ალ. ჭინჭარაული). შუამდინარეთში ასევე ცნობილია; „ხადუ“ – ძველ აქადურში ჭექა-ქუხილის ღვთაება. არაგვის ხეობაში და კერძოდ ხევსურეთში აღმოჩენილია მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი კერამიკის ნაშთები და სამარხები. მტკვარ-არაქსის დროის კულტურის ხალხი კავშირურთიერთობაში იყო შუმერულ და მესოპოტამიურ კულტურასთან. ეს ეხება მეტალურგიასა და საყოფაცხოვრებო ნივთების არქეოლოგიურ არტეფაქტებს. კულტურული ურთიერთობა ხშირად ერთნაირ გემოვნებას და წარმოდგენებს აყალიბებდა. ქალდეველთა ურის ქვეყანაში ოფიციალური ინფორმაციით არამეულ-სემიტურ ენაზე მოსაუბრე ხალხები ცხოვრობდნენ, მაგრამ ასევე ცნობილია ამ ხალხთა ერთი ჯგუფის პროქართველების შესახებ ცნობებიც(ძვ. ბერძნული ისტორ.წყაროები. გ.ქავთარაძე ანატოლ. ქალთველურ ტომთა საცხოვ. 1985). სტრაბონის მიხედვით (გეოგრაფია. XII. 3, 19-24) ტრაპზონსა და ფარნაკიას ზემოთ ცხოვრობდნენ ქალდები-ძველი ხალიბები, რომელსაც ჰომეროსი ჰალიძონებს და ალიბებს უწოდებს. ლაზეთში დღემდეა ტოპონიმები ოფის ხეობაში „ხალდი“ და „ხალდის მთა“, „ხალდიზენი“. ადიღურ ენის მაფსულურის დიალექტის ხაყუჩურ კილოში ქართველის აღსანიშნავად ძველი სახელია „ხალდე”. ხალდების გავლენით შემორჩენილი ტოპონიმია მთიელ ჩაჩნეთში, ჭანთის თემი „ხილდე“ (ხილდე-ხაროი), კილდე (ხევსურეთი ჭალაისოფელი). ამავე ძირისა აღმოს. საქართველოს მთიანეთის სხვა ხეობის სახელწოდებებიც: „ხდე“, „ხანდო“, „ხადო“. ცნობილია ქალდეველთა ურის (ხალდეველთა ურის) გაუშიფრავი დამწერლობები, რომელიც მსგავსია საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილ ფარულ დამწერლობის ნიშნებთან [16] გვ. 604. კითხვაზე, თუ როგორ შეიძლება უძველესი დამწერლობის გაშიფვრა? აქ აუცილე-

ბელია ორენოვანი (ბილინგვა) ნაწერი იყოს, რათა სარწმუნო მტკიცებულებად ჩაითვალოს. შეიძლება ადგილობრივი ხალხური ტრადიციული ორნამენტების სახელწოდებების გათვალისწინებაც, თუმცა ეს მეორე გზა გაცილებიც ძნელი დასამტკიცებელია. ენა ცოცხალი ორგანიზმივითაა, „მოძრაობს“ და „სუნთქავს“. გულუბრყვილობა იქნება იმის თქმა, რომ დღევანდელი სასაუბრო ენა 3000-4000 წლის წინათ ასეთივე იყო. ყოველ შემთხვევაში გრამატიკული ფორმები, პრეფიქსები და სუფიქსები ხშირად იცვლებოდა ისტორიული გარემოებებიდან გამომდინარე, მაგრამ სიტყვათა ფუძეები დიდხანს ცოცხლობს. მოსაძიებელია ისტორიული ხალხის „ხალდების“ გვიანდელი საცხოვრებელი ადგილები,(თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით) რაც გადაურჩა განადგურებას მცირე ნაშთიც ძვირფასია პიქტოგრამების ან სკრიპტების ისტორიისთვის (და არა მარტო მათთვის).

კაბალა მრავლისმომცველია, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს სიმბოლოები და ამ სიმბოლოთა წარმომავლობის ისტორიული ხაზები. კაბალას საიდუმლო თილისმათა ნიშნები და ჰემატრიები ათასწლეულების განმავლობაში ინახებოდა. მათი გამოქვეყნება მოხდა მე-12 საუკუნეში ი. ელიცურის მიერ, შემდგომ ჯონ დიმ და ე. კეპიმ 16-ე საუკუნეში უკვე უმეტესი ნიშნები გამოიყენეს [23]. მათი სიტყვებით „ანგელოზის მითითებით“. ამიტომ, ნიშნებსაც „ანგელოზის დამწერლობა“ უწოდეს. კაბალას სკრიპტების შესახებ რამდენიმე კვლევა არსებობს, მათ შორის ავტორები: ხ. ფარბრიდგე, ხ. ჯენინგი, ტ. უილსონი, დ. მასკენზიე, ნ. ჯენსენ და სხვა. ყველა მიუთითებს რომ, კაბალას სიმბოლო-სკრიპტები უძველესია. დღეს ეს ნიშნები გამოიყენება როგორც „თილისმები“ (Kabbala talisman). ქართულად „თვალისა“, ანუ „ავის თვალისგან“ დამცავი (კაბალას მიხ.) და დადებითი ენერგიის მომცემნი. კაბალას სიმბოლო-სკრიპტები ზოგი იდეოგრამულია (ლიგატურით), ზოგი-ერთი მარცვლოვანია. მათი მსგავსება სემიტურ დამწერლობის ნიშნებთან მცირეა, ხოლო იბერიულ სკრიპტებთან უფრო მეტია. ასევე პიქტოგრამები შუმერულ და ხარაპულ დამწერლობის ნიშნებთან უფრო მსგავსია. ნიშნების ასტრალური ხასიათი უფრო თვალშისაცემია და ჩამოყალიბებული ფიგურებია. მაგ: კაბალას სიმბოლო-ნიშანი იხსნება როგორც „ზეციური და მიწიერი კავშირის, ანუ მამაკაცური და ქალური კავშირის შემკვრელი. ყოველი არსის ცვალებადობისა და განვითარების საწყისი“.



როგორიც არის ჩინური „ინის და იანის“ ნიშან-სიმბოლო (Ariel Megadriel-March). მსგავსი ფარული ნიშანი ფიქსირდება „მიწის დედური ღვთაების“ სალოცავში ბისო-ხახმატის ჯვარში (ხევსურეთი) ქვაზე ამოკვეთილი. (იხ. „ფარული ნიშნები“ სურ. 40). [15]



„ხახ“ – ძველ ქართულად მკვრივი ადგილია (გოხი, კოხი, ხოხი). ხევსურეთში გავრცელებული იყო კაცის სახელი „ხახონან. ცნობილია თუშეთში სალოცავები „ქვედ ხახა“ და „ზედ ხახა“. „**ხახმატი**“ – „მკვრივი უმეტესი“. ეს სალოცავი ითვლება უხსოვარი დროიდან „რჯულიან-ურჯულოთნ საკრალურ ადგილად. მიწის დედური ნაყოფიერების სალოცავში არსებობს „ხელის კოშკი“ (სამძიმრის კოშკი) [8]. ხახმატის სალოცავი კახეთშიც არსებობს (ყვარელი სოფ. შილდა. ახმეტაში) და ჩვენი აზრით, ეს სახელწოდება უძველესი მატრიარქატული პერიოდის კვალს ამჟღავნებს, როცა ქალღვთაება „მეტინ იყო მამრულ ბუნებაზე. იბერიულ მარცვლოვანი დამწერლობის ნიშნებშიც არის მსგავსი, გამარტივებული ფიგურა (მნიშვნელობა უცნობია). ბისო-ხახმატის ადგილებში შემორჩენილია არქაული ხასიათის ქვაზე გამოსახული ანთროპომორფული ფიგურა. ადამიანის მსგავსი ფრთიანი ფიგურა ამოკვეთილი ქვაზე. (იხ. [15] სურ. 55) სავარაუდოდ „ქალღვთაების“ გამოსახულებაც გვხვდება „სანეს“ გორთან, ზენა სამხვთო გუდანის ჯვარში, (იხ. [15] სურ. 11) ასეთი არქაულობა კაბალას სიმბოლოებში არ იგრძნობა, მეტიც, კაბალას თილისმების ზოგიერთ სიმბოლოს ნაპირებში სამკუთხედი „ებმის“ და ამით ლურსმური დამწერლობის გავლენა ეტყობა. „კონცეპტუალური სიმბოლოებინ აბრაამის მიერ გამოტანილი ქალდეველთა ურიდან (Gardner Laurance. Genezis grall kings. Bantam press, 1999), იქვე, „აბრაამის მიერ მოტანილი ფირფიტები იყო „განაცხადი დაკარგული ცივილიზაციისა“. „განაცხადი იმაზე თუკი კაცობრიობამ რამე იცოდა ძველიდან. შუმერები ასეთ კომპოზიციებს უწოდებდნენ „ბედის ტაბულებს“. ტაბულები იყო როგორც „ხა-გაბალა“ და იყო ნათქვამი, რომ ვინც ფლობდა „გაბალას“, ასევე ფლობდა (Ram) ცოდნას, უმაღლეს გამოხატულებას კოსმიური ცოდნისას“. „შუმერული უძველესი ქალაქი „ნიპურ“ („ჰიბრუ“) გადაითარგმნება როგორც „გადასვლა“, „გადალახვა“, ხოლო ძველ პიქტოგრამებში სახელი „ჰიბრუ“ გამოისახებოდა ჯვრით. В ранных пиктографических письмах „Нибру“ изображалось крестом“ (А.Л Оппенхейн). „ებერი“-ს წინა გამომხატველი სიმ-

ბოლიკა ჯვარი, თავისი ფესვით დაკავშირებულია უძველეს ისტორიასთან". „დიდი გადასვლა" – ასე იხსნება უძველეს შუმერულ ტექსტებში შინაარსი" (Gardner Laurance.). ამ კონტექსტში არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, ხევსურეთის ყოფაში სიმბოლო ჯვრის კულტი და „ჯვარისმსახურების" მდგრადად ჩამოყალიბებული სისტემა. აქ სიმბოლურად ჯვრის საუფლოა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით და სალოცავებში შემორჩენილ პიქტოგრამებშიც ჯვარი განსაკუთრებული ნიშანია ყოველთვის. თუკი სახელწოდება „ებერი"-ს და „იბერი"-ს სემანტიკური კოდი ჯვარს უკავშირდებოდა უძველეს დროს, მაშინ გამოდის, რომ „წმიდა ჯვრის" შესახებ არსებული გადმოცემები, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში ფიქსირდება, ყველაზე საყურადღებოა. კერძოდ, არსებობდა კიდობანი, რომელშიც ინახებოდა ცოცხალი „წმიდა ჯვარი". ეს ჯვარი ხალხს ეცხადებოდა მანათობელი მტრედის სახით [9]. ამ კიდობნით ხამხაში (ჩრდილო კავკასიაში) გადასულან ბოლოს და ხალხი მოქცეულა ჯვარისმსახურებაზე (ჯვარისმსახურების დამადასტურებელია ჯვრიანი პიქტოგრამები ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში და მსგავსი ტოპონიმები). ჩვენი აზრით, „ებერის" და „იბერის" კავშირი ჯვართან მიუთითებს უძველეს ჯვარისმსახურებაზე, რადგან, კიდობანში „ცოცხალი ჯვარი" ინახებოდა. ქართულ ენაზეც თავისუფლად გამოდის სახელის გადასვლები, მაგ; „იბერი" – „ივერი" – (ვარ) – „ჯვარი". ცნობილია გამოთქმა: „საბერო ჯვარი". ჩვენი აზრით, კიდობანთან დაკავშირებით, აქაც, არქაული ხასიათი იგრძნობა და კონკრეტიზირებულია, იგი უფრო მნიშვნელოვანი მითიური ნივთის „ბუდეა". ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომ ხსენებული კიდობანი ებრაულ უფლის კიდობანთან გაიგივდა და ამიტომაც „გაუფერულდა" მის შესახებ გადმოცემები. შუმერულ, აქადურ ჩანაწერებში სახელწოდება „ნიპპურ" – „ხაბირ" – „ებერ" მნიშვნელობები ჯვარს წარმოაჩენს („ფესვით ჯვარს უკავშირდებაო". იხ. Gardner Laurance), თამამად შეიძლება ვიფიქროთ, საერთოდ ჯვარისმსახურების ისტორიულ ხაზზე. ამ დროს ბიბლიური ტერმინი ებრაულად: „ბერეშიტ" (დასაბამი), კიდევ სხვანაირადაც იქცევს ყურადღებას, რადგან ერთმანეთში „ჩაწნული" (ჩაშატული, გადაჯვარედინებული) დროის და სივრცის შექმნა, სამყაროს საწყისში საინტერესოა. ეს ინფორმაცია მყარდება უამრავი, ძველი გრაფიკული (ჯვრისებური) გამოსახულებების ფონზე, რომელიც არა მარტო ქართულ, არამედ უძველეს შუმერულ და იბერიულ (პირენეის ნახევარკუნძული) საკულტო კულტურაშიც მყარად იყო დამკვიდრებული. ჯვრის სიმბოლოები ჩანს კაბალასთან დაკავშირებულ ჰექსოგრამებში და პიქტოგრამებში. კაბალას სიმბოლო-სკრიპტები ებრაული დამწერლობიდან მკვეთრად განსხვავებულია, უფრო მეტიც, ძველ სემიტურ ნიშნებთან მსგავსება ნაკლებია. ცნობილია სემიტური დამწერლობის ნიშნები როგორიცაა: ძველ ფინიკიური, ქანაანური, არამეულის ნიშნები, ასურული, ძველი არაბული, სი-


ნაის მთის სკრიპტები, სამხრეთ სემიტური დამწერლობები: სამუდის, საბეური, საფეის, ძველ ეთიოპური და სხვა [16. 17].


კაბალას სიმბოლოებში ჩანს ჯვრის ნაირსახეობები, ვარსკვლავები, მბრუნავი ფორმები და წრიული ფიგურები. გეომეტრიული ისეთი ნიშნები, რომელიც შუმერულ და ვედურ სიმბოლო-ნიშნებშია. რაც კაბალაში თილისმების ნიშან-სიმბოლოების სახით შემორჩა, მსგავსი საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში სალოცავებში და ამ სალოცავებთან დაკავშირებულ კოშკებზეა დაფიქსირებული. ამ სალოცავებში კი ძველი აღთქმის არქეტიპი ღვთისმსახურებაა შემორჩენილი, რომელმაც მაცხოვრის (ქრისტეს) მოსვლა აღიარა და შერწყმულია რიტუალურად ხუცობის ტექსტებში. თეოლოგიურად ამ ფაქტის დახასიათება ძალიან რთულია, დღევანდელი გადასახედიდან, მით უმეტეს რომ, მთელი საქართველოს მასშტაბით ეთნოგრაფიულად ასეთი კვლევა არ ჩატარებულა. მეტ-ნაკლებად ყველა რეგიონში შემორჩენილა ასეთი ღვთისმსახურების ნაშთები, მაგ: კახეთში ზედაშეს ღვინის გახსნის რიტუალი და „ნანა“ ღვთაების უძველესი ლოცვები და „ანინა-მანინას“ საველრებელი დარ-ავდრის ლოცვა, რომელიც ფერეიდნელ ხალხებშია (თორელი ფერეიდნელები. ლექსო მამულაშვილი.) შემორჩენილი, სალოცავში საქონლის შეწირვა, დედა-ღვთაების იგივე „ადგილის დედის“ საკულტო ადგილები, სალოცავის და დედაბოძების რქებით შემკობა, ქართულ ტრადიციულ საკულტო ობიექტებზე (ფარული ნიშ. მსგავსი) სიმბოლოების გაკეთება, მაგ. ქართლ-კახეთში ზედაშეს ღვინის ქვევრის პირებზე, სამეგრელოში ცხენის დაღები, სვანეთში ლიფანალური ნიშნები, ტრადიციულ ქართულ ქუდებზე და ყაბალახებზე ჯვრის სიმბოლოებით მორთვა, რიტუალური საახალწლო „ბასილას“ პურ-საწირები და მათი სიმბოლოები, საახალწლო ტრადიციული ჩიჩილაკების ჯვრებით მორთვა, დედაღვთაების მიხედვით ქალის სახელზე ძე-დ შემოჩენილი სახელები, მაგ. „ამირან-დარეჯანისძე“ (მითიური), „ნანაისძე“, „ნათელისძე“ „მარაისძე“, „თამარისძე“ (ანალოგიურია, გასკონიის ბასკი მამაკაცები დედის სახელით მოიხსენიებიან) და სხვა სახელ-ჩვეულებანი სათავეს წინაქრისტიანული დროიდან იღებენ. ძველ ბერძნული ასლებში „ოიდიპოსიის წიგნი“ საინტერესო ინფორმაციაა „ებერ“-ის სუბსტანტის წარმოშობასთან დაკავშირებით, რომ თავიდან მატრიარქალური იყო მათი რწმენა და მერე გადაირქმნა. ამის ნაკვალევია ებრაულში დედის ხაზის არსებობა. აღსანიშნავია ერთი ფაქტი, ძველი აღთქმის (არქეტიპი) ღვთისმსახურების ნაშთები სემიტურ ენაზე მოსაუბრე სხვა ხალხებში არ არსებობს, ანუ ამ **ღვთისმსახურებას უფრო ძველი წარმომავლობა აქვს, ვიდრე ინდოევროპული ან აფროაზიული ენები ჩამოყალიბდებოდა.** საქართველოში ამდენი ხნისა და ისტორიული მოვლენების გამოვლით შენარჩუნებული ძველი აღთქმის მსგავსი ღვთისმსახურება, ახალ აზრს წარმოშობს და მის გენეზისს წარმოაჩენს. კერძოდ, პროქართველებს ჰქონდათ ღვთისმსახურება, რომელი უძველეს ენაზე

წარმოიშვა და მტკიცე და „წმიდა“ იყო. საკითხი ეხება შემოტანილ სპარსულ კერპთაყვანისმცემლობამდელ და მზის თაყვანისმცელობის წინარე რწმენის საკითხის გარკვევას და ქართულ ენაში დაცულ ინფორმაციას. ჩვენი აზრით, ე.წ. „ღვთაებრივი“ სიმბოლო-ორნამენტები საკულტო ობიექტებთან არა მარტო აპოტროფიული, არამედ იდეის მატარებელნი იყვნენ.

საღვთო წერილში არის ერთ, ძალიან საინტერესო საგანზე საუბარი, „შეჩერებული ქვა“ (Камень преткновения)-ღმერთის მიერ მოცემული და დადებული იერუსალიმში, რომელიც ჩვენს ყურადღებას იქცევს, „და მივცემ მათ თეთრ ქვას და მასზე იქნება, ახალი სახელი, რომელიც არ იცის არავინ, მხოლოდ მან ვინც მიღებს“ (გამოცხ. 2: 17-18). ბასილ კესარიელის განმარტებაში „ქვა“-ს მაგიერ „რიცხვია“ ნახმარი (შეადარეთ ქართ. „შემოთვლილი“ და „ნათქვამი“). ფშავ-ხევსურეთში არსებობდა და არსებობს საიდუმლოდ „ცოცხალ ქვასთან“ დაკავშირებული გადმოცემაც, რომელიც სალოცავის (კვრივში) თასში ჩასმული ინახებოდა და ძალიან ტაბუირებული იყო მის შესახებ ინფორმაციაც კი. იგი თითქოს ღვთიშვილებისგან დანატოვარი „ ცოცხალი“ კვერცხის ფორმის თეთრი ქვაა, რომელსაც „მკადრეები“ ემსახურებოდნენ თავისებური წესების დაცვით. „მეფის რუსეთის კავკასიაში გამოჩენის შემდგომ, მას საფარველი დასდო ღმერთმა“ (ხევს. სოფ. კისტანი გ. ჭინჭარაული 85 წ. 2004 წლის ჩანაწ.). ეს ერთ-ერთი დიდი საიდუმლოა უძველეს ღვთისმსახურებაში და ვფიქრობთ, ქართულ-კავკასიური ინფორმაცია უფრო არქაული გადმოცემაა.

საინტერესოა რომ, არსებობდა „წმიდა ჯვარი“, რომელიც უძველესი დროიდან მოდიოდა. ასეთი ჯვარი კაბალას სიმბოლოებშიც არის და გარეგნული ფორმით შუმერულ სიმბოლოებს ჰგავს. აღნიშნული ჯვარი საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში საკმაოდ გავრცელებულია და ცნობილია, როგორც სარიტუალო (ფხოური) ჯვარი. ჩვენი აზრით, მოსაკვლევია ე.წ. „ჰენოხის ენის“ შესახებ გადმოცემები და კაბალაში „წმიდა ჯვრის“ ისტორიული წარმომავლობა (იხ. „ჰიბრუს“-ს შუმერული სიმბოლო) [27], რადგან მსგავსი ჯვარი საქართველოს ეთნოგრაფიულ დეკორში გავრცელებული ნიშანია და ასომთავრული „ჰოეს“ გრაფიკული ფორმაც ასეთ ჯვრთან ჩანს კავშირში.






რას ამბობს კაბალას (რელიგიური არსი) სამყარო ასტრალურ-გეომეტრიულ სიმბოლო-ნიშნებზე?.

„ანგელოზის დამწერლობა“ უძველესი დროის სიმბოლოების საფუძველზე წარმოიშვა და საიდუმლოებიდან თანდათან გამომჟღავნდა. თავიდან ეწოდებოდა „ბერეშით“ – საწყისი [24]. „ღმერთმა დახედა სიმბოლოებს (რომლებიც დაწერა) და შექმნა სამყარო“ (ზოჰარი). შეადარეთ ქართული გამოთქმა „ბედისწერა“, სადაც ჩანს რელიგიურ-მაგიური გააზრების საკითხი. „პირველი ნიშნები რომელიც მიმართულებას აძლევს ყველაფერს“ (კაბალას მიხედვით). „ასეთი ნიშნები გამოყენებული იყო მანამ, სანამ ადამიანი გაჩნდებოდა“ (ეიდენის ენა), ანგელოზები როცა საუბრობდნენ ადამიანებთან (Voarchadumia) ცნობარიდან. (კაბალას მიხ.) მეორენაირად „მდინარეზე გამსვლელი“ (ებერი) დამწერლობა. კაბალაში ცნობილია 200-ზე მეტი ანგელოზის სახელი და მათ შორისაა: ბარაქიელი, არაგუელი, ასაელი, აზაზაელი, არაქიელი, ნანაიან, არმისაელ, გალიელი, ომაელი, მებანიან, ბეზალიელი, ეზექიელი, სარიელი, აბა, აბატონ, აბდია, აბულიელ, ალისტარიონ, ალალიელი, ამატორ, ამელეთი, ანანაელი, ამბერ, არმაიტა, აფსუ, არაფიელი, არაეჩია, არჩანა, არჩანგელ, არურუ, ადად, აზრაული, ბარბოლ, ბარიელი, დარიელი, დარდარიელი, გაზარდიელი, გურიელი, კაბჩიელი, კუტიელი, პურიელი, ქუაბრიელი, საბლო, საჩიელი, გუარდიანი და სხვა. იდეოლოგიურ-სტრატეგიული პოზიციიდან გამომდინარე უფრო ძველი სახელები დემონურ ძალის მქონე ანგელოზების სახელებად არის მიღებული და მათ შორისაა მაგ: კობალა, კობალე, უპირ, ზეპირ და სხვა (G. Brecher). [22] („ელი“ – ძალა – ღვთური ძლიერი, ძველ ებრაული ენით). სახელები (ბიბლიური ჩანაწერების) მხოლოდ თანხმოვნებით იყო ფიქსირებული და გამომდინარე აქედან შეიძლება სხვადასხვა ნაირადაც წარმოითქმებოდა მაგ. „ასაელი“ (იგივე ასაელ, ასაიელ, ასაიელი). კაბალას ანგელოზთა სახელების უმეტესობა ებრაული ენიდან გამომდინარე, ძნელი ასახსნელია, თუ საიდან გაჩნდა ისეთი სახელები როგორიცაა, მათ შორის „არჩანა“, „ასაელი“, „არაეჩია“, „არაგუელი“, გურიელი“ და ა.შ. ყურადღებას იქცევს ძველ ებრაულად დემონის სახელწოდება „ზეპირ“ და ხევსურული გადმოცემით მავნენი, ზოგჯერ „ზეპირ“ გამოდიან (ზედაპირზე გამოდიან). „ზეპირ“ სახელწოდება, რომ მხოლოდ ძველ ქართული ენით შეიძლება აიხსნას, ეს უდავოა. ასევეა სახელი „კოპალა“, რომელიც ძველი დროის საბრძოლო „კომბალის“(კოპიანი ჯოხი) სახეცვლილი ფორმაა. „კოპალა“ ბოროტების, იგივე დევების განადგურებაში იღებდა მონაწილეობას და დღეს სალოცავის სახელია თუშ-ფშავ-ხევსურეთში. ჩვენი აზრით, მითოლოგიური ებრაული „ჰენოხის ენა“ შესაძლებელია სწორედ, ამ საიდუმლო ინფორმაციის შემნახავი ენა იყო. სემი, ქამი და იაფეტი ერთი მამის შვილები იყვნენ და ერთ ენაზეც საუბრობდნენ, ხოლო შემდგომ მოხდა ენის გადასხვაფერება. ებერიანთა ენა სემიტური იყო უკვე, ქალდეველთა ურშივე? თუ, იქიდან გასვლის შემდგომ მოხდა სემიტიზაცია? ამის

ამოცნობა დღეს ძნელია. „Что касается Шумерской культурой и цивилизации, нет сомненя в том, что протоевреи (отцы Абраама) впитали и асимилировали многое из жизни Шумеров“ (М.Зильберман) [28]. ფაქტია ძველ აღთქმაში დაცული სახელ-ტერმინები ებრაულში აღარ გვხვდება და გვაქვს საქართველოში ძველი აღთქმის არქეტიპი ღვთისმსახურება, თავისი ფარული ნიშნებით, რომელიც ზოგადქართული ხასიათისაა. ჩვენი აზრით, ბიბლიის მკვლევარების ბუდეს, შტადეს, ჰოლცინგერის და სხვა მკვლევარების დასკვნები დღეს შეიძლება კორექტირდეს, ბიბლიის ძირი ებრაელ ხალხს ნამდვილად უკავშირდება, მხოლოდ ენაში მოხდა ცვლილებები ისტორიულად.

ოფიციალური ინფორმაციით კაბალას თილისმების სიმბოლოები აღებულია ძველი ივრითის (ქალდეური) და ბერძნული ნიშნების მიხედვით (ეს საკითხი ღრმად კვლევას მოითხოვს). უდავოა მათი არქაული მოხაზულობის ფიგურები უძველეს ქალდეველთა ურის ქვეყანას უკავშირდება, სადაც იმდროინდელი კოსმოგონიურ-კოსმოლოგიური ცოდნა – წარმოდგენები იყრიდა თავს [21]. (აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ საქართველოში მრავალფეროვანი ძველი პიქტოგრამების, ასევე დეკორის კოსმოლოგიური ხასიათი და ქართულ ენაში შემორჩენილი უამრავი ვარსკვლავის (ან ცათა) სახელწოდებები, რომელიც ცალკე საკვლევი თემაა.) კაბალას სიმბოლოების ჯგუფში თვალშისაცემია ე.წ. Malachim script, [25] რომელიც ყველაზე მეტად მსგავსია საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილ ფარულ ნიშნებთან. მსგავსება ტექნიკურ მხრივაც საინტერესოა, რადგან ნიშნები „დაჭვრეთით“ „ჩაჭვრეთით“ იგივე „წერტილების“ გამოყენებით არიან შექმნილნი [23]. ამ ნიშნების ჯგუფი გამოაქვეყნდა 1675 წელს გ. აგრიპას მიერ და დღემდე გამოიყენება მასონურ ნიშნებში, ისე, როგორც სიმბოლო-ნიშნები დაფარულად უძველესიდან გამოიყენებოდა. მათი მნიშვნელობები და ფორმები განსხვავებულია სემიტური დამწერლობის ნიშნებიდან, მაგ: ნიშანი „ხარი“ (Alef)



იგი ჯგუფის თავშია და „მეთაურად“ წარმოდგენილია. მისი ფორმა საინტერესოდ ემსგავსება ხევსურეთის, თუშეთის და სამცხე-ჯავახეთის ფარულ ნიშნებს. მათ შორის ხევსურეთში და თუშეთში სალოცავებში დაცულ ფარულ ნიშნებს (იხ. („ფარული ნიშნები“) სურ. 77. 154. 198. 202. 253). (ამ კონტექსტში არ შეიძლება არ

შევნიშნოთ ასომთავრულის „ხ“ (ჴ), მსგავსი გამარტივებული მოხაზულობა და მისი პიქტოგრაფიული სავარაუდო სახელიც „ხარი“). ფხოურ ლექსიკონში (ხევსურულში) „ხარი“ ეპითეტია კარგი ვაჟკაცის და იგი სალოცავის სახელსაც უკავშირდება, მაგ. „ნახარელა ღვთისმშობელის ჯვარი“, „მოხარნადე“ „კოპალაის ხარი“, „ნახარელას მობურთვალი“, „სანახარელონი“ და ა.შ (ხევს. ლექს. ალ. ჭინჭარაული). ვფიქრობთ რომ ასეთი სახელწოდებები წინაქრისტიანული დროისა და მიწათმოქმედების კულტურის „ხარი“-ს კულტს უკავშირდება, რომელიც ზოგად ქართულია. „სულეთს ხარი ხნავს ცალრქა, ბარაქა მესტუმრეთია“, საკრალური ხარის რქა, რომელიც „წდეა“ მოგვიანებით, ანუ საწყაოა სარიტუალო ლუდისთვის, ქერის ასაწყავად (ზ. კიკნაძე – ჯვარი და საყმო. ნაწ. 3). ანალოგიურია (ესპანური) იბერიული ხარის კულტის დამადასტურებელი არტეფაქტებიც. საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში სალოცავთან დაკავშირებული ხარის სახელწოდება და მისი სავარაუდოდ გრაფიკული ფარული ნიშანი (რომელიც ასევე სალოცავებშია) პერსონალურად ღრმად კვლევას მოითხოვს. ცნობილია გამოთქმა „ხარატული“, რომელიც „ჯვრისებურ“ გამოსახულებას ეწოდება ნაქარგობაში. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რწმენა დაკავშირებულია მითოლოგიურ „ღვთიშვილების“ მოსვლასთან და მათგან დადგენილ წესზე. წარმართული ელემენტები შემატებულია, ხოლო ცენტრალური ხაზი „მერიგეს“ წეს-რიგზეა აწყობილი. „მერიგეს“ (მორიგე, მარიგე) მხოლოდ ფშავ-თუშ-ხევსურეთში კი არა, ძველი აღთქმის გვიანდელ ტექსტებშიც გვხვდება და ჩანს ძველ ქართულ მონოთეისტურ რწმენაში „არსთა გამრიგე“ მთავარია, მაგ: „ერთადერთო გამრიგევ, ერთადერთო მეუფევ, ერთადერთო მართალო“ (2 მაკაბელთა1: 24.25), „ღმერთო ყოვლის გამრიგევ, მოწყალებით“ (3 მაკაბელთა 5:28), „არამედ ყოველთა ძალთა გამრიგევ უზენაესი ღმერთი“ (1 მაკაბ. 7:9) და ა.შ. თარგმანის ძიებით ძველ ებრაულში ასეთი სახელწოდება არ ჩანს, (მხოლოდ მსგავსებაა, გვიან აღმოჩენილ უძველეს შუმერულ ენაშია „რიგმუ“ და „მე“ – მარადიული სიცოცხლის დვრიტა. შუამდ.მით. ზ.კიკნაძე) და იგი, ადრექრისტიანული პერიოდის ქართული ლექსიკონით ითარგმნა სწორედ. ასევეა „კვრივთან“ დაკავშირებითაც, რომელიც ძველ აღთქმისეულ ტექსტშია, მაგ: „ანეას ქურუმებმა გადაიხადეს ფული და მეფეც მცირედი ამალით კვრივის გალავანში შევიდა“(2 მაკაბელთა 1; 15).

დღესაც თუშ-ფშავ-ხევსურეთში ჯვარ-სალოცავის „კვრივი“ შეუვალი ადგილია. „კვრივი“ მიწაზე ღვთის კარია, სიმბოლურად ცის კარისა. „ღვთის კარი“ და „ცის კარი“(ანუ გასასვლელი) მონაცვლეობით იხსენიება ხუცობებში [5. 8]. ჯვარ-სალოცავებთან დაკავშირებულია დაბალი რანგის მსახურის „ჩანჩხის“ სახელწოდება, რომელიც უძველეს „ხი“ სუფიქსიან, (ქალდეურ სამყაროს), სახელწოდებებს უკავშირდება [2]. გვ. 21, 22, 26, 27.

ჯვარისმსახურების რწმენასთან დაკავშირებულ საკულტო ძეგლებში, დღევანდლამდე მოღწეული დეკორატიული ასტრალური სიმბოლოები „ღვთაებრივ“ ნიშნებად არის მიჩნეული და ნიშნების ამოჭრაც „ღვთაებრივ საქმედ“ იყო მიჩნეული. სიცოცხლის ხის ერთგვარი გაგრძელებაა დედაბოძი, ქართულ დარბაზში და საკულტო ობიექტია. „ხევსურეთში გავრცელებული ტრადიციული ორნამენტის სიმბოლოები ოდითგანვე არსებობდა საქართველოში და მაგიურ-აპოტროფიულ ხასიათს ატარებდა“, (გ.ჩიტაია) [11]. თუშ-ფშავ-ხევსურეთში „სიცოცხლის ხის“ სიმბოლოა ჯვარ-სალოცავის „ალვის ტანი“ (დროშის ტარი) და ერთ-ერთ „ლაბარუმ-ჯვარზე“ (სამკაპა ჯვარი), რომელიც უკანა ფშავში აქვს დაფიქსირებული ვ. ბარდაველიძეს 1930-იან წლებში (აღ. საქ. მთიან. ტრად. ძეგლ. 1ტ. ფშავი. „გიორგი წყაროსთაულის ჯვარი“. უკანა ფშავი), „ლაბარუმ-ალვისტანის“ ტარზე ფარული ნიშნებიც არის, ვერცხლის ფირფიტებზე დაჭვრეთილი (ეს საინტერესო უნიკალური ფორმის „ლაბარუმ – ალვისტანის – ჯვარი“ 1930-იან წლებში დაიკარგა. ინფორმ. ხევისბ. ივ. წელაური 80 წ. ვაკისოფელი). პიქტოგრაფიული და ფარული (სკრიპტული) ნიშნები ნამდვილად უკავშირდება ამავე რეგიონში შემორჩენილ ღვთისმსახურებას, რომელიც ძველი აღთქმის არქეტიპია (კაბალას თილისმების სიმბოლოებიც ამის მსგავსია, მათ შორის ჯვრები და ასტრალური წრე-სპირალები). ოპონენტები, რომლებიც საწინააღმდეგოს ამბობენ და საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონის ეთნიკურ ქართველებს, სემიტური ხალხის მიგრაციის შედეგად წარმოიდგენენ, უნდა აღინიშნოს ღვთისმსახურების ძველქართული ლექსიკონი და ფარული ნიშნების უმეტესად მსგავსება შუმერულ, ძველ ინდურ (ხარაპას ნიშნები), კრეტულ და იბერიულ დამწერლობის ნიშნებთან [16]. იბერიულ (იბერიის იგივე, პირენეის ნახევარკუნძულის) დამწერლობის ნიშნების გარდა დიდი მსგავსებაა იბერიულ (პეტროგლიფების) და ბასკურ დეკორატიულ ასტრალურ-კოსმოლოგიურ სიმბოლო-ორნამენტებთან (ტრადიციული ბასკური სასაფლაოს ქვების დეკორი და სახლის ავეჯის ხეზე კვეთილი გეომეტრიული ორნამენტებიც). ცალკე საკვლევია, ბასკურ ტრადიციულ ორნამენტებთან დაკავშირებით ჯვრის ფიგურები, რომელიც მხრებთან ოთხი სხვადასხვა დეკორით გამოირჩევა და ასეთივე ორნამენტებს ჩვენ ვხედავთ, ძველიდან გადმოსულ, შუასაუკუნეების ქრისტიანულ ტაძრების ორნამენტებშიც (რკონის, სკრის, წილკნის და წუნდის ტაძრის კოსმოგონიური ორნამენტები). ჩვენი აზრით, ქართულ-ბასკური ორნამენტების მხატვრული მსგავსება და სახელწოდებებიც ღრმად საკვლევი თემაა, რომელიც ახალ ფურცელს გადაშლის უძველეს დროის გემოვნება- წარმოდგენის შესახებ და ამ ორნამენტების სახელწოდებების კავშირ-ურთიერთობაზე ახალ სიტყვას იტყვის („ქართველი დასავლისანი“ ბ. კესარიელი, გ. ნოსელი, გ. მთაწმიდელი). იბერიის (პირენეის) ნახევარკუნძულზე არსებობდა მდინარე „ებრო“ და მის ეტიმოლოგიას უკავშირებენ „იბერს“(იბერ-ებერ, ასეთი გადასვლა ნაცნობია ენათმეცნიერების-

თვის). 5-6 ორნამენტის სიმბოლო ან სახელწოდება შეიძლება სხვაგანაც იყოს განმეორებული და შემთხვევითობა იყოს, ხოლო, 20 ერთეულზე მეტი ორნამენტი, ჩართული ანალოგიურ გეომეტრიულ კვეთილობასთან და სახელწოდებები რწმენის სამყაროდან, უკვე, ამ ხალხის უძველეს საერთო გენეზისზე მიუთითებს. ჩვენი აზრით, ასტრალურ-კოსმოლოგიური სიმბოლო-ნიშნების წარმოშობა დედამიწისეული წარმოდგენებიდან ნამდვილად არ აიხსნება, ისე როგორც სიცოცხლისა და ადამიანის წარმოშობა, მხოლოდ, დედამიწაზე სამოღვაწეოდ ვერ აიხსნება. ეს ორი უდიდესი საიდუმლო დიდ კოსმოსურ წესრიგთან და მოვლენებთან და სიცოცხლისეულ მისიასთან, ერთმანეთთან, ნამდვილად ურთიერთკავშირშია.

რას ამბობს დღევანდელი დაკვირვებით, სხვადასხვა დაინტერესებული პირი მთის, კერძოდ ხევსურთის ღვთისმსახურებასთან დაკავშირებით: „ჩვენი აზრით, ხევსურული ჯვრის „ხატ-სიმბოლო“ სამყაროს შესახებ უძველესი საკრალური ცოდნის გადმონაშთია. ვფიქრობთ, რომ კავკასიის მთებში შეხიზნული ქართველური ტომების მიერ საოცარი სიცოცხლისუნარიანობით შემონახული ეს ხატ-სიმბოლო თავის წიაღში ყოვლადწმიდა სამების წინასახეს ჯერ კიდევ მაცხოვრის განკაცებამდე ატარებდა და ფლობდა ცოდნას კოსმიური წესრიგის პირველსაწყისის შესახებ, რასაც ქრისტიანობამ ახალი, კიდევ უფრო ღრმა სულიერი დატვირთვა და დადასტურება მისცა. თუმცა, ამ ცოდნის სრულყოფილად წვდომასა და გააზრებას ჯერ კიდევ ხანგრძლივი ძიება და სათანადო სულიერი მომზადება დასჭირდება“ (უცნობი ავტ.) რაც კი ეთნოგრაფიული ჩანაწერებია, ან მშრალი ინფორმაციაა, ან ქრისტიანული პოზიციდან დანახულია, ხოლო ისეთი ინფორმაცია, რომელიც „შიგნით“ მდგომი ადამიანთა მიერ იქნებოდა გამოთქმული, იშვიათია. გვინდა, სხვა თვალითაც შევხედოთ მთის წეს-რიტუალებს (რიგის ყენება) და გარემო სიცოცხლისათვის შეთავსების ხარისხიანობით განვიხილოთ. გვინდა მოვიყვანოთ, ის სუბიექტური და ობიექტური მოსაზრებები, რაც 1985-86 წლებიდან დღემდე, გავაკეთეთ, სხვადასხვა დღესასწაულებზე. ზოგი მათგანი ჯვარის მსახურიც იყო, ხოლო ზოგიერთი ადგილობრივი დამკვირვებლის თვალით დანახულია. ვერბალური ინფორმაცია, რომელიც განყენებული აზროვნებით მოდის საინტერესოა. „იგი უძველესია, ნამდვილია, ხალხურია და წმინდაა“, ასეთია ადგილობრივი აზრი. „მთის სალოცავებში დამკვიდრებული წესები ხალხის ცხოვრებისათვის სარგებლიანობით და სწორი ცხოვრების განმსაზღვრელად გვევლინება“ (ადგ. ჩანაწ.) გადმოცემით „ღვთისშვილების მიერ ნასწავლები და მითითებული“. სალოცავის საყმოებში შემუშავებული წესები , რამდენიმე ათასეული წლის გამოცდილების შედეგად ჩამოყალიბდა და მტკიცეა. მაგ: ცალკეულ სალოცავის საყმოში მკაცრად იყო დაცული ეგზოგამიურობა, ერთი ჯვარის საყმოში მიუღებელი იყო ქორწინებები. სწორი ცხოვრებისთვის და სწორად გამრავლებისთვის მიმართული წესები ღრმად გამჯდარი იყო ხალხში. ასევე ითქმის შესაწირავთან დაკავშირები-

თაც. შესანირავად ნაგულისხმევი ცხოველი სწორად, ჯანსაღად უნდა ყოფილიყო გაზრდილი (ხარ-კურეტს მეტად ფრთხილად ზრდიდნენ) და ჯანმრთელი უნდა შენირულიყო. „მხოლოდ ასეთი შენაწირი ცხოველის ხორცი ითვლებოდა საკვებად. სხვანაირად „დაკვლა" უკვე მკვლელობაა და „უსახელოდ" დაკლული ცხოველი ეშმაკისაა და არაა მისაღები, მისი ხორცის საკვებად გამოყენება". საღვთოდ შეწირული ცხოველის ხორცის შენახვაც მნიშვნელოვანი იყო. მას „საძმობის" ხორცი ეწოდებოდა, რაც „მოძმეებისთვის" გასაყოფად იყო განკუთვნილი („ცხრა ფუთი მარილი უნდა ჭამო, სანამ მეგობარს აირჩევ და მიენდობი" ხალხური. საძმობის ხორცი და ნალოცი სასმელი რჯულში შერიგებების დროსაც მნიშვნელოვანი იყო). სახელწოდება „საძმობის" ხორცი დღესაც შემორჩენილია. მთიან პირობებში ხორცის მიღება აუცილებელია და აქედან ჯანსაღი პროდუქტი (დალოცვილი ცხოველი), ჯანსაღი ფიზიკური მონაცემებისთვის იყო აუცილებელი. სალოცავში სისხლიან შესანირავზე უფრო დიდი სამსახურია ხის დარგვა, საკრალურ ტერიტორიაზე. ადამიანის ურთიერთობა ბუნებასთან, ფლორასთან და ფაუნასთან ჰარმონიულად იყო ჩამოყალიბებული. ამისთვის საინტერესოა სალოცავებთან დაცული აღკვეთილები „ხატის ტყეები". ხატის ტყეში მყოფი გარეული ცხოველიც ხელშეუხებელია. ასევეა, ადამიანის ზომიერად, სწორად კვების ან აღზრდის წესებია. „პურ-საწირების" და სარიტუალო ლუდის დუღებას თავისი, ღრმად, საკრალური შინაარსი ჰქონდა, კეთების დროს მთელი თემიდან განაწილებით „ჩაიტვირთებოდა" დადებითი დიდი ენერგია (თავთავისი წილი წყალი მიაქვს სარიტუალო ლუდისთვის). რატომ, იყო ასეთი მიდგომა?, თუკი ამას სხვა თვალით შევხედავთ, იგი მხოლოდ პიროვნების და თემ-სოფლის ურთიერთობის ინსტიტუტით არ შემოიფარგლებოდა. მასში უფრო მნიშვნელოვანი იდეა ჩანს ჩადებული, რომ ადამიანს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ „ნაწილია მთელისა", ხოლო ის მთელი კი, უფრო დიდის ნაწილია და ა.შ. (არქეოასტრონომიული ცოდნა). „რიგის ყენება" (რიტუალი) თვითონ მოძღვრების გარეშე აგრძნობინებდა ადგილობრივ ადამიანს ამ საღვთო სიწმიდეს, რომელიც მუდმივმყოფადია და სიცოცხლისთვის მარადამაღორძინებელის ნიმუშია. საოცარია, უამრავ ეთნოგრაფიულ კვლევებში ასეთი სიღრმე შეუცნობლად დარჩა, როცა გენიალურმა მწერალმა გ. რობაქიძემ „ენგადში" დაინახა და აღწერა სწორად. წარმოაჩინა მთელის და ნაწილის ურთიერთმიმართების შესახებ. ასეთია ხალხური „გაუცნობიერებელი" სიბრძნე ძნელად აღსათქმელი, მაგრამ არა შეუღწევადი. მთის სალოცავებში უდიდესი ძალა იკრიბება, ცოცხალი ორგანიზმივითაა, მაგ: განმაწმიდავებელ წყლად იქცევა ჩვეულებრივი წყაროს წყალი, როცა იგი სალოცავში შიგნით შედის (ერთ დღე-ღამეს იმყოფება) და მერე გამოდის სარიტუალოდ. ასევე, საინტერესოა სარიტუალო „ალვისტანი" (დროშა), რომელიც გარდა საკრალურობისა, დღესასწაულის მთავარი ატრიბუტია. დროშასთან ერთად, სპეციალურად მთაზე ასვლა და მოლოცვა, ერთგვარი „საღვთო"

ენერგიის მიღებაა და იქიდან დაშვება კი „ფერხისაის“ სიმღერით უკვე მიწიერად ღმერთისადმი მადლის მიძღვნააა. „საღვთო რიტუალი გაჟღენთილია სიცოცხლისთვის საჭირო მუდმივ ამაღორძინებელ წესებთან და მთის გარემოდან გამომდინარე ჯანსაღი სიცოცხლისთვის სწავლებაა“ (ჩაწერ. დღეობაზე). „თვითონ რიტუალი თავისი წესებით მოძღვრავს თავის საყმოს და ამით მუდმივ მზადყოფნას ნერგავს. იდეოლოგია თვითონ რიტუალებშია, რომელიც სიკეთის გამარჯვებაა ბოროტებაზე“ (დღეობაზე). რიტუალი „ადიდებს“ „მოძრაობს“ „დღესასწაულობს“ და ჯანსაღი ცხოვრებისთვის ბიძგის მომცემია. სალოცავში აუცილებელია ნამარხულევი, განბანილი, მომზადებული, სუფთა ტალავრით მისვლა. ხმამაღლობა დაუშვებელია, რიგის ყენება დინჯია, თვითოეული ოჯახი თავთავისი წილით მოდის. დღეობის ბოლოს სრულდება სარიტუალო ცეკვა და სიმღერა.

ასევე, ადგილობრივი გარემოდან გამომდინარე მიღებულია სალოცავთა დიდი ქვებით აგება (სიმკვიდრე და სეისმურად მდგრადობა). წყაროთა დალოცვა („წყალთ დალოცვა“) მიცვალებულისთვის, რომელიც იმქვეყნად წასული ადამიანისთვის იმქვეყნიური საჭიროებისთვის და არ დავიწყებისთვისაა. აქ, მისტიურ-სიმბოლური დანიშნულება ურთიერთგადაჯაჭვულია. ასევე, საინტერესოა რიტუალების დროს პურ-საწირების „ღვთაებრივი“ სიმბოლო-ორნამენტებით გაფორმებაც, რომელიც არა მარტო საღვთო საპატივსაცემო იყო, არამედ ამქვეყნიური ცხოვრებისთვისაც საჭირო იყო. „აქ გამომსახველობითი ფორმები, მაგალითის მიმცემად ჩანდა და ადამიანი ამ ფორმებით ყოველთვის უნდა ყოფილიყო დაკავებული. აქ, აპოტროფიულობა და ენერგიის თავწყარო ერთადაა კონცენტრირებული“ (ჩაწერ. დღეობაზე). „ასტრალურ-კოსმოლოგიურ“ გეომერტიულ ფორმებთან შეხამებული უნდა ყოფილიყო ყველანაირი საღვთო ობიექტი თუ საცხოვრებლის სამყოფელი გარემო, ნივთები და იარაღიც კი. სალოცავებში ქვის პიქტოგრაფიული ნიშნებიც დალოცვას, სადიდებელს, საღვთო ადგილის ლოკალურ სახელწოდებებს მიუთითებდა. ჩვენი აზრით, „სალოცავი იყო მაგალითის მომცემი ადამიანისთვის და მისი სწორად ცხოვრების მიმთითებელი. როგორც აღვნიშნეთ, მთის რიტუალებში ყოველთვის ხაზგასმულია, რომ ადამიანი „ნაწილია მთელისა“, ხოლო, მთელი კი უფრო დიდს ეკუთვნის და ა.შ. „სულის და სხეულის ისეთი ზღვრული დამოკიდებულება და თან ერთიანობის და ტოლერანტობის შეგრძნებაა, აქ, ყველაფერზე იმდენად ზეაღმატებული, რომ ამის მსგავსი ძნელია სხვა კონფესიებში მოიპოვებოდეს. აქ, რიტუალები გრძნობას აღძრავენ და ამით წინამძღვრობდა ერი“ (დღეობაზე ჩანაწ.). უძველესი ღვთისმსახურება საკაცობრიო განზოგადოებული წესებითაა შემონახული, რომელიც გვიან შემოსულ ქრისტიანულ დოგმებს შერწყმულია. ადამიანთა აზროვნების გარიჟრაჟზე, როცა სიწმიდე იმდენად სუფევდა, რომ ღმერთთან პირდაპირ საუბრობდა და რჩევებსაც ისმენდა. საწყისი მდგომარეობა შემდგომ შეიცვალა და გონებაში უამრავი იდეოლოგიები ამოტივტივდა, რომელიც ამბიცი-

ურ საფუძველზე წარმოიქმნებოდა, ღმერთთან მიახლოების სურვილის გამო. მთაში, ყოველი ადამიანი საგმირო სახელს ეძებდა და საერო-სასულიერო საქმეში გამოჩენილი საქმისთვის (ან თავგანწირვისთვის). სალოცავში მისი ხსენება ჰარმონიულად იყო დამკვიდრებული, მაგ: მის სახელზე „საკარგყმო“ თასი იდგმებოდა და მას განსაზღვრულ დროს და განსაზღვრულ წესზე გამოიყენებდნენ. პიროვნების საქმის დამახსოვრება უფრო ხდებოდა, ვიდრე მისი ვიზუალური პორტრეტისა. გმირის სახე შეიძლება აღარც ხსომებოდა ხალხს, მაგრამ ჩადენილი საქმე და სახელი ყველას ახსოვდა. ამ წესით ხაზგასმული იყო საგმირო საქმის ეროვნული ხასიათის საზომით „დაფასება“, ეს უფრო მეტად რჩებოდა ხალხის მეხსიერებაში და მეტად მოსაწონი იყო“ (ჩაწერ. დღეობაზე). საინტერესოა, ქართული ტრადიციული მეომრული კოდექსის შესახებ გამოთქმული აზრი. მთის სალოცავებთან არის დაკავშირებული მეომრული კოდექსის წესები, რომელთაც ვიცნობთ „კაცის კაცობის წესებით“. „უპირველესად უნდა გავიხსენოთ, ქართველი კაცის ცხოვრებას იმთავითვე განაპირობებდა რწმენა უზენაესი ძალებისა. მაღალ ზნეობრივ პრინციპებზე დაფუძნებული სამოქმედო კოდექსის თითოეული მუხლი უფლისადმი სათნო მსახურების გამომხატველად მიიჩნეოდა. უფლის, ყმა, „მოყმე“ – ასე უწოდებდნენ სარწმუნოების დაცვის სამსახურში მყოფ მეომარს. მთაში ამბობენ „ლაშარის ყმას სხვისი ყმობა არ მოუდისო“. (გ. კოკოშაშვილი. ჟურნ. სვეტიცხოველი. 2013. 1). ასეთია, უძველესი რწმენის შესახებ გამოტანილი სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებები, რომელიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულია სამეცნიერო გამოცემებში. სარწმუნო ფაქტები საქართველოს ტერიტორიაზე შუასაუკუნეების ქრისტიანულ ტაძრებზე და ხატის ჭედურობებში გვხვდება, ანალოგიური ასტრალურ-კოსმოლოგიური აპოტროფიული სიმბოლოები. ქარელში სკრის „ღვთისმშობლის“ 11 საუკუნის ქვის კვეთილობაზე, წინარეხის ტაძრის შესასვლელის გვერდებზე, ნიქოზის „წმ. გიორგის“ სახელობის ეკლესიაზე, სენაკში (ნოქალაქევთან) „წმ. გიორგის“ ეკლესიის შესასვლელის კარის თავზე ქვის ნიშანი, სვანეთის იფხის ეკლესიის ფასადზე პიქტოგრაფიული გამოსახულებები, ხობის ეკლესიის პიქტოგრაფიულ-ხაზოვანი გამოსახულებები დასავლეთის კედელზე, დავით გარეჯის „საბეროების“ ფრესკების ქვეშ „გრაფიტების“ სახით სიმბოლოები, კახეთში მატანის ეკლესიის სიმბოლოები, 11 საუკუნის ჭედურ ხატზე „ხიდისთავის წმიდა გიორგის“ სიმბოლოები და სხვა. ასეთი აპოტროფიული დანიშნულების ნიშნები სისტემური რაოდენობით სხვა ქრისტიანულ კულტურაში არსად ჩანს. უძველესი ქართულ-იბერიული დამწერლობის ნიშნების ცოდნა გადმოსულია ქართულ ქრისტიანულ კულტურის წრეებში (ქრისტიანი ბერების ნიშნები). ქართული რწმენის სამსახურში დღესაც ასეთი სიმბოლოები ჩანს, როგორც ორნამენტური დეკორი.

ამრიგად, საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში შემორჩენილი ღვთისმსახურება პროქართულ ენაზე ჩანს წარმოქმნილი და სათანადო ფარული ნიშნებითაც

„დალოცვილინ და განმტკიცებული (ეროვნული ღვთისმსახურება). ძველ საქართველოში მონოთეისტური რწმენის არსებობა მოითხოვს ღრმა ანალიზს, რომელიც მომავალში პროფესიულ დონეზე უნდა გაგრძელდეს. „იბერინ და „ებერინ ეტიმონები არა მარტო გარეგნულ-შინაარსობრივ მსგავსებებს ამჟღავნებს, არამედ, მათ ისტორიულ რწმენის წესებშიც ბევრი თანხვედრაა. ეს თანხვედრები შემთხვევითობას რომ მივაწეროთ, ნაკლებად სავარაუდოა. ღრმად გამოსარკვევია ფარული ნიშნების იბერიულ (პირენეის) დამწერლობასთან გენეტიკური კავშირი და ამ დამწერლობის მიმართება „ებერიანთან დამწერლობასთან (ეს უკანასკნელი თუკი არსებობდა), რომელიც ძველ ებრაულს სიმბოლოების სახით შემორჩა (17 საუკუნეში გამომჟღავნდა). გამოსარკვევია მითიური გადმოცემა „ებერისნ შესახებ (მდინარეზე გადამსვლელი) და მისი კავშირი ისტორიულ „იბერისნ სახელის (წყლის ხალხი) საკრალურ მნიშვნელობასთან. ქართული ფარული ნიშნების ძველებური მხატვრული ფორმები შესაბამისობაშია ადგილობრივ ხალხურ თეოგონიურ წარმოდგენებთან და რიტუალებთან, რომელიც დღეს მითოსური ბურუსითაა მოცული. ფარული ნიშნები და ადგილობრივი დეკორატიული ტრადიციული ორნამენტებიც საკულტო ობიექტებთან და ღვთისმსახურების რიტუალურ წესებთან კავშირ-ურთიერთობაშია. ჩვენი წერილი არ ითვალისწინებდა სისტემური კვლევის წესებს, ეს უკვე პროფესიონალი მკვლევარების და მეცნიერების საქმეა. ჩვენ გამოვთქვით აზრი და ახლა საქმე სხვებმა, ანუ მომავალმა თაობებმა უნდა გააგრძელონ. ფაქტია, საქმე ეხება მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც დამარხულია და ტაბუირებულია ნაწილობრივ. საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში ძველი აღთქმის მსგავსი ღვთისმსახურება მოითხოვს სიღრმისეულ წვდომას, რადგან ამას პროქართული ენის ერთ-ერთი უცნობი ისტორია აქვს შენახული და მოელის მომავალში პროფესიონალთა ფუნდამენტურ კვლევას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბ. 2. 1959.
2. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია 1. 1913.
3. თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბ.1960.
4. გ.მელიქიშვილი ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი. თბ. 1965.
5. ვ. ბარდაველიძე – აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სასულიერო ტექსტები. მას. „საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“ ნარკ. 1. თბ. 1938.
6. ი. სურგულაძე ქართული ხალხური ტრადიციული ორნამენ. სიმბოლიკა მეცნ. თბ. 1986.

7. თ. ოჩიაური. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან,საქ. სსრ. მეცნ. აკად. გამ-ბა. თბ. 1954.
8. ს.მაკალათია ხევსურეთი. თბ. 1984.
9. ალ. ოჩიაური ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. მეცნ. თბ.1988.
10. ლ. მოლოდინი, გ. ჩაჩაშვილი ორნამენტი. ქართული კოსტუმის კატალოგი. 1. ხევსურეთი. 1964.
11. ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია. ქართული ხალხური ორნამენტი. თბ. 1939.
12. ორბელიანი სულხან-საბა – სიტყვის კონა.
13. კ. წერეთელი ბიბლიის ებრაული ლექსიკონი. თბ. სახელ. უნივერს. 2001.
14. გ. ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისთვის. თბ. 1985.
15. გ. გიგაური ფარული ნიშნები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბილისი. 2010.
16. Д. Дирингер. Алфавит. М. 1963.
17. В. Истрин. Возникновеные и развитие писма. М. 1965.
18. Х. Фарбридге Иследования в библейские и семитских симболизма. 1960.
19. О. Н. Штейнберг. Еврейскый и Халдейскый этимологический словарь.1878.
20. E. Gordon. Sumerian proverds Philadelfia. 1959.
21. J. Henson. Biblicsl Hebrew. University of Wisconsin, Madison, Wisconsin. 2008.
22. G. Brech er. Das transcendentale, magie ud magische neilarten im Talmud, Pp1, 39, v:enna 1950.
23. G.k. Agrip. De occulta philosophia. 1533.
24. D. Mackenzie Migration of Symbols.
25. Sefer Raziel Homalach, Steve Savebow.
26. Библия ветхого и нового завета. Канон. М. 1990.
27. С.М. Крамер История начинается в Шумере. М. 1965.
28. М. Зильберман. Истоки. История мифология и религия претков Евреев М. 2004.
29. А. Л. Оппенхейн. Древняя месопотамия М. 1990.

The lost history

(following the footpinds of the God serving Ceremony)

The encient God serving ceremony preserved in the east region of Georgia is combined with the rules of Christianity.

The sphere of our research is the ancient God serving ceremony in this region which doesn,t include Jewish names or titles. This ceremong preserved up to now by the ancienct Georgian language and traditions. Here also exist. He old stones with ancient pictographic written language onit. It was published monograph on this subjest `Secret symbols" in the east Georgia 2010. Highland (Tseraculi (pick-shaped) script) Georgi Gigauri.

Some pictographic symbols and signs are decorative where exist Georgian character this tradition of the God serving ceremony requests deep analysis and it belongs to the sphere of research of linguists paleographists, ethnograpersl and theologists.

განსაკუთრებული ნიშანი წერაქვულ დამწერლობაში (სკრიპტოგრამები)

საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილი სკრიპტოგრამების შესახებ გამოქვეყნებულია რამდენიმე წერილი. კვლევის პირველი ნაბიჯია მონოგრაფია „ფარული ნიშნები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“ (გ. გიგაური). „ფარული ნიშნები“ კრიპტოგრამების მისამართით პირველად ითქვა ფოტოგამოფენაზე, რომელიც 2007 წლის 10 იანვარს რუსთაველის საზოგადოების დარბაზში გაიმართა. ფარული იგივე დაფარული კავშირშია საკულტო მსახურებასთან და ფართან რომელიც შექმნილია საკრალური სიმბოლოების მსგავსი დეტალებით (ხევსურული ფარი). ხევსურულ ფარზე შუაგულ ადგილს, ტრადიციული გადმოცემით „ხატის გუმბათი“ ეწოდებოდა. საბრძოლო ფარის სიმბოლოებით გაფორმება ცნობილია უძველესი დროიდან სხვადასხვა კულტურის ხალხში.

ფარული ნიშნების (სკრიპტების) შესახებ კვლევა ჩავრთეთ ამავე მონოგრაფიაში, სათაურით „ორნამენტების და ფარული ნიშნების ურთიერთკავშირი“. საქართველოში ფარული ნიშნების კვლევის გამოცდილება არ არსებობს. ჩვენ ვხელმძღვანელობთ უცხოელი პალეოგრაფი (კრიპტოგრაფი) სპეციალისტების გამოცდილებით და ქართველი მეცნიერების შრომებით, რომელიც დეკორატიულ ორნამენტებს შეეხება. შრომის ავტორებია: ი. სურგულაძე, ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ტ. ჩუბინიშვილი და სხვა. სამეცნიერო შრომები რომელიც ორნამენტულ სიმბოლოებს შეეხება საინტერესოა და ბევრი ინფორმაციით საყურადღებო. უძველესი ნიშან-სიმბოლოების შინაარსის გარკვევისას პალეოგრაფები ყოველთვის ძველ გამოცდილებას იყენებენ. ინფორმაციის შემცველი ფარული ნიშნების ჯგუფი, რომელიც გაუშიფრავია და ორენოვანი (ბილინგვა) ნაწერი არ მოიძებნება რთულია. სირთულე უფრო მეტია როდესაც საქმე შეეხება საკულტო მსახურების ნიშან-სიმბოლოებს. პირველ რიგში დასადგენია ნიშნები იდეოგრამულია, ლოგოგრამულია თუ მარცვლოვანი. „განმეორებადი ნიშნები შეიძლება გასაღები აღმოჩნდეს დადუმებული საიდუმლოს ამოსახსნელად“ – ასეთი აზრი გამოთქვა რამდენიმე სპეციალისტმა. ჩვენი აზრით, ნიშნების განმეორება დამატებით სირთულეს შეიცავს, პირველი, ხელწერის სხვადასხვაობა, მეორე ნიშნების რამდენიმე შესაძლო შინაარსი. მაგ. შუამდინარული (შუმერული) იდეოგრამები, რომლებიც გარეგნულად ფარული ნიშნების მსგავსია, ხშირად ერთი და იგივე ნიშანი სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელით იყო გამოყენებული. შეიძლება პირიქით, ერთ ნიშანს ზოგჯერ რამდენიმე სახელი ჰქონდა, მაგ. შუმერული იდეოგრამა ისარი „სიცოცხლე“ და მარცვლოვანი გამოთქმა „ტი“. ეგვიპტური იეროგლიფი წერტილიანი წრე „სინათლე“ და მსგავსი თვალის იეროგლიფით „ღმერთი რა“ გამოისახებოდა. [18]

განმეორადი ნიშნები, რომელიც გვხვდება ორჯერ, სამჯერ და მეტჯერ ძირითადად საკულტო ტაძრებზე და ციხე-კოშკებზეა შემორჩენილი. გაუგებარია აქამდე საქართველოში რატომ არავინ შეკრიბა ეს კრიპტოგრამები და არ შეუდარა ერთმანეთს, ან იბერიულ დამწერლობას?. ჩვენთან უფრო საკულტო მსახური ფარული ნიშნებია როცა სხვაგან საეროში გადასული ჩანს. გეომერტიული ორნამენტების სახელწოდებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც გარეგნული მსგავსება ფარულ ნიშნებთან შესამჩნევია მაგ. „კვერანი", „ბორჯღალა", „ვარსკვლავა" და სხვა. დაფარული შინაარსის ნიშან-სიმბოლოთა გამოყენების ტრადიცია რომ არსებობდა, ამას ადასტურებს „საჭვრეთლები"-ს არსებობა, რომელიც დღეობებში გამოიყენებოდა. „საჭვრეთლებით" გაფორმებული ქადები ან პურ-საწირები ჯვარ-სალოცავებში ილოცებოდა. ჩანს რომ მხოლოდ გამომსახველობითი ნიშნები არ იყო დაფარული. ხევსურულ ხუცობებში შემორჩენილი ზოგიერთი ტერმინი ან მთელი წინადადებებიც დაფარული ქარიზმული გამოთქმებით არის გაწყობილი მაგ. „მზეი მამარწყვილებულა", „სახელითა სარხილისითა", „მზის მყოლი ანგელოზი", „ მწარე ახსნა სულნი ჩვენნი, აუტივნა ტილონი ან ხილო ამ შტოლოებაო სარწმუნოებაო" და სხვა. (ალ. ოჩიაური. „ქართული დღეობების კალენდარი"). ხუცობის ტექსტების შეფარული ტერმინოლოგია რომელიც „ჯვარის ენის" ლექსიკონსაც შეიცავს, მსგავსია ფარული ნიშნების საკრალური ხასიათისა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ფარული ნიშნები ქართულ კულტურას რომ მიეკუთნება აშკარაა, რადგან ასეთი იდეოგრამები ქვებზე მთელ საქართველოს ტერიტორიაზე მეტ-ნაკლები რაოდენობით გვხვდება. ხევსურეთში და თუშეთში შემორჩენილი ფარულ ნიშნების მსგავსი დეკორატიული გეომეტრიული ორნამენტიკა ასევე ზოგადქართულია (სახელწოდებებიც ასევე ზოგადქართულია). პირაქეთ ხევსურეთის სოფელ ბლოს შემორჩენილი კრიპტოგრამებიანი ქვა წიგნში ვერ შევიდა. (იმ დროს შესაბამისი ფოტო მასალის არ ქონის გამო). აღნიშნული ქვა რამდენიმე ფაქტით იქცევს ყურადღებას. ქვა დიდი ზომისაა და მდებარეობს „მუხის წმინდა გიორგის" ჯვარ-სალოცავის დარბაზის კართან. სოფ. ბლო დღესაც საავტომობილო (სამარხილო) გზის გარეშეა და ქვის მიტანა სხვა ადგილიდან გამორიცხულია. ჯვარ-სალოცავი სადაც ქვა ინახება უხსოვარი დროიდან, ტრადიციული საკულტო ძეგლებით არის ცნობილი. სოფ. ბლოს 1926 წლის აღწერით 111 ადამიანი ცხოვრობდა [8]. გამორიცხულია ძველ ხუცესებს არ სცოდნოდათ კრიპტოგრამების შესახებ. „სოფელში 7 ჯვარის ხუცესი მსახურობდა ერთ დროს" (ინფორმაც. ივანე გიგაური. ბერდია გიგაური. ხვთისო გიგაური. 1987წ.)

პირაქეთ ხევსურეთის სოფელ ბლოში დაცულ ფარულ ნიშნიან ქვაზე ჩანს ხე და ოთხწერტილიანი ჯვარის გამოსახულება, რომლის შესახებ კიდევ გვექნება საუბარი. ჩვენ გვინდა კონკრეტულად გამორჩეულ, განსაკუთრებულ ნიშანზე, წერტილებიან ჯვარზე ვიმსჯელოთ. ფარულ ნიშნების მიმართ კვლევა თუ არ წავიდა,

მათი არსებობა გვერდზე ჩაგვივლის და დაგვეკარგება სამუდამოდ. მსჯელობა რომ პროფესიონალურ დონესთან მიახლოებული იყოს, ჩვენი აზრით აუცილებელია სიმბოლოების ისტორიას გავეცნოთ. ამჯერად ინტერესის სფეროა ჯვარი წერტილებით (ოთხწერტილიანი ჯვარი)  იდეოგრამა თუ იეროგლიფი მიახლოებით რომ გავიგოთ აუცილებელია საერთო სურათის წარმოდგენა. რა სახელწოდებით გამოიყენებოდა ლოკალური ნიშანი. საერთო სურათია: შუამდინარეთული, ხმელთაშუაზღვის აუზის და მცირე-აზიის უძველესი პიქტოგრამების მიხედვით ოთხკუთხედით (კვადრატით) გამოისახებოდა სახლი ან საცხოვრისი, ან საკულტო ნაგებობა (ოთხკუთხედში დიაგონალზე ჩახატული ჯვარი). წრე ან წრის დახმარებით გამოსახული იდეოგრამა ხშირად თვალის, ცის ან ზეციური სამყაროს აღმნიშვნელი იყო. [18] შუმერულ-ხარაპულ-ეგვიპტურ (კახუნი. გურობა.) – კრეტულ-ეტრუსკულ-იბერიულ დამწერლობის პიქტოგრაფიულ ან ხაზოვან ნიშნებს ეტყობა განვითარება (დახვეწა) მომდინარეობა. მაგ. შუმერული ვარსკვლავა „დინგირ“ რომელიც მრავალტოტიანია და „ღმერთის“ პიქტოგრამაა (ძვ.წ. 3500წ). ეს პიქტოგრამა მარტივდება, იხვეწება რვა, შვიდ, ექვს ტოტიან (ვარსკვლავა) ნიშნად და ბოლოს აქადურ (ძვ.წ. 800წ) დამწერლობის ნიშნებში ჩვეულებრივი ჯვრის ფორმას იღებს. (ა. ვეისმენის ტაბულის მიხედ.) ერთი და იგივე გრაფიკული ხაზოვანი ნიშანი, სხვადასხვა სახელწოდების ჩანს სხვადასხვა ხალხთა კულტურაში, მაგრამ მისი თავდაპირველი პიქტოგრაფიული (ხატოვანი) სახელი ყველგან ერთნაირია. „ჩვენ ვხედავთ რომ უძველეს ხალხებს ჰქონდათ ერთნაირი ფორმა რაიმეს გამოხატვის“. (იან დევიდსონი. უძველესი პიქტოგრამების მკვლევარი. ნიუ ინგლენდის უნივერსიტეტის პროფესორი)

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემორჩენილ ფარულ ნიშნებში განსაკუთრებულ ფიგურად ჯვარია წარმოდგენილი ოთხი წერტილით. ძირითადად სტატიკურად მდგარი ჯვარი მხრებს შორის (შუაში) ოთხი წერტილით, ან ორი ან ხუთი ამოკვეთილი წერტილებით . სტატიაში სადაც შევეცადეთ ფარული ნიშნები ქართულ ასომთავრულ დამწერლობასთან დაგვეკავშირებინა: „ფარული ნიშნები (კრიპტები) და ასომთავრული“. ჟურნალი „სვეტიცხოველი“ 2009. 2. 105-122. დავსვით საკითხი ერთ-ერთ იდეოგრამაზე რომელიც ასევე ხშირად გვხვდება, ოთხკუთხედში დიაგონალზე ჩახატული ჯვარი, „სალოცავი შენობის“, იგივე „ჯვართ“ გამომსახველი. ასომთავრულში დაცული უძველესი მოხაზულობის ასოები, რომელიც არც ბერძნულში და არც არამეულშია ყურადღებას იქცევს ფარულ ნიშნებთან მსგავსებით. ამ შემთხვევაში ასომთავრულის „წ“ და „შ“-ს მოხაზულობაა ჩვენთვის საინტერესო. ვერტიკალურ ხაზთან ორი ნახევარწრეებით შექმნილი ასოები აშკარად უძველესი იეროგლიფური (კრიპტოგრამული) ნიშნების გამარტი-

ვებულ სახედ წარმოგვიდგებიან. (იხ. „ფარული ნიშნები აღმოს. საქართველოს მთიანეთში“ სურ. 253, 201).  (იბერიული ნიშანია  R. Ramos. 2002) [12].

ოთხწერტილიანი ჯვრის იდეოგრამაც უძველესია. მისი ადრინდელი სიმბოლიკა მკლავებმოხრილი წერტილებიანი ჯვარია. მკლავებმოხრილი ჯვარი (სვასტიკა) საქართველოში მტკვარ-არაქსის პერიოდს (ძვ.წ. III ათასწ) მიეკუთნება. კუთხედებით შექმნილი ასეთივე შუმერული სიმბოლოც ძვ.წ. III- IV ათასწლეულისაა. [17] ანატოლიის ტერიტორიაზე 8000 წლის წინანდელი სვასტიკის მსგავსი გამოსახულებაა ნაპოვნი. ბოლოებმოხრილი ჯვარი წერტილებით გვხვდება ხარაპულ დამწერლობის ნიშნებშიც (მოხენჯოდაროს დამწერლობის ნიშნები გაუშიფრავია). ძვ.წ. II ათასწლეულის პერიოდისაა სვეტამბარული ბოლოებმოხრილი ჯვარი წერტილებით. ჯაინიზმის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლიკა წარმოდგენილია ორი ფიგურის შეერთებით. სვასტიკა ოთხი წერტილით და თავზე შუმერული „ზეციური ნავის“ მსგავსი ფიგურა. მათ შორის წერტილებია და წერტილებს თავისი სახელწოდებებიც აქვთ ინდურ ენაზე. მაგ. „სამყოფელი განთავისუფლებული სულის“, „მართალი ცოდნა“, „არსებული ზეცა“, „დადებითი ადამიანური“, „არსებული ცხოველური“, „არსებული ქვესკნელური“. [16].  სვასტიკას სანსკრიტულად „კეთილად მყოფადი“-ს მნიშვნელობა აქვს. ჩანს რომ სხვადასხვა მნიშვნელობით არსებობდა, იმის მიხედვით თუ საითკენ არის მოხრილი მკლავები. მკლევარების მიერ გამოთქმულია აზრი რომ ხარაპული დამწერლობის ენა, რომელიც დღემდე გაუშიფრავია, შესაძლოა უძველეს ინდოეთის (სინდი) ტერიტორიაზე შემორჩენილი კრიპტოგრამების დედა ენა იყო. წინაინდოევროპული ენის გარკვეული ნაშთები მოიპოვება დღევანდელ დრავიდულ ენაში (სამხრეთ ინდოეთი). ანალოგიურად ეგვიპტის ქუშიტურ, კოპტურ და ბერბერულ ენების, რომელშიც შემორჩენილია „მთელი რიგი ძირი ფენა უძველესი ენისა“ (ჰ. შუხარტი. ნ. მარი. ენათმეცნიერები). არსებობს კოპტური სიმბოლო: ტირეებიანი (სამსჭვალები) ჯვარი და ბალბეკის უძველესი პერიოდის: წრეში ჩამჯდარი წერტილებიანი ჯვარი, შუაში პატარა წრით.

ვერსია რომელსაც სკრიპტოგრაფები გვთავაზობენ შემდეგია: ბოლოებმოხრილი წერტილებიანი ჯვრიდან (სვასტიკა) მიღებულია ჩვეულებრივი ჯვარი წერტილებით. სიმბოლიკიდან წარმოშობილია დამწერლობის ნიშნები. ასეთი აზრი საფუძველმოკლებული არ ჩანს, მაგრამ აქაც ბევრი საკითხია ბურუსით მოცული. ხეთურ-ლუვიურ დამწერლობის ნიშნებში ჯვარი ოთხი წერტილით იშვიათად გვხვდება და მისი სემანტიკური მნიშვნელობა გაურკვეველია (დეტერმინატივი არ აქვს). ხმელთაშუაზღვის აუზის ტერიტორიაზე უძველესი დროის ასეთი სიმბოლიკა იშვიათია. გამონაკლისია ეგვიპტური, კრეტული და ეგეოსური კულტურა (ტრო-



ა). აპენინის ნახევარკუნძულზე კვირისტავის სიმბოლოები მ. ცმიგროდსკის მიხედვით საინტერესოა [4]. ჯვარი მხრებს შორის ოთხი წერტილით ხშირად ფიქსირდება მცირე-აზიის ძველ ტერიტორიაზე. ფრიგიულ კერამიკაზე ძვ.წ. VIII ს. (გ.ა-კურგალი „ფრიგიული კერამიკა“ 1953). საქართველოში, კერძოდ კახეთში აღმოჩენილია, ზომორფული ფიგურა (ძვ.წ. 9-10 ს.). ბრინჯაოს ირემის გვერდებზე გამოსახულია სვასტიკა და სიმბოლო-კრიპტოგრამები ანალოგიური რაც ხევსურეთში და თუშეთშია (არქეოლ. ნივთი დაცულია სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში). ჯვარი ოთხი წერტილით ხშირია ადრექრისტიანულ ტაძრებზე კაბადოკიის ადგილებში (თურქეთი), როგორც დეკორატიული გაფორმება. ჩანს რომ კრიპტოგრამული ნიშანი გადმოსულია ადრე ქრისტიანულ დეკორში და სიმბოლიზირებულ ორნამენტიკაში. საქართველოში ადრექრისტიანულ ტაძრებზე ვხედავთ წერტილებიან ჯვრებს მაგ. დმანისის სიონის ლაპიდარულ წარწერაში  . სოფ. ხცის ტაძრის წარწერაში, სოფ. წებელდის საამშენებლო წარწერაში და სხვა. ოთხ წერტილიანი ჯვრის პრინციპზეა აგებული რამდენიმე ქართული ადრექრისტიანული ტაძრის საფუძველი მაგ. მცხეთის ჯვრის საძირკვლის გეგმარება, ტაო-კლარჯეთში ბანას ტაძრის საძირკვლის გეგმარება და სხვა. ქრისტიანულ წიგნებში მაცხოვრის სიმბოლოა ოთხ წერტილიანი ჯვარი. სამცხე-ჯავახეთში შემორჩენილია ბევრგან ტაძრის ქვებზე ოთხწერტილიანი ჯვრის გამოსახულება მაგ.საფარის ტაძარზე . სოფ. რკონის ქრისტიანული ტაძრის ჯვრის ორნამენტიკა, სიმბოლოებით გამოსახული, შინარსობრივი კომპოზიციაა. ოთხი დეკორატიული ფიგურიდან ორი ერთმანეთის მსგავსია (ზევითა ფიგ.), ხოლო ქვევითა ორი ფიგურა სხვადასხვაა. რკონის ქრისტიანული ტაძრის გაფორმება ჯვარი ოთხი ფიგურით უძველეს სემანტიკის ტრადიციულ გამოძახილს წარმოადგენს. საყურადღებოა სოფ. წილკნის მე-4 საუკუნის ტაძარის სიმბოლო-ორნამენტები და სოფ. ბავრის (ახალქალაქი) მართმადიდებლური ტაძრის სიმბოლოები. ამ უკანასკნელში საკურთხეველში აფსიდის ქვაზე შემორჩენილია სვასტიკის ტიპის ნიშანი. კვადრატში ჩასმული ოთხწრიანი ჯვრის პრინციპზე ჩანს ქართული ასომთავრულის კანონზომიერების მხატვრული საფუძველიც. მკვლევარები ე.წ. „კვადრატის პრინციპებს“ უწოდებენ. სკრის ხეობაში სოფ. კოშკების „ღვთისმშობლის“ ეკლესიის გეომეტრიულ ორნამენტებში (ჯვართან) ჩართულია ასტრალური სიმბოლო-კრიპტოგრამები. ადრექრისტიანული ტაძრები შენდებოდა წინაქრისტიანული სალოცავების ადგილზე და უძველესი სიმბოლოები გადმოსულია ქრისტიანული ძეგლების გაფორმებაში, ასეთია სპეციალისტების აზრი. წერტილოვანი ჯვარიც ერთ-ერთი მათგანია. ჯვრის წერტილები რომ სხვადასხვა შინარსობრივ დატვირთვას შეიცავ-

და, ამას ადასტურებს ძველი ინდური სვეტამბარის ოთხწერტილიანი მკლავებმოხრილი ჯვრის მნიშვნელობა (ზემოთ აღნიშ). ქართველი ორნამენტის სიმბოლოების კვლევის სპეციალისტები ოთხწერტილიან ჯვარს მიაკუთვნებენ, მზის ოთხი მდგომარეობას ან ქვეყნის ოთხ მხარეს (ი. სურგულაძე) [4].


ფარულ ნიშნებში ოთხწერტილიანი ჯვარი გამოსახულია სხვადასხვა ასტრალურ მნათობების გვერდით, რომელიც ზოგჯერ წრეებით იცვლება და მისი მზის სიმბოლოდ გაგება გაჭირდება. ისეთი შთაბეჭდილება რჩება რომ ჯვარი ოთხი წერტილით არც მზეს, არც დედამიწას, არც მატერიალურ სამყაროს არ ასახავს, იგი უფრო მნიშვნელოვანი შინარსის მატარებელია (სუბსტანცია). ჩვენი აზრით ადრე ქრისტიანულ წიგნებში და ლაპიდარულ წარწერებში მაცხოვრის ერთ-ერთი სიმბოლიკა ოთხწერტილიანი ჯვარი გადმოსულია წინაქრისტიანული ღვთისმსახურების (ჯვართმსახურების) კრიპტოგრამებიდან. ადრე შუასაუკუნეების მღვდელთმსახურებმა შესაძლოა იცოდნენ მიახლოებით მაინც ამ სიმბოლოს უძველესი სახელწოდება. ქრისტიანობის დამკვიდრების შემდგომ მიიჩნიეს რომ წერტილოვანი ჯვარი მიესადაგებოდა მაცხოვრის სახელსაც. ჩნდება კითხვა, რას ნიშნავდა ქართულ სამყაროში ქრისტიანობამდელი ფარული ნიშანი: წერტილოვანი ჯვარი?

იდეოგრამის შინაარსი მიახლოებით რომ ამოვიცნოთ, სხვადასხვა დროის, სხვადასხვა ხელწერის ანალოგიური ნიშან-სიმბოლოები უნდა მოვიძიოთ. სხვადასხვა ხელწერა ზოგჯერ ხსნის დაფარულ შინარსს. სხვადასხვაგან განმეორებული იდეოგრამა შეიძლება ისეთ დამატებით ფორმებს გამოსახავდეს, რომლის პირდაპირი ხასიათი გამოჩნდეს. უძველეს შუმერულ თიხის ფირფიტებზე და ცილინდრებზე გვხვდება ოთხწერტილიანი ჯვარი რომელიც ასევე გაუშიფრავ ტექსტებს შეიცავს. ქართული ენისა და უძველეს შუმერულ ენაში მსგავსი სიტყვების შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა. ჩანს რომ მხოლოდ არა მარტო ენაა მსგავსებაში არამედ ფარული ნიშნებიც ურთიერთმსგავსია (იხ. „ფარული ნიშნები" ტაბულა. გვ. 176) [11]. ამიტომ შუმერულ ტექსტებში მოხსენიებული ასტრალური სიმბოლოების და ღვთაებების სახელებში შეიძლება „გასაღები" აღმოჩნდეს. ასტრალურ-კოსმოგონიური სიმბოლოები ფარულ ნიშნებში წამყვანია. ასტრალური სიმბოლოები ყველა მოძრაობას ასახავს. აქ გვხვდება: წრიული, სპირალური, გვერდითი და სხვა გასხივებული დისკები. ქართული დედაბოძის დეკორატიულ გამომსახველობაში „ღვთაებრივი" ნიშნები სწორედ ასტრალურ სიმბოლოებს ეწოდებოდა. რადგან ყველა ასტრალური სიმბოლო მოძრაობის ამსახველია, ჩვენი აზრით წერტილოვანი ჯვარიც უძრავ მდგომარეობას ნამდვილად არ ასახავს. მაშინ რის მოძრაობას ასახავს?. ხევსურულ საბეჭდავებში, რომლებიც იმეორებენ ფარული ნიშ-

ნების ფორმებს, გვხვდება კიდევ ერთი სიმბოლო, ჯვარი ოთხი წერტილით  , რომელიც განსხვავდება იმით რომ წერტილებს „კუდები" აქვთ და ბოლოები მი-

მართულია ნაპირებისკენ (მოძრაობენ შუაგულისკენ). საბეჭდავები ჩანს ადრე ბევრი იყო და სამწუხაროდ, დაიკარგა და განადგურდა უმეტესობა (კომუნისტური პერიოდი). მხოლოდ მცირე ნაწილი შემორჩა მუზეუმებში და ეთნოგრაფიულ სამხარეო მუზეუმში სწორედ ასეთი ორნამენტიანი საჭვრეთელია (საბეჭდავი). ხის საჭვრეთლები ტრადიციის მიხედვით იქმნებოდა. მასზე გამოსახული სიმბოლოები ჩანს რომ უფრო უძველეს ფორმებს ინახავდა და ქვის ფარულ ნიშნებთან შედარებით გამარტივება, დახვეწას ნაკლებად ექვემდებარებოდა. ოთხ წერტილიანი ჯვრის მსგავსია ასევე უძველეს შუმერული ერთ-ერთი სიმბოლიკაც, რომელიც შემდეგნაირია: ჯვარი (წრეებით) მრავალწერტილებით  . ჯვრის მხრებს შორის არა ოთხი წერტილია, არამედ თორმეტი. თითოეულ მხარეს 3-3 წერტილია მწკრივზე განლაგებული. [15] შუაგულიდან ნაპირებისკენ მიემართებიან წერტილები, ისე თითქოს მოძრაობის მაჩვენებელია. ანალოგიური ნიშანია ტროას გვიანდელ არქეოლოგიურ ნივთზეც. თუშეთის ფარულ ნიშნებში ჩანს სხვა ხელწერის ტირეებიანი ჯვარი  . ყველა ნიშანი ვიზუალურად მოძრაობის ამსახველია. მოძრაობა არა გვერდულად, არამედ შუგულისკენ, პირდაპირ სიღრმისკენ კონცენტრირებულ მოძრაობას აჩვენებს. მოძრაობას აძლიერებს თუკი ბოლოებმოხრილ წერტილოვან ჯვარს შევადარებთ სხვა სწორმხრიან წერტილოვან ჯვართან  (იხ. სურ. 169). ხევსურეთის სოფ. ზენკისტანის ქვაზე (იხ. სურ. 102) [11] ოთხკუთხედში დიაგონალებზე ჩახატული ჯვრის თავზე ფიქსირდება სწორი ჯვარი წერტილებით. ზევითა ჯვარი უმთავრესია (ზეციურია) ამ შემთხვევაში. ფარულ ნიშნებში ჩანს რვატოტიანი ვარსკვლავა წერტილებით და წრეებითაც (იხ. სურ. 95. 201. [11]). ხევსურეთის სოფ. ბისოს სალოცავის კარის გვერდით ქვის ნიშანი რომელიც ნახევარწრეებით განკერძოებულია და ცალკე საკვლევი თემაა. (იხ. სურ. 40)  . თუშეთის სოფ. ჰელოს ქვაზე წერტილოვანი ჯვარი წრით ფიქსირდება (იხ. სურ. 146).


იბერიულ დამწერლობაში (ძვ.წ. 5 ს), ორი წერტილი რამდენიმეგან ჩანს. მას ფარულ ნიშნებთან ბევრი მსგავსება აქვს. საინტერესოა რომ „კო" მარცვალი ორ წერტილიანი ჯვარია  . „კო" (ბო) მარცვლად იკითხება მეორენაირი ნიშანიც: ორი სამკუთხედი წვეროებით მიერთებული  . იბერიული დამწერლობის წარმომავლობა ბოლომდე გარკვეული არაა (მისი გაშიფვრაც ჯერ კიდევ დასამტკიცებელია). იბერიული ტექსტები წაიკითხეს მ.გ. მორენომ და პ. ვილაგრესმა [12]. [13].

„კო“ მარცვლის გარდა ჩვენთვის საინტერესოა სხვა ნიშნებიც, სადაც ქართულ ორნამენტის ფორმებსა და დასახელებებს შორის ჩანს მსგავსებები მაგ. „ბორჯღალა“ და „ბო“, „დედამიწა“ და „დე“, „კვერანი“ და „კუ“, „შატა (ჯვარი) და „ტა“ და სხვა. სამკუთხედი წვეროებით ერთმანეთან დაკავშირებული, უძველეს შუმერულ იდეოგრამებში „კავშირის“ სახელითაა. ასევე რვატოტიანი ვარსკვლავა „ღმერთის“ სახელით. უძველეს შუმერულ ტექსტებში გვხვდება საინტერესო სახელწოდება „ღმერთის კარი“, „ცის კარები“ (ქა-დინგირ-რა) [5]. აშკარაა რომ რომელიმე ასტრალური სიმბოლიკა სწორედ „ცის კარები“-ს აღმნიშვნელია  .

საქართველოში კერძოდ ხევსურეთში ღვთისმსახურების უძველესი ტექსტებია დღემდე მოქმედი. გვხვდება „ღვთის კარის“ და „ცის კარის“ ურთიერთმონაცვლეობის ფაქტები. მაგ. „ჩემ სიტყვა ღვთის კარზე (მეორეგან ცის კარზე) აიტანეთ, მადლი მამითხოვეთ“ ....„სადიდებლები“ (ხ. მამისიმედაშვილი). „ ღვთის კარი“ იგივე „ცის კარია“ იგივე „ წმიდა კარი“ და საერთოდ სიტყვა „წმიდა“ გამავალ„ კარსაც“ აღნიშნავდა, ჩვენი აზრით, კარი ანუ გასასვლელი სხვა სამყაროში, სხვა სიღრმეში. ქართულ ენაში ბევრი სიტყვა თუ ტერმინი საკრალური , უძველესი მნიშვნელობის ნაკვალევს ატარებს. სიტყვა „ცისკარი“ დღეს განთიადს ჰქვიან, შესაძლოა ადრე „ჯვარის ენიდან“ იყო და „ცის კარებს“ აღნიშნავდა. ამ დროს „წმიდა“ ღვთისმსახურების ტერმინია და მეორენაირად მცირე (უწვრილეს) მოცულობის ხაზსაც აღნიშნავს (წვრილი იგივე წმიდა. ს. საბა). ჩვენი აზრით, „ცისკარი“ გასასვლელია სხვა განზომილებაში და მითოლოგიურ გადმოცემებში „წმიდა კარი“ იგივე „ღვთის კარია“. ხევსურულ ლექსიკონში წმიდა წვრილის აღმნიშვნელია (წმიდა თმა). [7]. სიმბოლიზირება ტექსტების ან ტექსტების ნაკვალევი ფარულ ნიშნებში, ჩვენი აზრით გამორიცხული არ არის. „სამყაროს შორის არსებული, საზღვრის სიმბოლიზმი ემყარება კოსმოგონიურ სისტემას, მომდინარეობს მისგან და ქმნის სამყაროს ხატს ტაძრებისას“. „ამგვარად ტაძარი სამყაროს ხატია, ხოლო ტაძარი და მისი კარი, ფუნქციებიდან გამომდინარე, ერთმანეთის იდენტურია, რამდენადაც ორივე, კოსმოგონიური სიბრძნის გამტარად ითვლება“ (ნ. აბაკელია) [6]. „ანუ ეს ის ადგილია, რომელიც შესაბამება თაღის „თვალს“, ხოლო, ეს უკანასკნელი კი მიიჩნევა „სამყაროს ღერძის“ ზედა ბოლოდ- „კარებად“, რომლის მეშვეობით ხორციელდება გასვლა კოსმოსში“. (Р. ГЕНОН) [19]. „ღვთის კარზე ამოსული მირონმდინარე ხის ხატება სამოთხის ხატების მიმანიშნებელია. ადგილობრივი სიმბოლიზმის მიხედვით, ზემოთ ჩამოთვლილი იეროფანით მიღებული „ღვთის კარის“ სიმბოლიკის მატარებელი ობიექტები თავიანთი ფუნქციებიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს სხვა სამყაროში „გარღვევის“ ადგილებად, რომელთა მეშვეობით ხდება გადასვლა ჟამიდან უჟამობაში“ (ვ.ბარდაველიძე) [1]. ზემოთ აღნიშნული დმანისის სიონის ლაპიდარულ წარწერაში მაცხოვრის სიმბოლო ოთხწერტი-

ლიანი ჯვარი შეიძლება „სიღრმეში“ გასვლის (წმიდა კარი) უძველესი სახელწოდებიდან მომდინარეობდეს, „მე ვარ კარი: ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხონდეს“. იოანეს სახარება (10 თავი). შესაძლოა „ღვთის კარის“, „წმიდა კარის“, „ცის კარის“, „წმიდას“ შინაარსი ჰქონდა უძველეს ქართულ სამყაროში ფარულ ნიშანს, რომელიც ოთხწერტილიანი ჯვრის სახით მოვიდა დღემდე. ორი წერტილით გამოსახულია ხმალი რომელიც ანთროპომორფულ ფიგურას უკეთია. (იხ. „ფარული ნიშნები“ სურ. 8. [11]). სალოცავის და ციხე-კოშკების კარების თავებზე ან გვერდით გამოსახული წერტილებიანი ჯვარი განსაკუთრებულია. კონკრეტულად, ხევსურეთის სოფ. ბლოს სალოცავის კართან აღსანიშნავია ქვის ნიშნები.

პირაქეთ ხევსურეთის სოფ. ბლოს სკრიპტოგრამიანი ქვა დაცულია ჯვარ-სალოცავის დარბაზის კართან. ქვა საკმაოდ დიდი ზომისაა და მასთან დაკავშირებით არსებობს გადმოცემა: „გიგაი და ანთა (თავისი მოძმე) როცა მოსულან ბლოს საცხოვრებლად, ანთანი ქვევით წყლის პირზე დასახლებულან, სადაც ახლა ჯვართ დარბაზნი. გიგა ზემოთ დასახლებულა, სადაც ახლა გიგაურთ სახლებია. სალოცავი ჭიშელით მისულა. დარბაზი ადრე აქეთ იყვ, გზისკე. ეგ ქვა ადრეაც კართან, სკამად იდვავ. წინავ ძალიან წმიდად უცხოვრავ ჯვარის მსახურთ და ყოფილ ერთი წმიდა მედროშაე ანთაური მგელა. მამკვდარ ეს კაცი და მაგ ქვაზე ყოფილ დაუსვენებულ სამ დღე, გაცოცხლებულ იქავ. მაგ ქვაზე რადაღ იყვ დასვენებულ აღარავის ახსონს. ძალია ძველ ამბავი. სალოცავის დარბაზი გვიან გადატანილი დღევანდელ ადგილზე. ეგ ქვაიც ეტყობ ომიკათ გიგიაის გადატანილი და იმაად დაწერ თავის სახელი. ჯვართან სკამად დადებულ ქვაზე რო ნიშნებიი, არავის ახსონს, რა როდინდელი, ყურადღება არავის მიუქცევავ“. (ინფორმაც. ადგილობრივი მცხოვრები ჩაჩაურ გიგაური 75 წ). ქვაზე 5-მდე იდეოგრამაა გამოსახული. ხუთი ნიშნიდან ერთი ძნელად შეიცნობა. ნიშნები ქვის გვერდზეა ამოკვეთილი და საკმაოდ ძველია.






ჯვარი ორი წერტილ-ტირეთი, ელიფსური წრეები გაურკვევლად, ტოტებგაშლილი ხე, ჯვარი ოთხწერტილით და ვერტიკალურ ხაზზე ჰორიზონტალურად გადამკვეთი ორი ხაზი. ფარულ ნიშნებს მიმატებული აქვს გვიანდელი წარწერა „გი-

გია“ „1934“. სალოცავის სახელია „მუხის წმიდა გიორგი“, რომელიც უხსოვარი დროიდან არსებობს და კონკრეტული საგვარეულოს ძირძველი წმიდა ადგილია. სალოცავში დაცულია კვრივი და დიდი მუხის ხეები. ქვის ფარული ნიშნები თუკი შეესაბამება სალოცავის სახელწოდებას, მაშინ ეს საკითხი სიღრმისეულად გამოსაკვლევია. მარცხნიდან პირველი და მეორე იდეოგრამის შესახებ არანაირი ვერსია არ გვაქვს, ხოლო მომდევნო ფარულ ნიშნებში ხის სიმბოლო ძალიან ჰგავს „მუხის“ გამოსახულებას, მის გვერდით ოთხწერტილიანი ჯვარია. საქართველოში თითქმის ყველა მხარეში წმიდა ხე ან ტყე წმ. გიორგის სახელს უკავშირდება. „წმ. გიორგის სახელწოდება ენობრივი თვალსაზრისით განხილული აქვს ნ. მარს და მას მუხასთან აკავშირებს“ (ვ. ლომაია. ვ. ბარდაველიძე) [1]. ვერტიკალურ ხაზზე გადამკვეთი ორი ჰორიზონტალური ხაზი ძალიან ჰგავს მითოლოგიურ ალვის ხეს, რომელიც წმ. გიორგის სახელს შეიძლება აღნიშნავდეს. „მუხის“ ხესთან შედარებით ეს ხე გაცილებით სტილიზირებულად (გარკვევით) არის გამოსახული. (ანალოგიური სიცოცხლის ხის სიმბოლიკა „თურ“ გამოისახებოდა შუმერულ იდეოგრამებში) [5]. ანალოგიური „სიცოცხლის ხის“ იმიტირებული ნივთია ხევსურული „მაშხალა“, რომელიც ქორწილებში გამოყენებული და დღესაც შემონახულია ტრადიცია. მსგავსი ნიშანი ძველ დამწერლობაშიც ფიქსირდება მაგ. ხეთურ-ლუვიურ, ფინიკიური, კრეტული, ეტრუსკული, იბერიული ლოგოგრამები ან მარცვლოვანი გამოთქმით. მათი სახელებია: „ღვთაება“, „სამეხ“, „ზე“, „ზ“, „ო“. სოფ. ბლოს კიდევ ორი სალოცავია: „მიქაელ-მთავარანგელოსი“, თავისი ციხე-გორით და „გიორგი მგზავრის ანგელოზი“. ოთხწერტილიანი ჯვარი ხის სიმბოლოს გვერდით სხვაგან ჯერ-ჯერობით არ შეგვხვედრია. ჯვარ-სალოცავების მიმართ მორიდების გამო ფარულ ნიშნიანი ქვები, რომელიც სავარაუდოდ შიდა კედლებშია, დაუფიქსირებელი რჩება. ასეთია ხევს სოფ. უკანხადუს „საჯანგე“ და კისტანის სალოცავის შენობა. აღნიშნული ფარული ნიშნები განმეორადია ხევსურეთის და თუშეთის ქვის ნიშან-სიმბოლოებთან. სოფ. ბლოს ფარულ ნიშნებში გამოყენებული წერტილოვანი ჯვარი „წმიდა“-ს მნიშვნელობით შეიძლება ამ შემთხვევაში იგულისხმებოდა, ხოლო სხვაგან სხვა მნიშვნელობით. უდავოა ერთი, აღნიშნული ნიშანი ე.წ. „ღვთაებრივი“ ასტრალური სიმბოლოების ჯგუფიდანაა და საკულტო ტრადიციულ მსახურებაში უძველესი დროიდან ფიქსირდება. წერტილოვან ჯვარს „წმიდა“-ს და „კარი“-ს მნიშვნელობა რომ აქვს, ამას „კარატის ჯვარი“-ს ფარული ნიშნებიც ადასტურებს, რომელიც ჯვარ-სალოცავშია, საბეროს კედელში, კარის გვერდზეა დაცული (იხ. „ფარული ნიშნები“. სურ. 28. 29. [11]). „კარატის“ სალოცავში დაფიქსირებულ საინტერესოა სხვა ნიშნიანი ქვაც, რაზეც გვაქვს ჩვენი ვერსია (იხ. წერილი „ქართული და ლაზური პიქტოგრამები).

ჩვენი აზრით, ფშავ-ხევსურეთის, თუშეთის სალოცავი „კარატის ჯვარი“ უძველესია და „კარის ხატის“ თავდაპირველად შერქმეულ სახელს ამართლებს. სხვა

აზრი ამ სალოცავის სახელთან დაკავშირებით არ შემორჩენილა (და არც გამოთქმულა არავისგან). ქართული „ხატის“ სახელის მსგავსია უძველესი შუმერული და ეგვიპტური „ატი“(ათინ) ღვთაება, რომელიც გასხივოსნებული დისკოს სახით გამოისახებოდა (იხ.„დაკარგული ისტორია“). გასხივებული ჯვრიანი წრე შემორჩენილია საკვირაოს გორზე(სოფ.კისტანი) მდგარ ციხის ქვის ნიშნებშიც. ჩვენი აზრით, ამ ღვთაებას მოგვიანებით ქრისტიანული „ათენოს გენოსის“ სახლი ჩაენაცვლა და ათენგენობა მკვიდრად დღმდე მოდის. საინტერესო ნიშნიანი ქვა დავაფიქსირეთ უკანაფშავში, სოფ. მუქო. ძველი ხევისბერ ქურსიგ წოწკოლაურის სახლის კედელში.



სადაც აშკარად კოსმოგონიური და საღვთო წარმოდგენა ფიქსირდება (ქვის ზომ. 90-17 სმ.). ასევე ცაბაურთას უძველესი სალოცავის ნიშის კედლის ქვის ნიშნებიც, საინტერესოა, სადაც სალოცავ – ჯვართან ღვთიშვილებია გამოსახული.



აქაც ოთხწერტილიანი ჯვარი და კოსმოგონიური ნიშნებია ტრადიციულად.

ამ რეგიონში ქრისტიანობის შემოსვლის დროს დაახლ. V-VI საუკუნეში მოხდა (სინკრეტიზაცია) შეერთება ადგილობრივ სარწმუნოებასთან. სარწმუნოებასთან, რომელსაც ჯვართმსახურებით ვიცნობთ და ქრისტიანობის უძველეს ისტორიასთან კავშირშია. თუ რა კავშირი იყო, ეს საკითხი ღრმად საკვლევია პროფესიულ დონეზე. ფარული ნიშნების ცოდნა გადმოსული ჩანს ადრეულ შუასაუკუნეებში და შესაძლოა უფრო გვიანდელ პერიოდშიც გამოიყენებოდა მათი სემანტიკა. ეზოთერული ცოდნა, რომელიც უძველეს ქურუმებს და საკულტო მსახურებს ჰქონდათ,

ყურადღებას იქცევს დღევანდელი კოსმოსური აღმოჩენების ფონზე. უძველესი ხალხის რჩეულების, ცოდნის მიმართ წარმოდგენაც რადიკალურად იცვლება, როცა „ღვთაებრივ" სიმბოლოებს მსგავსება მოეპოვებათ კოსმოსურ ფორმებთან: გალაქტიკებთან, მეტაგალაქტიკებთან, პლანეტსახის ნისლეულებთან, შავ ხვრელებთან, თეთრ ხვრელებთან და პლანეტარულ მოძრაობებთან. (საიტი. Astronomy Picture of the Day) IC 418. M101. N GC918. NGC 3370. M 81. M83. N GC 4258 და სხვა ბევრი მსგავსი კოსმოსის ფორმები).

ბოლოს, ფარული ნიშნების ჯგუფში ჯვრის გამოსახულება ხშირადაა და სხვადასხვა ხერხით მოცემული. ოთხწერტილიანი ჯვარი ქართულ სამყაროში ერთ-ერთი მთავარი ნიშან-სიმბოლოა. ორნამენტების ენაზე ძველ კვლევებში იგი „ოთხთვლიან ჯვრად" იხსენიება (ლ. მოლოდინი, გ. ჩაჩაშვილი „ქართული კოსტუმის კატალოგი" 1964.) და საერთოდ, ქართული ენაში „თვალი" და „და-თვლა" რა კავშირში იყო ძველად, ცალკე საკვლევი თემაა. ოთხწერტილიანი ჯვარი ქრისტიანულში სამსჭვალების მიმანიშნებლად, გვიანდელი ჩანს. უძველესი შინაარსი მისადაგებულია მაცხოვრის „წმიდა" სახელს, როგორც მისი ღვთაებრივი მისტერიის გამომხატველი. ჩვენი აზრით, უძველეს დროს მისი სახელწოდება ასტრალურ სამყაროს მთავარ ადგილს აღნიშნავდა. მისი შემცვლელი ჩანს ჯვარი ოთხი წრით, ვარსკვლავა ოთხი წერტილით და ერთმანეთში ჩასმული  წრეები (იხ. „ფარული ნიშნები" სურ. 34. 155) [11]. ნიშნიანი ქვა-სკამები რომელიც შემორჩენილია სალოცავებში: ხევს.სოფ. გუდანის ზენა სამღვთო ჯვარში, სოფ. უკანხადუს და სოფ. ბლოში, წარმოშობს აზრს რომ ესენი ხუცესების ქვა-სკამებია. (შეად. დღევანდელი ქრისტიანული ტაძრების პატრიარქთა სკამებს). ნიშნიანი ქვები, როგორც ნალოცი ქვებია და ასეთი ქვებით გამოვლენილი „ძალა" თუშეთშიც ფიქსირდება. კონკრეტულ ფარულ ნიშან-სიმბოლოზე გამოთქმული ვერსია წარმოადგენს რამდენიმე წლის დაკვირვების შედეგს და გათვალისწინებულია ჯვარ-სალოცავის გარემო-თავისებურება. მიუხედავად ამისა ვფიქრობთ, რომ სხვა მოსაზრებებიც აუცილებელია და მთავარი სიტყვა პალეოგრაფ-სკრიპტოგრაფებს ეკუთვნის.

გამოყენებული ლიტერატურა


1. ვ. ბარდაველიძე. ხის კულტისთვის საქართველოში". საქართველოს მუზეუმის მოამბე. თბილისი. 1926.
2. ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრად. საზოგ-საკულტო ძეგლები. ტ 1 (ფშავი) თბილისი. 1974.

3. ქ. ელაშვილი ხეთა სიმბოლიკა ძველ ქართულ პროზაში V- XII სს -ის ძეგლების მიხ. ავტორეფერატი. თბილისი 1998.
4. ი. სურგულაძე. ქართული ხალხური ორნამენტიკის სიმბოლიკა.თბილისი 1986.
5. ზ. კიკნაძე შუამდინარეთული მითოლოგია. თბილისი 1979.
6. ნ. აბაკელია მარადიულობასთან ზიარების მოტივი ქართულ ტრადიციაში. განც. საქართველოს ეთნოგრაფია. 2007.
7. ალ. ჭინჭარაული ხევსურული ლექსიკონი. თბილისი 2006.
8. ს. მაკალათია ხევსურეთი" თბილისი. 1984.
9. ნ. ხაზარაძე ლუვიური იეროგლიფების სამყაროში. თბილისი. 2006.
10. ხ. მამისიმედაშვილი. სადიდებლები. თბილისი. 1985.
11. გ. გიგაური. ფარული ნიშნები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბ. 2010.
12. Rodrigyez Ramos. Jesus La eskriptura iberica meridional. Zephyrus 55.pp 231-245. 2002.
13. Correa, Jose Antonio(2002) Los semisilabarios ibericos: algunas cuestiones. ELEA 4.pp 75-98.
14. R. Borger. Assyrisch-Babylonische Zeichenliste, 2 nd ed. Neukirchen-Vluyn(1981).
15. A. Falkenstein. Archaische Texte aus Uruk. Berlin-Leipzig (1936).
16. Jain Bhagchandra 1972. Jainism in Buddhist Literature N.
17. А.В. Тарунину Сокралный символ история свастики. 1970. м.
18. Д.Дирингер. Алфавит 1963. м.
19. Р. Генон. Очерки о Традиции и Метафизике. Сант-Петербург. 2000.

ესპანური და ქართული პიქტოგრაფიულ-ხაზოვანი ნიშნები

„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“, 12 საუკუნის ქართველი გენიალური პოეტის შოთა რუსთველის სიტყვები მიესადაგება, ჩვენი წერილის და კვლევის მიმართულებას. ისტორიის სწორი განხილვა, საინტერესოა მომავალისთვის, ესეც ცნობილი აქსიომაა. ქართულ ისტორიოგრაფიაში შემონახულია 9-10 საუკუნის ბევრი საინტერესო ინფორმაცია, რომელიც ესპანეთის და საქართველოს ძველი ხალხის კულტურას შეეხება. „ქართველნი დასავლისანი“, „სპანიის ქართველნი“, „კელტ-იბერნი დასავლისანი“ და სხვა სახელწოდებებით არის მოხსენიებული საეკლესიო ხელნაწერებში ესპანეთის ძველი მოსახლეობა. გ. მთაწმიდელი, ექვთიმე მთაწმიდელი, იოანე ათონელი, ეფრემ მცირე და სხვა საეკლესიო მოღვაწეების ხელნაწერებში არსებული ინფორმაცია, გამოძახილია უძველესი დროისა. ეს ინფორმაცია ამოუხსნელია, როგორც ისტორიკოსებისთვის, ისე ლინგვისტებისთვის. ქართველ იბერთა და ესპანეთის იბერთა შესახებ ბევრი დაწერილა ენათმეცნიერთა მხრიდან, მაგრამ ამ ორი ქვეყნის ტერიტორიაზე შემორჩენილი პალეოგრაფიული არტეფაქტები კი, არავის შეუდარებია ერთმანეთისთვის. ქართულ ისტორიოგრაფიაში „სპანიის ქართველთა“ შესახებ ინფორმაცია იწერებოდა 1054 წლამდის. სამწუხაროდ, მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიური გაყოფის შემდეგ, შეწყდა ყოველგვარი გადმოცემები და ინფორმაცია. ესპანეთის და საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილია ძველი პეტროგლიფები და პიქტოგრაფიულ-ხაზოვანი დამწერლობის ერთნაირი ნაშთები. ქვებზე, კერამიკაზე შემორჩენილი სისტემური და სიმბოლური დამწერლობის ნაშთები ძვ.წ. 4-5 საუკუნისა. ამ ნახევარკუნძულზეა ასევე უძველესი პეტროგლიფებიც, სადაც ანალოგიური კოსმოგონიურ-კოსმოლოგიური ნიშნებია. ამ დამწერლობათა გრაფიკული შედარება ჯერ არავის გაუკეთებია და ჩვენს მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯით, ვფიქრობთ, დაინტერესება იქნება, როგორც პალეოგრაფებში, ისე ისტორიკოსებში. საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილია მტკვარ-არაქსის პერიოდის კულტურული ხასიათის სიმბოლო-ნიშნები. ასევე შემორჩენილია მატერიალურ კულტურის ძეგლებზე და წინაქრისტიანული ხასიათის საკულტო ნაგებობებზე ქვებზე ამოჭრილი, გაუშიფრავი, ხაზოვანი და ხატოვანი (პიქტოგრაფიულ-ხაზოვანი) სისტემური დამწერლობის ნაშთები, რომელსაც პირობითად „ფარული ნიშნები“ ვუწოდეთ. გვაქვს ასევე, ადგილობრივი გეომეტრიული მსგავსი დეკორული ორნამენტებიც, რომელთა კვეთის, გამოყენების ტრადიცია დღემდე გრძელდება (იბერიის, ესპანეთის ნახევარკუნძულის ბასკურ ეთნოგრაფიაშიც). საქართველოს ტერიტორიაზე პიქტოგრაფიულ დამწერლობასთან დაკავშირებით გამოსულია

მონოგრაფიის 1 ნაწილი „ფარული ნიშნები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“ (ავტ. გ. გიგაური). საქართველოში პიქტოგრაფიულ დამწერლობასთან დაკავშირებით გამოსული ეს პირველი ნაშრომია და ძველი არტეფაქტების მიმართ დაინტერესება დიდია. აქ წარმოდგენილია შედარებითი ცხრილი, რომელიც ეხება,



ესპანეთის და საქართველოს ძველ დამწერლობას, მათ გრაფიკულ გამოსახულებათა ფორმებს. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება, ამ ორი ერის, ძველი ისტორიულ კულტურული კვლევისთვის. ძველ დამწერლობათა წაკითხვა საინტერესო იქნება ფართო საზოგადოებისთვის და სპეციალისტებისთვის. ესპანეთის და საქართვე-

ლოს ძველი ხალხის ცოდნის გაცნობა, წარმოდგენას შეგვიქმნის მსოფლიოს ძველი დამწერლობის კულტურაში მათ წვლილზე და მათ აქტიურ ჩართულობაზე. ძველი დამწერლობის კვლევისას, კიდევ უფრო საინტერესო თემებიც წარმოჩინდება, მათ შორის, რელიგიური, კოსმოლოგიური ცოდნა, სოციალური თავისებურები და სხვა. გრაფიკულად შედარებული, გაუშიფრავი, ძველი დამწერლობის ნიშნები, როცა 55 ერთეულს აღემატება მათი რიცხვი, ვფიქრობთ, მსგავსება, შემთხვევითი მოვლენა არ გახლავთ. კვლევის სფერო მრავალმხრივია და ორი ერის ეთნოკულტურაში შემორჩენილი სხვადასხვა გამომსახველობები და ენობრივი მონაცემებიც ურთიერთშესადარებელია. პალეოგრაფიული შედარებითი კვლევა, რომელიც ესანეთის და საქართველოს ატრეფაქტებს შეეხება, ჯერ არ ჩატარებულა და სამომავლოდ მოითხოვს პროფესიონალურ ფუნდამენტურ სამეცნიერო სამუშაოს.

ფარული ნიშნები (სკრიპტები) და ასომთავრული

სტატიის რეცენზენტი: პროფესორი გიორგი ოთხმეზური

„ისტორია იმდენად წარსულისთვის არ იწერება
რამდენადაც აწმყოსთვის"

ვაჟა ფშაველა

მსოფლიოს ხალხთა დამწერლობის შესახებ ბევრი სამეცნიერო ნაშრომი არსებობს. ყველაზე ძველი დამწერლობის ტექსტი შუამდინარეთულია – ლურსმული დამწერლობის ნიმუში, რომელიც იკითხება. ი. გელბის განმარტებით „დამწერლობა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით წარმოადგენს ვიზუალურ ინტერკომუნიკაციურ სისტემას, ზოგჯერ ნიშნების გამოსახულებით საგნებზე, ზოგჯერ კი ფორმების ან საგნების ფერებით პირობითი გამოყენებით" [I. Gelb. "Hittete hierogluphic Monuments Chteago''. 1936, p. 37.].


არქაული დამწერლობა შეიქმნა მესოპოტამიაში, ინდოეთში, ეგვიპტეში და ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებში. ჯ. მაიერზის აზრით კრეტული და ადრეშუმერული ნიშნები იჩენენ საოცარ მსგავსებას, მათვე ემსგავსებიან პროტოელამური ნიშნები. დიდად ემსგავსებიან ერთმანეთს ეგეოსური და ხეთურ-ლუვიური იეროგლიფური დამწერლობის ნიშნებიც. ი. გელბი წერდა: „ყველგან ძველ მსოფლიოში დამწერლობის შექმნა თან სდევს ცივილიზაციის გაჩენას. დამწერლობის შემოღება ქრონოლოგიურად ემთხვევა სახელმწიფოს შექმნას, დიდ ძვრებს ხელოსნობაში, ვაჭრობაში, წარმოებაში, მეტალურგიაში, სატრანსპორტო გზების და საშუალებების განვითარებასთან ერთად. გეოგრაფიული, სოციალური, ეკონომიური, ფაქტორების ერთობა, რომელსაც მივყავართ ცივილიზაციის შექმნისკენ" [I. Gelb. "Hittete hierogluphic Monuments Chteago''. 1936, ჰ. 29.]. ე.ი. ცივილიზაცია ვერ იარსებებს დამწერლობის გარეშე. შუამდინარეთში დამწერლობა შეიქმნა სატაძრო მეურნეობის და მართველობის განვითარებასთან ერთად. დამწერლობის შემქმნელი იყო კულტურული იდეის მატარებელი ქურუმობა. დამწერლობის წარმოშობის სხვადასხვა თეორიები მას შემდეგ წარმოიშვა, რაც შეიქმნა შედარებითი ენათმეცნიერება. დამწერლობის თავდაპირველ დედნად ლურსმული დამწერლობის მიჩნევა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში დაიწყეს: დელიჩის, გომელის და უედელის კვლევების მიხედვით. ასირიული შტოდან ა. დეეკის მიხედვით. კვიპროსული სილაბური შტოდან ა. სეისის მიხედვით და სხვა. დამწერლობის წარმოშობის სხვა თეორია არაინდოევროპული ენების მხრიდან სხვადასხვა მკვლევარების მიერ იქ-

ნა მიჩნეული. ფინიკიური მარცვლოვანი დამწერლობის წარმომშობ დედნად მიჩნეულ იქნა კრეტული და იბერიული ნიშნები. არტურ ევანსის და მის კვალზე რამდენიმე მკვლევარის: რეინაკის, დიუსოს მიერ განვითარებულ იქნა თეორია, რომ კრეტიდან დამწერლობის ნიშნები გატანილ იქნა ფილისტიმელების და სემიტური ენების მიერ. კრეტულმა თეორიამ მოიპოვა აღიარება ასევე სხვა მკვლევარების მხრიდანაც: ა. დეიეტი, ი. სუნდვალი, შაპუტეს და ბულგარელი მეცნიერის ვ. გიორგიევის ჩათვლით. ეგვიპტურ-კრეტულ-ჩრდილოსემიტური ნიშნების სახელით თეორია დაუკავშირეს დამწერლობის წარმოშობას. თუმცა დ. დირინგერის ნაშრომში, მსოფლიოს დამწერლობის შესახებ [Д. Дирингер. Алфавит. М. 1963] აღნიშნული თეორია მიჩნეულია საეჭვოდ, მას მოჰყავს საბუთი, რომ ისტორიაში მოცემული ცნობებით, ფილისტიმელებმა პალესტინის ნაპირების დაპყრობა მოახდინეს ძვ.წ. 1220 წ. როცა რამდენიმე საუკუნით ადრე, ისტორია დამწერლობის შესახებ უკვე არსებობდა. თვლიან, რომ დ. დირინგერის მოსაზრება არადამაჯერებლად გამოიყურება, რადგან ფინიკიური ნიშნების და კრეტული ნიშნების მოხაზულობა და დასახელება ემთხვევა ერთმანეთს.

ე. ფეტერი დამწერლობის სისტემურ ნიშნებთან დაკავშირებით ბევრ თამამ და საინტერესო აზრს გამოთქვამს. აპენინის ნახევარკუნძულზე წერტილოვანი ნიშნებით მონიშნულ 3000 წლიან კრიპტებს ეტყობათ: „უფრო ძველი უცნობი ნიშნების გავლენა ანუ წინარე ეტრუსკულის" ე. ფეტერი, „მაგის გარდა გვხვდება სიტყვა ორი გვერდითი წერტილით. გამომდინარე აქედან ფეტერი გამოთქვამს აზრს, რომ სიტყვა წერტილის გარეშე ნიშნავს ღია მარცვალს, ხოლო – წერტილი კი დახურულ მარცვალს. ასეთ შემთხვევაში წერტილი ისმებოდა ან ნიშნის შიგნით თანხმოვნისთვის, რომლითაც მთავრდებოდა მარცვალი, ან ნიშნის შიგნით ხმოვნისთვის, რომლითაც იწყებოდა მარცვალი. ასეთი წერტილები გვხვდება იშვიათად ჩრდილო ეტრუსკულში და პიცენურ წარწერებში. შეიძლება ითქვას, რომ წერტილოვანი სისტემა მიმდინარეობს მარცვლოვანი დამწერლობის მოთხოვნილებისაგან, ჯერ კიდევ სანამ ფინიკიური და ძველბერძნული დამწერლობა შემოვიდოდა. ძველი ადრეეტრუსკული ხალხი სარგებლობდა მარცვლოვანი დამწერლობით, თუმცა ამის დამამტკიცებელ სხვა საბუთს არ ვფლობთ, რომელიც დაამტკიცებდა უფრო ძველი დამწერლობის სისტემის არსებობას" [G.GBionamichi. Study Etrusk 1941].

ჩრდილო ეტრუსკული დამწერლობის შესახებ ფეტერის თეორია და საქართველოს მთიანეთში მოპოვებული ნიშნების კვლევა ერთნაირ აზრს ავითარებს. საქართველოს მთაში შემორჩენილი ნიშნები, რომ ადრევე მისულიყო ევროპელი კრიპტოგრაფების და პალეოგრაფების ყურამდე, წერის ნიშნების წარმოშობა – განვითარების შესახებ, დღეს ალბათ სხვა თეორია იქნებოდა დამკვიდრებული საზოგადოებაში. წერტილოვანი სისტემა რომელიც მთელი არქაულობით არის ფარულ

ნიშნებში (წერაქვულ დამწერლობაში) ქართულ ენასთან ახლობლობას ამტკიცებს: წერტილი, წერა, ჭრა, ნაჭრელა, ამოწერვა, წერაქვი, ბედისწერა, წერამწერელი, სერნაწრიანი, ნიში და ნიშანი და სხვა [„ქართული წერაქვის სახელწოდების გამო“. გაზეთი ლიტ. საქ. 16 მარტი 2007 წ. 6გვ.].



ერთადერთი წერაქვი ნაპოვნია ხევსურეთში სოფ: ლებაის„ქარში. იხ. „ქართული წერაქვის სახელწოდების გამო“

ძველებურ ხაზოვან ნიშნებში წერტილოვანი სისტემა ქმნის შთაბეჭდილებას რომ ფინიკიურ დამწერლობამდე ამ ნიშნების მფლობელებს ბგერითი დამწერლობის მოთხოვნილება უკვე ჰქონდათ. დამწერლობის განვითარება რამდენიმე სტადიას ითვლის: პიქტოგრაფიულ-იეროგლიფურ, იდეოგრამულ-ლოგოგრამულ, სილაბურ-მარცლოვან და მარცლოვან ასო ბგერით ნიშნების. მიჩნეულია რომ პიქტორგაფიული (ხატოვანი) იეროგლიფური არქაული ნიშნები საკულტო მსახურთა და ქურუმთა იდეოლოგიას ემსახურებოდა, ჯგუფს რომელსაც ფარული ნიშნები უნდა სცოდნოდა საპატიოდ თვლიდნენ, რადგან: „საკრალური ნიშნების ამოჭრა ღვთაებრივ სამსახურად მიიჩნეოდა“ [ი. სულგულაძე „ქართილი ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა“ 1986].

ნიშანდობლივია რომ არქაული ნიშნები გამოირჩევიან რთული გრაფიკული მოხაზულობით, როცა საერო დამწერლობაში გადადის, იგი იწყებს გამარტივებას, ხდება სადა, ადვილად დასაწერი: „ეს თეორია ერთადერთია და დღესაც ინარჩუნებს მართებულობას“. [ჯ. ჩედვიქი. „მიკენური სამყარო“].


ქართულ იბერიული ხალხთა საცხოვრებელი ტერიტორია ბევრ საინტერესო არქეოლოგიურ მონაპოვარს მოიცავს. აქ მოპოვებულ კულტურულ ნივთიერ საგნებს ეტყობა განვითარების თავისებური ხასიათი. ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსული III-ათას. ძვ. წ. კერამიკა და მათზე გეომეტრიული ნიშნები აჩვენებს, რომ არსებობდა ამ რეგიონში ინფორმაციის გადაცემის მცდელობა. გეომეტრიული ორნამენტიკა, რომელიც ადრე შუა საუკუნეების ძეგლებზე და ხატების მორთულობაში

გვხდება, უფლებას გვაძლევს გამოვთქვათ ვარაუდი, რომ მიბაძვა ხდებოდა გეომეტრიული, კუთხოვანი ხასიათის არქაული ნიშნებიდან. მრგლოვანი ასომთავრულის დამკვიდრებას თანდათან იცვლება მორთულობის ხასიათიც – მკაცრი სტატიური ხაზებიდან გადადის მრგლოვან პლასტიკურ ხაზებში. დამწერლობის ნიშნების გავლენა მორთულობაზე საყოველთაოდ ცნობილი და დამტკიცებული აზრია. ტრადიციის უწყვეტობის მიხედვით, ფარული ნიშნები (კრიპტები), რომელიც ხევსურეთში და თუშეთში შემორჩა მსგავსებას იჩენს ასომთავრულ ასოებთან: მონუმენტური მოხაზულობით, კოსმოგონიური წარმოშობის ბიძგით, კუთხოვან წინამრგვლოვან ნიშნებთან მსგავსებით. „ასომთავრულის არქაულ მოხაზულობად მიჩნეულია სწორედ კუთხოვანი ნიშნები“ [ივ. ჯავახიშვილი „ქართული პალეოგრაფია“ 1949]. დიდი მეცნიერი და ქართული პალეოგრაფის მამამთავარი ივ. ჯავახიშვილი როცა იწყებს ქართულ პალეოგრაფიაში კვლევას მართებულ მითითებებს იძლევა. მთვარის და მზის კალენდრის მონაცვლეობა ძველ ქართულ – იბერიულ – კოლხურ წარსულში დადასტურებულია. ეტიმოლოგიური, პალეოგრაფიული, ეთნოგრაფიული კვლევები ბევრ მინიშნებებს იძლევა. აკ. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს „ასომთავრულში არსებობს არქაული ნიშნები, რომლებიც გამომდინარეა მთვარის ფაზების სიმბოლოებიდან“. თავდაპირველ საწერ მასალასაც ასე განიხილავს: „მაგარ მასალაზე გამოყვანილი წარწერები ორნაირად იყვნენ ასრულებულნი ან შთაწერილნი ამოჭრილი ასეობით, როდესაც ასოთა მოხაზულობა ჩაღრმავებითა და ამოჭრით იყო გამოყვანილი“ ივ. ჯავახიშვილი „ქართული პალეოგრაფია“ გვ. 40. იქვე „აღსანიშნავია, რომ ყველა ერის დამწერლობის უძველეს საფუძვლად კუთხოვანი დამწერლობა იყო“ გვ. 121. თვით ასოთა მოყვანილობას ასე ახასიათებს „ქართული დამწერლობის ხუცურ – ასომთავრულ „ფ“ და „ქ“ მოხაზულობას უძველესი სახე აქვს დაცული. ქან – ის შემდეგ ქართულ ანბანში ისეთი ბგერათწყობა იწყება, რომელთა მსგავსი ღან – ის გარდა, არც სემიანთ (სემიტურს) და არც ბერძნებს ჰქონდათ და მარტო ქართული ენის დამახასიათებელია“ (გვ. 226). საინტერესო შედარებაა ასევე: „ქართული სან – ის და დარიელთა ამავე ასოს თავდაპირველი სახელის იგივეობა ცხადი ხდება“. „ქართველებმა ამ ასოს სახელი სან დორიელებისგან შეითვისეს, ცხადია ამგვარი შეთვისება ისეთ დროს უნდა ვიგულისხმოთ, როდესაც თვით დორიელნი იყენებდნენ: წიგნებში ხომ არ დაუწყებდნენ ძებნას ქართველები იმ ასოსთვის სახელის მონახვას? ეს გარემოებაც ქართული ანბანის სიძველის მაჩვენებელი უნდა იყოს“ (გვ. 232). დასკვნის აზრიც ასეთია: „ქართული უძველესი ანბანის ბერძნულიდან წარმოშობის აზრი უსაფუძვლოდ და შეუძლებლად გვეჩვენება“ (გვ. 233). „ქართულ დამწერლობას მახლობლობა აღმოსავლეთის სხვა დამწერლობათა შორის სრული მსგავსებით ნათესაობის ან დედნობის გამომამჟღავნებელი არ მოეპოვება“ (გვ. 233).

დღევანდელი გადასახედიდან ანბანის მწკრივთა რიგს ფინიკიურსა და არამეულს როცა ამსგავსებენ სწორი შენიშვნაა, თუმცა ჩვენ არ ვიცით ფინიკიურმა თვითონ მოიგონა ასეთი მწკრივი თუ მათაც აღებული აქვთ წინარე დამწერლობიდან. „წერის ნიშნების წლოვანებას ქიმიკოსი ან ფიზიკოსი კი არ ადგენს სინამდვილეში, არამედ პალეოგრაფი, რომელსაც ცოდნა და თვალი აქვს გამახვილებული მოხაზულობის ხელოვნებაზე“ მ. ვენტრისი [М. Вентрис. ДЖ. Чедвик. Дешифровка Линейного письма В. Перевод Г. Вариновой 1976. М]. შესაძლოა ასომთავრულის ნიშნებმა სხვა გზა გაიარა გამარტივება მოქნილობის მისაღწევად, ხოლო ფინიკიურ – ბერძნულმა ხაზმა სხვა გზა.



უკანა უშაეი. სოფელი ხოშარა. ნასახლარის ქვა
ზომა 50X26 სმ



ჩანახატი

„წერაქვული“ ფარული ნიშნების მოხაზულობა აშკარად ფინიკიურსა და კრეტულზეც ძველებულ იერს ამჟღავნებს. ნიშნები რელიგიური იდეის გამომხატვე-

ლად სჩანან და ინახავენ თავდაპირველი ინფორმაციის ნაკვალევს, ამ თვალსაზრისით ისინი მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს წარმოადგენენ უძველესი შეხედულებების შესწავლისათვის. მათი იდეური სამყარო მსგავს კულტურულ და ისტორიულ გარემოში ნაკლებად იცვლებოდა, რაც ერთგვარად ხელშემწყობ პირობებს იქმნიდა: ორნამენტებით მკვიდრი გარემო და ჯვართმსახურების კონსერვატიულობა.




ხევსურეთი. სოფ: გუდანი. სალოცავში ღობული ქვა.
ე. ბარდაველიძე. „ად. საქ. ძეთან. გრაფიკ. საშოვ. საკედრო ძეგლები"

გასათვალისწინებელია ერთი გარემოება, „ქართული პალეოგრაფია" [ივ. ჯავახიშვილი „ქართული პალეოგრაფია" 1949.] როცა იწერებოდა მაშინ ჯერ კიდევ არ იყო კრეტულ და იბერიულ ნიშნებზე სამეცნიერული ნაშრომები. ძირითადი კვლევები XX საუკუნის 40-50-იან წლებში ჩატარდა. არამეულის და ფინიკიურის ძირი დამწერლობების მოძიება შუამდინარეთულ, კრეტულ და იბერიულ ხაზოვან ნიშნებში გვიან დაიწყეს. ამ დამწერლობიდან სამეცნიერო დონეზე დამუშავებული და წაკითხულია მხოლოდ კრეტული „B" ხაზოვანი დამწერლობა. (ძვ. წ. XIV ს.). დანარჩენის წაკითხვა ვერსიების დონეზე რჩება. კრეტის ძველ მოსახლეობაზე „კლასიკურ პერიოდშიც კი ისტორიკოსები, არც თუ იშვიათად, იხსენებენ სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხებს მაგალითად პელაზგებს და ამასთანავე ძვ.წ. IV საუკუნეშიც კი კრეტის აღმოსავლერთ ნაწილში წარწერები კეთდებოდა არაბერძნულ ენაზე." [ჯ. ჩედვიქი „მიკენური სამყარო"(გვ. 42)], რაც შეეხება იბერიულ დამწერლობას იგი აღმოაჩინეს XX საუკუნის 30-იან წლების ბოლოს. თავდაპირველად მიიჩნიეს რომ ფინიკიურიდან გამომდინარეობდა, მაგრამ კრეტული იდეოგრამების ამოცნობის შემდეგ გააერთიანეს კრეტულ და იბერიულ ნიშნების (დაახლოებითი მსგავსების) ჯგუფში. იბერიული დამწერლობის წაკითხვას შეეცადნენ მ. გომეს მორენო და პ. ვილაგრესი. 1942 წ.

როდესაც მთაში ნაპოვნი კრიპტები შეიკრიბა გარკვეული რაოდენობით, აღმოჩნდა, რომ გეომეტრიულ ორნამენტებთან საერთო გენეზისისას ერთმანეთს ჰგვანან. ხევსურული გეომეტრიული ორნამენტების თავისებურებების შესახებ ბევრი ნაშრომებია, მათ შორის არიან ცნობილი ავტორები გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, ი. სურგულაძე. ყველა მკვლევარი აღიარებს ერთს, რომ „ეს ორნამენტები საქართველოში ძველთაგანვე იყო გავრცელებული“.



ხევსურეთი. სოფელი შემო კისტანი.
სასახლარში შემორჩენილი ქვა.
(ამჟამად ისახება დაბა ჟინვალში გიორგი ჭინჭარაულის სახლში)
ზომა 100X40 სმ.




ჩანახაზი

ჩვენ შევადარეთ გეომეტრიული ორნამენტების მოხაზულობა და დასახელება ხმელთაშუაზღვისპირეთის ცნობილ ხაზოვან ნიშნებს, კრეტა – იბერიულ – კვიპროსულ ნიშნებს. უნდა ითქვას, რომ მსგავსება არა მარტო მოხაზულობაში, არამედ დასახელების მხრივაცაა. აღნიშნულის გამო, უპრიანია აზრი, რომ ყველაფერი ერთმანეთთან დაკავშირებულია. გეომეტრიულ კუთხოვან ორნამენტებს შემორჩენილი აქვს დასახელება. მსგავსებაა მათ შორის, როგორიცაა: „კეხა“ და „კე“, „ბორჯღალა“ და „ბო“, „ქისტურა“ და „კი“, „მარტულელა“ და „მ“, „უღელა“ და „უ“. მიახლოებითი მსგავსებაა „კიმხა“ და „კო“, „რქაგირგოლა“ და „გი“, „მგზავრა“ და „გე“, „უნაგირა“ და „გი“, „კუერანი“ და „კუ“.




ხეცსურეთი. შაგილი. შუა სოფელი.
"ბელოურთ" ციხის კარის თაღი




ჩანახაში

ამ მსგავსებაზე რაიმეს თქმა ძნელია. ვინც კი შეუდგება ფარული ნიშნების საშუალებით სიუჟეტურ წაკითხვას ყველაფერი გასათვალისწინებელია. კრეტული და იბერიული (პირინეის) ნიშნების დასახელებები შედარებით უფრო გასაგებად აღწერილი აქვს დ. დირინგერს მსოფლიოს ხალხთა დამწერლობების შესახებ (Алфавит) ქვესათაურებში; კრეტა – კვიპროსულ – იბერიული ნიშნები (გვ. 96. სურ. 42, 101, 118, 201).



ხევსურეთი. შაგილი
"ბულოურთ" ცისკარ-კომკის სარკმლის ქვა-თაღი



ჩანახაზი

გეომეტრიული ორნამენტები აღწერილია ს. მაკალათიას „ხევსურეთი" (გვ. 70), ი. სულგულაძის „ქართული გეომეტრიული ორნამენტიკის სიმბოლიკა", ვ. ბარდაველიძის „ხევსურული ორნამენტიკა" და სხვა. ამ შემთხვევაში ორნამენტებს და ფარულ ნიშნებს დიფერენცირებულად უნდა მიდგომა და ვფიქრობთ, რომ საბოლოოდ ერთი აზრი ჩამოყალიბდება. წერის ნიშნების განვითარება შუამდინარეთულ, კავკასიურ, მცირეაზიულ, ეგეოსურ არეალში უკვე ახლებურად გააზრებას მოითხოვს. ასომთავრულის დალაგებული მწკრივი და მოხაზულობანი მიანიშნებს

სხვა წარმომავლობის ძირს შედარებით სომხურ-ალბანურ დამწერლობით ასონიშნებთან. სამართლიანად შენიშნავს აკ. ივ. ჯავახიშვილი. ფარული ნიშნების გამოჩენის შემდეგ ასომთავრულის ისტორია მთლიანად შეიძლება შეიცვალოს. ამჯერად მთავარია გაირკვეს თუ რა კავშირია ასომთავრულს და ფარულ ნიშნებს შორის. საქმეს ართულებს მწირი ინფორმაცია. რელიგიაში განვითარების საფეხურზე გადასვლამ ძველებური დამწერლობის ნიმუშები ამოიღო ცხოვრებიდან, როგორც არასასურველი სხვა მსოფლმხედველობიდან გამომდინარე. ჯვრის მდგრადი გამოსახულებებიდან ჩანს, რომ კრიპტები (იგივე სკრიპტები) ჯვართმსახურების საკულტო იდეოლოგიას ემსახურებოდა. რამდენიმე მეცნიერის მოსაზრებით ასომთავრულზე წინა დროის ფარული ნიშნები საქართველოს ბარში გაანადგურა არაქართული წარმართული სარწმუნოებების მოძრაობამ. (ქრისტიანობის წინდა პერიოდი, ზოროასტრიზმი, გაცი-გაიმი, ზადენი და სხვა).

ისტორიის უკუღმართობამ მრავალი ძეგლი გაანადგურა, მაგრამ შემორჩა შუასაუკუნეების დროინდელი ისეთი ასომთავრული წყობა და უცხო ნიშნები, რომელთა ახსნა რთულია. ძველი ნიშნები თვით მკაცრმა შუა საუკუნეებმაც ვერ ამოშალა ხალხის მეხსიერებიდან. ძველი კრიპტების გამოსახვა უცდიათ სხვადასხვა სტელის ბაზისებზე და ასომთავრულთანაც. დავით გარეჯი; სოფ. წებელდის ეკლესიის საამშენებლო წარწერა და სხვა. ხევსურეთში და თუშეთში შემორჩენილ ფარულ ნიშნებთან მსგავსებას პოულობს VIII–IX-ს ქრისტიანულ ხატებში და ნიგნებში დაფიქსირებული უცნობი სიმბოლოები. მაგ: IX საუკუნის ადიშის ოთხთავის ერთერთ გვერდზე ორ სვეტად ჩამონერილი ნიშნები ე.წ. „სიმბოლოები“ [რ. შმელინგი. „ქართულ ხელნაწერთა წიგნების მხატრული გაფორმება“ IX–XI ს. ტაბ. 3 სურ. 2], ასევე XI საუკუნის წმინდა გიორგის ჭედური ხატი „ხიდისთავის წმინდა გიორგი“ ფეხზე მდგომი ფიგურა ხელში მახვილით. ტრადიციული ხატწერისთივს მოსასხამით და ორნამენტებით. ამ ორნამენტებს შორის კერძოდ, მოსასხამის კალთის არშიაზე შემოვლებულ გაფორმებასა და ზედა ასეთივე ორნამენტებს შორის დატოვებულია ადგილი, სადაც სიმბოლოებია ჩაჭრეთილი. სიმბოლო ნიშნები წარმოშობით ორნამენტებს ნამდვილად არ ჰგავს, იგი გაკეთებულია გავლენით და რადგან ოქრომქანდაკებელმა წმინდა გიორგის მოსასხამზე ამოჭედა, ფაქტია, რომ ისინი საკრალურად მიიჩნია. კვადრატი დიაგონალებზე ჩახატული ჯვრით. ჯვრის მხრებს შორის წერტილებია ჩაჭრეთილი. ასევე სამკუთხედები წერტილებით. წერტილები ნიშნების გარეთაც არის გაკეთებული. მსგავსი ნიშნებია საქართველოს მთაში დაფიქსირებული. მკაცრ სისტემურ ქრისტიანულ გამომსახველობაში რადგან სიმბოლოები დეკორად მაინც შემორჩენილია ეს უთუოდ მიმანიშნებელია ასომთავრულის წინარე კუთხოვანი ნიშნების გამოძახილის.

წერაქვულ დამწერლობაში, „სკრიპტებში“, შეიმჩნევა განმეორებადობა, რის გამოც შეიძლება კანონზომიერებაზე (სისტემა) საუბარი. ნიშნები ადგილობრივი წარმოშობისაა თუ შემოტანილია მცირე აზიიდან ან შუამდინარეთიდან, სადაც ასევე ისტორიაში პროქართველურ ენებზე მოსაუბრე ხალხი მოიაზრებოდა. უმეტესი ფარული ნიშნები თავდაპირველი მოხაზულობით უფრო მეტად შუამდინარეთულ იეროგლიფურ სიმბოლოებს ჰგავს, მაგრამ განსხვავდება საინტერესო კუთხით. როგორც ცნობილ შუამდინარეთულ, ეგეოსურ და ეგვიპტურ ნიშნებში გვხვდება ეკონომიურად განვითარებული რეგიონის ატრიბუტები: გუთანი, საზიდარი, ჭურჭელი, თევზი, თასი, ცული, დანა, და სხვა. როგორც ჩანს, ყოველდღიური ყოფის საგნები დამწერლობით სისტემაში სტილიზებულ სიმბოლოებად გადასულა. საქართველოს მთაში შემორჩენილ ნიშნებში მსგავსი არაფერია. სამაგიეროდ გვაქვს: ბორჯღალი, მნათობები სხივებით, მზე, წრე, წერტილები, ხაზები, ჯვრიანი წრეები, კლაკნილი, კომეტის ტიპები, სპირალები, ორმაგი წრეები, სამკუთხედი და ზევიდან დანახული დასახლებული ადგილის სიმბოლოები უჯრიანი კვადრატები და სხვა. იქმნება აზრი, რომ სკრიპტები კოსმოგონიური წარმოდგენების საფუძველზე წარმოიშვა. დაუშვათ რომ ადგილობრივი წარმოშობისაა, მაგრამ აუხსნელია საიდან ჰგავს ერთმანეთს საქართველოს მთიანეთის ფარული ნიშნები შუამდინარეთის წინა ლურსმული და შედარებით გამარტივებული მოხაზულობის კრეტული და იბერიული ხაზოვანი ნიშნები. დამწერლობით ნიშნებში ცნობილია რომ ისტორიის დიდ მონაკვეთზე სტილისტური მსგავსება შეიმჩნევა მაგ: ინგლისელი ორიენტალისტის ა. ვაისმენის მოსაზრებით, სიმბოლიკა „გუთანი“ რომელიც შუამდინარეთში ძვ. წ. 3500 წლით თარიღდება, წარსულიდან მოჰყვება დამწერლობის ნიშნებს და ფინიკიურ თუ ბერძნულ ანბანშიც აირეკლება. ჩვენთან სიმბოლო გუთანის (ქართულად ერქვანის) არარსებობა გაურკვეველია. სავარაუდოა, რომ ჩვენ წინაპრებს სასიცოცხლო მოხმარების საგნები მეორეხარისხოვნად მიუჩნევიათ. კოსმოგონიურ წარმოდგენებთან შედარებით, რაც ინტერესს აღძრავს და ღრმა შესწავლას მოითხოვს. ჩვენამდე მოღწეული საქართველოს მთიანეთის წერაქული დამწერლობა უცნაურ გამოცანას ჰგავს. გაურკვეველია ერთი ნივთმტკიცება რომელიც ხევსურეთში სოფელ ხახმატშია. ერთ-ერთ ოჯახში (შ. ალუდაური) შემორჩენილია ძველებური მასიური ხის კიდობანი ზედ ამოჭრილია შვიდი ხაზოვანი ნიშანი. 7 ნიშნიდან სამი სიმბოლო გაფუჭებულია ხოლო 4 ნიშანი კიდევ გაირჩევა. კიდობანი საშუალო ზომისაა და ადგილობრივი ნახელავია. საინტერესოა: რა ინფორმაცია დაიტანეს ზედ და როგორ მოაღწია შუასაუკუნეებამდე ძველებური ნიშნების ცოდნამ? ნაკლებ სავარაუდოა მიბაძვით იყოს მხოლოდ გაკეთებული. როგორც ჩანს, ამ რეგიონში მთელი რიგი ფაქტორების ურთიერთდამთხვევამ ფარულ ნიშნებს იდეალური გარემო შეუქმნა და მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა უზრუნველყო. ვფიქრობთ ნიშნიანი ხის ნაკეთობა ცალკე შესასწავლია. სამწუხა-

როდ ადრევე არ დაიწყო ამ ნიშნიანი ქვების მოძიება და ფიქსირება, ამიტომ ბევრი დაკარგულად ჩაითვლება. ხალხური მეხსიერება შეიძლება წარმოუდგენლად ძველ დროს იმახსოვრებდეს. რაღაც მნიშვნელოვანი მოვლენა რომელმაც უხსოვარ დროს ადამიანზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა, დაილექა მეხსიერებაში და საყოველთაო კუთნილება გახდა. ასეთი ზეგავლენის კვალს შეიძლება მიეწეროს გეომეტრიული პირამიდული ფორმაც. ამ ფორმამ ღვთაებრივი საკრალური დატვირთვა შემოინახა მსოფლიოს ხალხებში. შუამდინარეთში, ეგვიპტეში, ცენტრალურ ამერიკაში, ჩინეთში და კავკასიაში. თუშეთში და ფშავ-ხევსურეთში შემორჩენილი პირამიდულ სახურავიანი ნიშები ამის დასტურია. „პრაქტიკული მოსაზრებით ახსინილი ეს ფორმა არ გამორიცხავს საკრალურ დატვირთვასაც“ (ვ. ბარდაველიძე „აღმოს. საქართველოს მთიან. ტრად. საკულტო ძეგლები. თუშეთი 1983 წელი“), მათი ფორმა აკლდამებზე და კოშკებზეც გადავიდა. იგივე ფორმა თავისი გვირგვინული წყობით ახლობელია ქართული დარბაზის არქიტექტურასთანაც. მეხსიერებას შემოუნახავს ძველებური სახით ფარული ნიშნებიც. ერთი ნიშანი, რომელიც სავარაუდოდ სალოცავს ანუ ჯვარს მიანიშნებს მეორდება ისეთ კონტექსტში და ისეთ გარემოში რითაც იმსახურებს განსაკუთრებულ შინაარს. ადგილობრივ ხალხში შემორჩენილი ქვების დასახელებისა და მოხაზულობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება რამდენიმე ნიშნის ამოცნობა. ყოველ შემთხვევაში რამდენიმე ნიშნის რაობა ემთხვევა ასომთავრულის მოხაზულობას გამარტივებამდელს, ასეთი ნიშნებია: ხარი და ხ, (ხქ). ბორჯღალი და ბ, ფარი ან საფარველი და ფ, ქვეყანა და ქ, ჯვარნი და ჯ, მაგალითად კვადრატი დიაგონალზე ჩახატული ჯვრით გვხვდება გუდანის ჯვარში. ეს სიმბოლო ნიშანი ადამიანის ფიგურის წინ არის ამოტვიფრული. ადამიანის ფიგურაზე სამჯერ დიდი მოცულობით, ხაზი აქვს გასმული მის განსაკუთრებულ შინაარსს. ქვაზე ერთ ხაზზე ოთხი ნიშანია ამოჭრილი: კვადრატი ჯვრით, ადამიანის ფიგურა ხმლით, ორი წერტილით, მნათობის ნიშანი და ხელის მტევნის (მარცხენა) გამოსახულება. მთლიანი იდეოგრამის გაშიფვრა ძნელია მაგრამ კვადრატი დიაგონალებზე ჩახატული ჯვრით მეორდება სხვაგანაც. სოფ. ზემო კისტანის ქვაზე კვეთილობა მრავალმხრივ საინტერესოა. ქვა ადგილობრივი წარმოშობისაა ზომით ერთი მეტრი სიგრძის 40 სმ სიგანის 25 სმ სისქის. სიბრტყეზე ამოჭრილია გაფანტულად ნიშან-სიმბოლოები 19 ერთეული. იქმნება შთაბეჭდილება რომ გვიანდელი პერიოდისაა. ხატოვან-იეროგლიფური ნიშნების საშუალებით დაპირისპირების ამბის გადმოცემა უცდიათ. დაპირისპირებულ მხარეებს შორის ჯვარი ფიგურირებს. ერთი ჯვარი ქრისტიანული ჯვარია, მეორე ტიპური ადგილობრივი ფოთლოვანი ჯვარი. გუდანის ჯვართ ქვის მსგავსი ნიშანი აქაც ამოუჭრიათ, ჩანს რომ ეს ნიშანი სალოცავი ჯვართ სიმბოლოა. იგივე ნიშანი სოფ. უკანახოს ჯვართ ფასადზეა ამოჭრილი კვადრატი ჯვრით. თუ კარგად დავაკვირდებით ეს ნიშანი ასომთავრული ჯ-ს არქაულ ნიშანს მოგვაგონებს.

ჩარჩოში ჩასმული ფარული ნიშნებია: სხივმოსილი ნახევარწრე, წრე და ჯვარი. ასეთი ფიგურებიდან ანუ რთულიდან გამარტივებისკენ მსვლელობა შესამჩნევია. (ასო ნიშნებთან „ა“, „დ“, „ჯ“) კვადრატი დიაგონალებზე ჩახატული ჯვრით რომ „ჯვართ“ ნიშნავს ამას მოწმობს პირამიდულ-სახურავიანი ნიშებიც. ზედხედიდან დანახული შენობის ფორმა ემთხვევა სიმბოლოს. ქართულ ჯ-სთან დაკავშირებით ამგვარ აზრს გვთავაზობს აკ. ივ. ჯავახიშვილი: „ეგეების ასომთავრული „ჯან“-ის მოხაზულობა უძველესი სახის შემნახველი იყოს. მაგრამ აქაც ჯერ ჰიპოთეზის გზით არაფრის თქმა არ შეიძლება და მომავალი იმედია მკვლევარს უფრო მეტ მასალას მისცემს. შესაძლოა ჯ-ს წარმოშობისთვის მექანიკური თეორიაც კი იყოს გამოყენებული, მაგრამ საიდან გაჩნდა ჯ-ს ზედა გასწვრივი ხაზი, ამ თეორიის თვალსაზრისი გაუგებარი იქნებოდა“ [ივ. ჯავახიშვილი „ქართული პალეოგრაფია“ 1949, გვ. 231].

ხევსურეთის სოფ. ზემო კისტანის ლოკალური ხასიათის ნიშნებში კიდევ სხვაც საინტერესოა. კვადრატი დიაგონალზე ჩახატული ჯვრით გაერთიანებულია ერთ სიმბოლოში, რომელიც ხელსაწყო გონიოს მსგავსია. ამ სიმბოლოს ორნაირი ჯვარი ადგას, ერთი ფოთლოვანი ჯვარია, მეორე ჩვეულებრივი მცირე ჯვარი. სიმბოლოების ამ ჯგუფს უპირისპირდება მარჯვნიდან სხვა სიმბოლოების ჯგუფი, სადაც წამყვანია ქრისტიანული ბოლოებგაშლილი ჯვარი წრეში. „გონიოს“ მსგავსი იეროგლიფი შიდა სივრცით, ცნობილია ლუვიურ იეროგლიფების ჯგუფში სახელწოდებით „ნაგებობა“ [„ლუვიური – იეროგლიფების სამყაროში“ ნ. ხაზარაძე 2006 წ. გვ. 32.], მსგავსი ნიშანი არ ჩანს ხმელთაშუაზღვისპირეთის ხაზოვან ნიშნებში და არც წინა აზიურ ნიშნებში. ასევე ცნობილია, რომ ლუვიური იეროგლიფური დამწერლობა გამოიყენებოდა თაბალების და მუშქების ქვეყანაშიც მცირე აზიაში ძვ. წ. XVI-XIII ს. ამ დამწერლობის უძველესი ნიმუში ქიცუვანთას მეფე ისფუთახსუს საბეჭდავმა შემოგვინახა პ. მერიჯი [„Manuale Di Eteo Geroglifico. 1975.] მომავალში ვინც დაინტერესდება ფარული ნიშნების ისტორიით, მას ამ იეროგლიფის გრაფიკული მსგავსებაც შეიძლება დაეხმაროს.

ზევიდან დანახული დასახლებული ადგილის სქემატური ნიშანია მეორენაირი კვადრატები ჩახატული უჯრედებით, ზოგან ოთხი წერტილია, ზოგან სამი. რვაუჯრიანი, ექვსუჯრიანი, ოთხუჯრიანი კვადრატები. კრიპტოგრაფების და პალეოგრაფების თვალთახედვის მიღმა დარჩენილი ნიშნიანი ქვები ყურადღებას მოითხოვს. შესაძლოა უძველესმა ნიშნებმა გამარტივება განიცადეს და საერო დამწერლობა ჩამოყალიბდა. როგორც აღვნიშნეთ წერაქვულ დამწერლობაში კრიპტებში ფიქსირდება სხვა ნიშნებიც, რომლებიც მეორდებიან და ქვეყნის აღნიშვნის შინაარსის მატარებელს ჰგვანან. მსგავსი ნიშანი შუამდინარეთში დასახლებულ მიწას აღნიშნავს. საუბარია ოთხკუთხედში ჩახატულ უჯრედებზე. უჯრიანი კვადრატი (სვასტიკასთან) ბოლოებშეხრილ ჯვართან გვერდზე არსად ჩანს, რითაც ბა-

დებს აზრს, რომ, ეს ორი ნიშანი ერთი და იმავე შინაარსის სახეცვლილებებია, ხოლო უჯრიანი კვადრატი და წრეში ჩამჯდარი ჯვარი გვერდ-გვერდითაა. (შატილის ქვები) ე. ი. სხვადასხვა სახელწოდების ჩანან. ფარული ნიშნები საკულტო მსახურობის ტექსტების ნაკვალევს მოგვაგონებს. მაგ: „ჯვარო ნათელო, ნათლისაო“, [ს. მაკალათია „ხევსურეთი”] „ცეცხლის ბურთეაიანო“, „კოპალავ, ცეცხლის ლახტიანო“ და გეომეტრიული „ფიგურები“ როგორიცაა: ჯვარი წრეში და წრეს ცალმხრივი ხუთი სხივი, ჯვართან წრეები სხივებით. ფარული ნიშნები, რომელიც საქართველოს მთამ შემოინახა, ტრადიციის მიხედვით ატარებს, ქართული ენის გადმოცემებში აღწერილ წარმოდგენათა ნაკვალევს. თავდაპირველი საკრალური, რთული ფიგურების გამარტივებული მოხაზულობა დაფუძნებული ჩანს მსგავსებაზე, ე.ი. აქ საუბარია გრაფიკულიდან გამომომდინარე შინაარსზე, ხოლო ეს გრაფიკული მოხაზულობა მსგავსებას იჩენს ობიექტურ ფორმებთან „ჯვართ“ ფორმა, ხის, ფარის გამოსახულება და სხვა. ამ საკითხს თუ ჩავუღრმავდებით, ბევრი პრობლემა იჩენს თავს. კრიპტოგრაფიული კვლევის გამოცდილება ჩვენთან არ მოიძებნება. ჩვენ ვხელმძღვანელობთ ისტორიკოსების, პალეოგრაფების, ეთნოგრაფების, ენათმეცნიერების, იბეროლოგების, უცხოელი პალეოგრაფების და სკრიპტოგრაფების შრომების მიხედვით. სკრიპტებსა და ასომთავრულს შორის შეიძლება საერთო მოტივების მონახვა. მხატვრული და გამომსახველობითი ფორმები, როგორც ერთგან ისე მეორეგან საერთო გეომეტრიული ფიგურებია: ჯვარი, წრე, ვერტიკალური ხაზი, კვადრატი. ფარული ნიშნების გამარტივება ასომთავრულისთვის რა პრინციპით მოხდა? რაიმე ისტორეულ მოვლენას ხომ არ ჰქონდა ადგილი? ამგვარი კითხვების აქტუალობას ქართულ მატიანეში აღწერილი ისტორიული პერიოდი ამტკიცებს. როგორც ვიცით, ანბანის შექმნა მიეწერება ფარნავაზ მეფეს „და მან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ [„ქართლის ცხოვრება“ I] . მატიანეში ჩაწერილი ზოგადი ფრაზა ბევრჯერ გამხდარა მსჯელობის საგანი. ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა და სხვა მეცნიერები მიიჩნევდნენ რომ ფარნავაზ მეფემ ადრე არსებული ძველი დამწერლობის ნიშნები გამოიყენა ქართული ანბანის შესაქმნელად „ლ. მროველის თხზულებაში გვხვდება ცნობა ქართული ანბანის გამოგონების დროისა და შემდგენლის პიროვნების შესახებ მას ქართული მწიგნობრობა ფარნავაზ მეფის შემოღებულად მიაჩნია [„ქართლის ცხოვრება“ I]. საყურადღებოა რომ მეთერთმეტე საუკუნის ქართველ ისტორიკოსს ქართული ანბანი ქრისტეს წინადროინდელ აღმოჩენად ჰქონია წარმოდგენილი“ [„ქართ. პალეოგრაფია“ ივ. ჯავახიშვილი 1949, გვ. 194] იქვე ე.ი „ქართული ანბანის შემომღებელი და მომპოვებელი იყოო“. მიუხედავად აღნიშნულისა, მოგვიანებით, ზოგიერთებმა მიიჩნიეს რომ ბერძნულიდან აღებული ნიშნებით და მთვარის (ან ცის) სიმბოლური ნიშნებით შეიქმნა ანბანი. ისტორიულად ქართველ ხალხს თუ კი ჰქონდა ფარული ნიშნები (კრიპტები), საეჭვოა სხვა ხალხის დამწერლობიდან აეღოთ ნიმუშები. მეფე


ფარნავაზის ცხოვრებისეული პერიოდია კავკასიის მთებში შეფარება და ძლევამოსილი მოსვლა „კავკასიას მუნ იზრდებოდა“ [ქართლის ცხოვრება გვ. 55.] უფლისწული რომელიც იძულებული გახდა გახიზნულიყო მისთვის საიმედო ადგილას, ჩამოდის მთიდან გაძლიერებული და პოლიტიკურად კონსოლიდირებული. პოულობს გამოქვაბულში შენახულ განძს, აერთიანებს აღმოსავლეთ და დასავლეთ ქართველურ თემებს, შემოაქვს საერისთაოებით მოწყობილი სახელმწიფო წყობილება, ატარებს რეფორმას და შემოაქვს დამწერლობა. გამოდის რომ, საქართველოს ძველ ისტორიაში მეფე ფარნავაზია პირველი პიროვნება, რომელმაც ერთიანობის თესლი ჩააგდო მონათესავე თემების ცნობიერებაში. ფარნავაზთან და ანბანთან დაკავშირებით ერთის თქმა შეიძლება, ანბანისთვის ნიშნების აღება მოხდა ისეთი ჯგუფიდან და ისეთ დროს, რომელიც იყო ცოცხალი და ფუნქციონირებადი. მცირე აზიაში ამნაირი ცოცხალი, მონუმენტური ნიშნები ისტორიულად ფარნავაზის პერიოდში არ ფიქსირდება, მაშინ რჩება ისევ საქართველოს მთიანეთის, ჩაკეტილ გარემოში, ძველი საკულტო ყოფის არსებობა [ი. სულგულაძე „ქართილი ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა“ 1986]. (ღვთაებრივი ასტრალურ-კოსმოგონიური,ნიშან-სიმბოლოები). რაც შეეხება ასომთავრულის სილაბურ, მარცვლოვან სახელწოდებებს, იგი უძველესი წინაქრისტიანული დროის ხუცობის, საკრალური ტექსტს ჰგავს. ჩვენი აზრით, ამ „ტექსტში“ შემთხვევითობა გამოირიცხება-.იგი შეფარულად ცის ძალების მიმართ ლოცვა და უზენაესის მიმართ სავედრებელი ხუცობაა, სილაბურ, მარცვლოვანი წესით გაწყობილია („ენ ვინ ზენთან, ინ კან ლას მან ნან“ .... „ღანი ყარი შინი ჩინი“.... „ხანი ხ(ქ)არი ჯანი ჰაე, ჰოე“). სემიტურში იყო საგანთა სახელების წინა ასოები, რომელსაც აკროფონიური წესი ეწოდება. ქართულ ასომთავრულში კი შესაძლოა, უძველესი ხუცობა-ლოცვის სილაბური ტექსტია, დაფარულად შენახული. ჩვენი აზრით, „ან“ – ცის სახელია (შუმერულშიც ფიქსირდება) და საქართველოში მსგავსი არქაული პიქტოგრაფიული ნიშანი გვაქვს (სოფ. მუცოს ციხის ქვის ნიშანი). ჩვენი აზრით, „ან“ მთვარის სახელი არაა, არამედ ცის სახელია და სიმბოლოც სპირალური იყო უძველესი დროიდან. ასომთავრულში იგი გამარტივდა, დაიხვეწა და რკალის სახით დაფიქსირდა.



ასეთი ორნამენტი ხევსურულ ქუდებზეა ტრადიციულად და იგი ქუდის ზედა ნაწილის „ცის“ სიმბოლო-ორნამენტია. აქედან „ან“ ცის სიმბოლური სახლიც ჩანს. „ან“ პირველადს და მოწინავეს რომ მიუთითებს, ამაზეა ქართული სიტყვა ანეული. ანეული მიწის ნაკვეთია, რომელზეც გაზაფხულზე ყველაზე ადრე ამოდის ნათესი (იგი შემოდგომაზე ითესებოდა). ასევეა „ხ(ქ)არ“ – ცის მსახურის ანუ სალოცავის სახელი, რომელიც ხევსურეთში დღემდეა შემორჩენილი **(„მოხარნადე“ , „ნახარელა“).** ხარის სიმბოლო-ნიშანი კიდევ სხვა ე.წ. „ქალდეური“წერის ნიშნებშიც ჩანს (იხ. დაკარგული ისტორია. უძველესი ღვთისმსახურების კვალდაკვალ). ასომთავრულის ასოების სახელები ცის სავერდებელ ლოცვა-ტექსტია სილაბურ, მარცვლოვანი წესით გაწყობილი (ასეთი სტილის ხუცობა ხევსურეთში გვიანობამდე იყო შემორჩენილი, სადაც სილაბურ-მარცვლოვანი ტესტებია „ხატის ენაზე“). რაც შეეხება დაბოლოება „ჰაე“ და „ჰოე“ ესეც ლოცვა-სიმღერის ბოლოს სათქმელია, რომლის მსგავსი ქართულ ფოლკლორში დღემდეა შემორჩენილი. სამეურნეო სიმღერების მისამღერები „ჰეკა“ , პოკა“, „ჰაი ჰოკა“ და სხვა. ამით ასომთავრული ლოცვის ტექსტის შემნახავია და მისი სახელწოდებებიც მის გრაფიკულ გამომსახველობასთან კავშირშია.

საქართველოს ტერიტორიაზე შეკრების და დახარისხების შემდეგ გამოჩნდა პიქტოგრაფიულ-ხაზოვანი (სკრიპტულ-დაფარული) ძირითადი 60-მდე ნიშანი, აქედან კრეტულთან და იბერიულთან მსგავსებაშია 50-ზე მეტი ნიშანი. მსგავსებაა ასევე ასომთავრულ ასოებსა და იბერიულ ხაზოვან ნიშნებში. ჩვენ არ ვამბობთ ასომთავრულთან მკვეთრად გამოხატულ გრაფიკაზე, თუმცა ზოგიერთი ნიშნის ზუსტი განმეორებაც შეიმჩნევა, ძირითადად კონსტრუქციული ჩონჩხის მსგავსებებია იბერიულ ხაზოვანთან: ბი და ბ, გი და გ, კე და კ, ტე და თ, ე და ე, გე და იოტა,

რი და ფ, დი და ხ, კრეტულ "A" ხაზოვანთან გარეგნულად მსგავსია შემდეგი ასოები: ს, ვ, ქ, პ, უ, ღ, შ, ჩ, ჯ, ძ, წ. კრეტული "A" ხაზოვანი გაუშიფრავია, "B" ხაზოვანი დამწერლობის გაშიფვრა მოხდა 1952-1956 წლებში, მ. ვენტრისის, ჯ. ჩედრიკის მიერ.



დაშვება, რომ რაც კრეტულში და იბერიულში ნიშანთა სახელწოდებებია საქართველოშიც ფარული ნიშნები ანალოგიური სახელწოდების იქნებოდა, არ იქნება სწორი. მხოლოდ მიახლოვებაზე შეიძლება საუბარი იმ დონემდე რასაც პროიბერიული ერთნაირი წინაინდოევროპული ენების ფონეტიკური მსგავსება სწვდებოდა [თ. გამყრელიძე. „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები" თბილისი 1984], (აქ გეომეტრიული ორნამენტის სახელწოდებებიც გასათვალისწინებელია).

ზემოთ აღნიშნულიდანაც ჩანს რომ ასომთავრულის დახვეწილი ასოები შექმნილია არა ალაბედზე ან ფანტაზიით, არამედ ძველი ნიშნების მიხედვით, უფრო საყურადღებოა „ქ"-ს შემდეგი მწკრივის ასოების მონუმენტური მოხაზულობა, რადგან მსგავსი ფონემის ასოები არც ბერძნულში, არც არამეულში და არც ფინიკიურში არ არსებობდა. შემორჩენილ ფარულ ნიშნებში არის კიდევ იდეოგრამები, რომლებიც არც შუა მდინარეთში არც კრეტულ და არც იბერიულში არ გვხვდება: მრავალუჯრიანი კვადრატები წერტილებით, ბორჯღალი წრიანი შუაგულით, ჯვრიანი წრე ცალმხრივი ხუთი სხივით, ორმაგი სპირალი, ჯვარი ორი ჯვრით და წერტილებით. ჩვენი აზრით, მეფე ფარნავაზი იცნობდა ამ ნიშნებსაც, იგი შეხვდებოდა იმ საკულტო მსახურთაც, რომელთაც იცოდნენ ფარული ნიშნების წაკითხვა „არა უწიგნურნი იყვნენ ქართველნი, ვიდრე ფარნავაზამდე....." – ქართული მატიანე [„ქართლის ცხოვრება" I].

დასკვნა:

1. ფარული ნიშნები სკრიპტები(პიქტოგრაფიულ-ხაზოვანი ნიშნები), საკულტო მსახურთა და ქურუმთა ცოდნის ნაკვალევია, მათი ცოდნა ზოგან მოღწეულია შუა საუკუნეებამდე (ხახმატში ძველებურ ხის კიდობანზე ამოჭრილი ნიშნები) საფიქრებელია, რომ მეფე ფარნავაზის ეპოქაშიც იარსებებდა ფარული ნიშნები;

2. მეფე ფარნავაზის მთაში ყოფნის პერიოდი, საკულტო ფარული ნიშნების ფუნქციონირების პერიოდი და ასომთავრულის შექმნის ისტორიული ცნობა ერთმანეთს ემთხვევა;

3. ასომთავრულის ასოების ძირითადი კონსტრუქციული (ჩონჩხის) აგებულება აღებული ჩანს პროიბერიული ხაზოვანი ფარული ნიშნებიდან, რომელსაც ფლობდა გამორჩეული ქართველი ქურუმობა, ხუცესობა. ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ ბერძნულის და არამეული ასოების გარკვეული გავლენაც არ გამოირიცხება. მათ შორის ანბანის წყობა. (2015 წელს ერთ-ერთი ექსპედიციის დროს უკანა ფშავში სოფ. მუქოში დაფიქსირებულია გარდაცვლილი ხევისბერის ქურსიგ წოწკოლაურის სახლის კედელში საინტერესო ქვა. ქვაზე გამოსახულ პიქტოგრაფიულ-ხაზოვან ნიშნებში აშკარად ადგილობრივი სალოცავის „მოხარნადე დედაღვთისმშობელი" ფიგურირებს და ნიშნები ასტრალურ-კოსმოლოგიურია).

საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილი ფარული ნიშნები სერიოზულ კვლევას მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. ჯავახიშვილი ქართული პალეოგრაფია 1949.
2. ქართლის ცხოვრება I.
3. თ. გამყრელიძე. ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები. თბილისი 1984 აღმოსავლეთის დამწერლობის ძეგლები.
4. თ. ოჩიაური. მითოლოგიური გადმოცემები აღმოს. საქართველოს მთიანეთში. თბ. 1967.
5. ი. სურგულაძე ქართილი ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. თბ.1986.
6. ვ. ბარდაველიძე. გ. ჩიტაია. ქართლი ხალხური ორნამენტი. თბ. 1939.
7. ს. მაკალათია ხევსურეთი. თბილისი 1984.
8. М.Вентрис. Дж.Чедвик. Дешифровка линейного письма В. Перевод Г.Вариновой. М. (Кембридж 1956).
9. ნ. ხაზარაძე. ლუვიური იეროგლიფების სამყაროში. 2006.
10. რ. პატარიძე. ქართული ასომთავრული. 2006.
11. I. Gelb. Hittete hierogluphic Monuments Chteago. 1936.
12. p. Meriggi. Manuale Die Eteo Geroglifico. parte II.
13. A. Parrot. Archeo logie mesopotaminne. Paris. 1953.
14. E. Laroche. Lashieroglyphes hittetes. 1960.
15. Г, Комороци. Символике дерева в искустве Древнего двуречых. М. 1967.
16. В. Куряндсий. Таины жрелцов, М 2001.
17. В. Домокош. Древни восток (у начал истории писмености) 1979.
18. Э. Клод. Эволуциа писмености, 1940.
19. Н, Дъяконова. Таини древних писмености, 1952.
20. А. Оппенхейм. Древнаия Месоротамя, м 1980.
21. Н. Флутнер. Култура и искуства двухречя и соседний стран. М 1958.
22. В. Истрин Возникновение и развитие рисма, м 1965.
23. В. Драчук Сарматские знаки. М 1974.
24. В.С. Драчук Системы знаков северного причерноморья. М 1975.
25. И. Дунаевская. Язик хетских иероглифов. М. 1969.
26. П. Арсанукоев. Чеченские Петроглифи. М. 2000.
27. З. Косудовский Когда солнце вило вогом. М 1982.
28. Х. Магомедов. Лезгинское народное зодчества. М 1969.

The "secret signs" (crypts) and "asomtavruli"

Summary

Cryptographic signs, found in Georgia, represent the comment character: monumentality, systematicness prospect nature. Their cosmogonical character resembless the symbols of ornaments of Georgian mother pillar mythology preserved in Georgian language. It's seems secret signs and "typing" symbols used in ceremony of serving of sults are intercommunicational. Theme "secret signs" (crypts) and "asomtavruli" arise a question about Georgian writing, that these secret signs were the main basis of writing. There were astral-cosmogonical symbols in folk mythology and expressions and hieroghyphs of the ancient Georgian writing alike to these symbols became the models of "Asomtavruli".

It's seems that signs saved in the territory of Georgia functioned in the middle centuries.

Сктытые символы (скрипты) и Асомтаврули

Резюме

В статье предпринята попытка систематизировать сохранившейся на территории Грузии криптографические (скрытие) символы и даётся их общая характеристика (монументальные, астральные, систематические виды). Космогенический характер скриптов похожи на грузинские основополагающие орнаментальные символы и на сохранившийся в грузинском языке мифологизмы. Во время проведеня куьтовых церемоний печатные символы и скритые символы (скрипты) могут быть взаимосвязанны.

Статья „Сктытые символы (скрипты) и Асомтаврули" ставит вопрос о связи древнегрузинской письменности и скрытих символов. В грузинских мифологических преданях и извояниях немало астрально-космогонических символов.

Функционирование скрытых символов на территории Грузии явно доходило до средних веков.

ქართული და ლაზური პიქტოგრამები
(წერაქვული დამწერლობა)

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული თვალსაზრისით, დამწერლობის უძველეს სისტემებს (მათ შორის შუმერულ – ლურსმურსა და ძველეგვიპტურ იეროგლიფურს), ხშირად წინ უსწრებს პიქტოგრაფიული ანუ დამწერლობის ხატოვანი სისტემა. საქართველოს ტერიტორიაზე სადღეისოდ გამოვლენილი პიქტოგრამები, ძირითადად მატერიალურ კულტურის ძეგლების, ჯვარ-სალოცავების, ციხე-კოშკების, ადრექრისტიანული ეკლესიების მშენებლობისას გამოყენებული პირველი და მეორადი მოხმარების ქვებზე დასტურდება. საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილი პიქტოგრამები ძირითადად გეომეტრიული ფიგურებია. ასტრალურ-კოსმოგონიურ-კოსმოლოგიური სიმბოლოები და ნაწილობრივ ანთროპომორფული, ზოომორფული ფიგურები. მეცნიერების მიერ დამოწმებული ანალოგიური ისტორიული დამწერლობის ნიშნები ეკუთვნის უძველეს ხალხებს, მათ შორის: შუმერებს, ეგვიპტელებს, კრეტელებს, იბერიელებს და ეტრუსკებს.

მეცნიერული ინტერესი საქართველოს პიქტოგრამების(ხატოვანი) კომპლექსური შესწავლისადმი ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-იანი წლებში გაჩნდა, თუმცა იმხანად ფართომასშტაბიანი კვლევა ვერ განხორციელდა. 2002-2010 წწ. ჩვენ მიერ აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონში გამოვლენილ იქნა არაერთი პიქტოგრამა და პიქტოგრაფიული სისტემა დადასტურდა. მოძიებული ფოტომასალა ჯერ ფოტოგამოფენაზე და შემდგომ მონოგრაფიის სახით გამოიცა (ფარული ნიშნები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბ, 2010 ავტ. გ. გიგაური). ამავე მონოგრაფიაში წარმოდგენილი იქნა შედარებითი ცხრილი მსგავს ნიშნებთან, რომელიც გავრცელებული იყო ისტორიულ ქვეყნებში. მეცნიერების მიერ ერთხმად აღინიშნა კვლევის აუცილებლობა მთელი საქართველოს მასშტაბით და ისტორიულ ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე.

2017 წლის პერიოდისთვის გამოვლენილია და მოძიებულია 170-მდე ქვა, ზედ 900-ზე მეტი ერთეული სკრიპტოგრამა (ფარული ნიშანი) და პიქტოგრამა (ხატოვანი ნიშანი). ცალკე გამოსაკვლევია ადრეშუასაუკუნეების ქრისტიანულ ძეგლებზე ანალოგიური სიმბოლო-ორნამენტები. ქართველ ქრისტიან მოღვაწეთა წრეებშიც ჩანს არსებობდნენ უძველესი ნიშნების მცოდნენი. ნიშნები იმდენად ახლობელი და აუცილებელი იყო, რომ ისინი ქრისტიანულ ძეგლებზეც დაიტანეს. ეს ძეგლებია: სვეტიცხოველი, წინარეხი, დავით-გარეჯა, სკრა, ნიქოზი, ბავრა, მატანი, ხობი, იფხი და სხვა. 2011 წლის ზაფხულში ჩვენს მიერ, პირაქეთ ხევსურეთში მიკვლეულია და დაფიქსირებული კიდევ რამდენიმე ნიშნიანი ქვა, მათ შორის ე.წ. „მინანის ქვა“, რომელიც „კარატის“ ჯვარ-სალოცავის შიგნით ინახებოდა. ჩვენი ვერსიით,

ზედ უძველეს ქართულ-იბერიული ნიშნებით წერია „ხელისმდებელი კარ ატი“, თანამედროვედ ასე ითქმის: „დალოცვილო კარატის ჯვარო“. ქვა შიგნით მთავარ კამალას სამხრეთის კედლის ძირზე დევს, როგორც ქვა – ტაბლა. (იხ. ფოტო)



„მინანი“ იყო ქურუმი და ქადაგი მითიური ქალი, რომელმაც ჯვარისმსახურებას დაუდო სათავე და დააარსა გუდანის ჯვარი, კარატის ჯვარი, ხახმატის ჯვარი. [1]. „კარატის ჯვარი“ და ადგილობრივი „შუბან ნერგის ანგელოზი“ იგივე „შუბნური“. საინტერესოა ლაზურ ტოპონიმებთან კავშირშიც. „კარატის“ სალოცავის სახურავი შემორჩენილია ტრადიციულად ძველებური სახით და ზედ გორელიეფურად ამოჭედილია პიქტოგრაფიულ-ხაზოვანი ნიშნებიც. ნამუშევარი 1920 წლებისაა და ზევიდან დასანახია მხოლოდ.





ხალხური ტრადიციული წინაქრისტიანული ღვთისმსახურების კულტურა და პიქტოგრაფიული სისტემები რამდენად ურთიერთკავშირშია, ეს საკითხი ღრმა კვლევას მოითხოვს.

აღნიშნულის კონტექსტში, საქართველოს სივრცეში, ფართოდ გავრცელებული პიქტოგრამების და პიქტოგრაფიული სისტემის მოძიება, პასპორტიზაცია და მათი ფუნდამენტური ყოველმხრივი ანალიზი, ურთიერთშეჯერება, კლასიფიკაცია, ჰუმანიტარული მეცნიერების ფუნტამენტური კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს განეკუთვნება. პიქტოგრაფიული ნიშნების გვერდით, ანალოგიური დეკორატიული ორნამენტიკის არსებობა აჩვენებს იმ უწყვეტ ტრადიციას, რაც ჰქონდა უძველეს ხალხებს. ამ მხრივ საინტერესოა ქართული და ლაზური დეკორატიული გამომსახველობის ფორმები.

საქართველოში და საზღვარგარეთაც ცნობილი იყო ისტორიული ლაზური წესით ხის და ქვის მხატვრული დამუშავების კულტურა. იბადება კითხვა: რა ტრადიციას ემყარებოდა ლაზური დეკორის სიმბოლოები?. ძვ. ბერძნული ისტორიული ინფორმაცია „კვირბებთან" (კოლხურ-ლაზური დამწერლობა) დაკავშირებით საინტერესო აღწერებს ინახავს (პროკოფი კესარიელი. იოანე ლიდე, აგათია სქოლასტიკოსი და სხვა) [2]. ლაზი ოსტატები ისტორიულად საუკეთესო მშენებლებად და მეზღვაურებად ითვლებოდნენ. მათი ხის მხატრული დამუშავება ტრადიციებზე დაყრდნობით ხდებოდა, რაც დღესაც ცოცხლობს. მიუხედავად იმ მდგომარეობისა, რომელიც ღვთისმსახურების შეცვლას მოსდევს, ლაზური გამომსახველობითი დეკორი მაინც ისტორიულ, ტრადიციულ, მხატრულ სიმბოლოთა ფორმებს ინარჩუნებს (ბორჯღალოები, ვარსკვლავები, სპირალები, წრეები და სხვა გეომეტრიული ორნამენტები) [3].

ლაზეთში არსებობს ტოპონიმები: „ქვანჭარერი" (ქვა წერილი). ძველ კოლხებს-ლაზებს ურთიერთობა ჰქონდათ შორეულ ქვეყნებთან და ინფორმაციის შენახვა, გადაცემა აუცილებელი იყო. ისტორიული ლაზეთის ტერიტორიაზე ბევრი მატერიალურ კულტურული ძეგლია და მათი მოკვლევა მომავალში, ახალ აღმოჩენებს გვპირდება. ლაზურ დეკორატიულ-ორნემენტიკასთან დაკავშირებით რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომია, მათ შორის აღსანიშნავია აკად. გ. ჩიტაიას შრომები [4]. ლაზურ დეკორში ასტრალური სიმბოლოები ისეთივე ჩვეული მოვლენაა, როგორიც საერთოდ ქართულ ტრადიციულ დეკორატიულ სიმბოლოებში. ანალოგიური თანხვედრა დეკორატიულ სიმბოლოების ჯგუფებში, მკვლევარებს შორის ერთნაირ აზრს წარმოშობს რომ, ყველა მსგავსება დადგენილ წესს ემსახურებოდა. წესს რომელიც რწმენით იყო განპირობებული და აპოტროფიული, დაცვითი ფუნქციაც გააჩნდა, კონკრეტულ საგანზე ან ობიექტზე. როგორც ძველ ქართულ დედაბოძებზე იყო აპოტროფიული და დეკორული დადებითი ენერგიის მქონე ნიშან-სიმბოლოები, ასევე სხვადასხვა ნივთებზეც ხდებოდა ამ ნიშნების დატანა. დღეს ძნელია გაარკვიო, სად სიმბოლოა, სად ორნამენტი და სად იდეოგრამული გამოსახულებაა. ფაქტია, რომ ყველა სიმბოლო ხალხურ ყოფის უმნიშვნელოვანესი კულტურიდან მოდის. პალეოგრაფების მიერ გამოთქმულია აზრი რომ, პიქტოგრაფიული ნიშნების გვერდით

ხშირად დეკორატიული ანალოგიური სიმბოლოებია. დეკორი უფრო სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევა და დღევანდლამდე ინარჩუნებს ფუნქციას. დღეს ინფორმაცია გვაქვს რომ, ლაზეთის მთიანეთში (არქაბის იალაღზე) დაფიქსირებულია ქვაზე ძველი კვეთილობა (ინფორმაც. Erkam Aksu ფოტო მასალა). ქვა





აღმოჩენილია ზღვის დონიდან 2000 მ. მთებში, სადაც არქაბის ისტორიული ლაზები ცხოვრობდნენ. ამას ტოპონიმებიც ადასტურებს: ხევეკის ხეობა, დუდხე, ზიზენი, სირპონა, ოდოლისქური, ნეკნარი, ტობამგზა, გოლაზენა და სხვა. ქვაზე გამოსახულია ანალოგიური ნიშნები, რაც ფიქსირდება საქართველოს სხვა რეგიონებშიც (სპირალები, წრიული ფიგურები, წრეები, გადაჯვარედინებული სიმბოლო-ნიშნები, ტეხილი-ტალღოვანი სიმბოლოები და ზოომორფული ფიგურა).



ნიშნები ლოკალურია და კონკრეტულ ქვაზე დაკვირვებით შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ეს არის : ასტრალურ-კოსმოლოგიური ხასიათის ნიშნებით უცნობი წარ-


მოდგენა, ან ტერიტორიული ადგილების აღნიშვნა და ამ სქემის შენახვა, გადაცემა შემდგომი თაობებისთვის. ლაზეთის მთიანეთში შემორჩენილი ეს არფაქტები გვაფიქრებინებს რომ, ამ რეგიონშიც არსებობდა ინფორმაციის გადაცემის პიქტოგრაფიული ტრადიცია, რომელიც ღრმა შესწავლას მოითხოვს. ისტორიული ძვ. ბერძნული ლიტერატურული წყაროები საინტერესო ცნობას გვაწვდის ლაზეთის და კოლხეთის შესახებ. ლაზეთს მნიშვნელოვანი ადგილი აქვს საქართველოს ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი თავწყარო ძველ ქართული კულტურისა [5]. ისტორიული კოლხეთი, შემდგომ ლაზეთი გეოგრაფიულად იმ ადგილას მდებარეობდა, სადაც შემორჩენილია ბევრი მატერიალური კულტურის ძეგლი, მათ შორის ადრე შუასაუკუნეების ქართული ქრისტიანული ტაძრები. ხალხურ ყოფაში შემორჩენილი სიმბოლო-ორნამენტები ბევრგან აპოტროფიულ და დეკორად შემორჩენილან, მაგ. ცხენის დამღები სამეგრელოდან და ძველი აივნის გაფორმებები (ფოტო მასალა. ეთნოგრაფი გოგიტა ჩიტაია)








სამეგრელოში და აფხაზეთში გავრცელებული ცხენის დამღები საიტერესოა, რადგან ამ რეგიონში ცხენი საკულტო ცხოველი იყო (ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ.1941წ). ამ სიმბოლოების ანალოგიურია ქართლ-კახეთის და იმერეთის ზედაშეს ღვინის ქვევრის სიმბოლოები. ზედაშეს კულტურასთან კავშირშია „ნანა“ ღვთაების ლოცვა-სიმღერებიც, რაზეც ცალკე გამოკვლევებია ჩასატარებელი. ვერ ვნახეთ ადამიანი, ვინც იცის ძველი ლოცვები. კახეთში რამდენიმე ადგილას შევნიშნეთ ადგილზე ჩანაწერების არსებობა და ეს არ უნდა დაიკარგოს, ჩვენი აზრით. იხ. ზედაშეს ღვინის ქვევრთა სპეციალური სიმბოლოს ფოტოები.









პიქტოგრაფიულ-სიმბოლური ნიშნების პროფესიულად მოძიება, ფიქსაცია, აზომვა, ჩანახატების გაკეთება, მონოგრაფიების გამოცემა ხელს შეუწყობს ქართული დამწერლობის სათავეების და ქართული ეთნოკულტურის ისტორიის რეკონსტრუქციის თვალსაზრისით, არამედ უძველესი ცივილიზაციების ქვეყნებში მიმდინარე პროცესების და ამ ზოგად პროცესში ქართველთა ჩართულობის ხარისხის წარმოსაჩენად. იბერიულ-კოლხურ-ლაზური ისტორიული პიქტოგრაფიული ნიშნების თავისებურებების გარკვევა, სამეცნიერო ლიტერატურაში მათი წარმოჩენა და პალეოგრაფიული დასკვნების გაკეთება საშური საქმეა. პიქტოგრამე-

ბის სრულყოფილად აღრიცხვა გადარჩენს არტეფაქტებს, რომელთაც სხვადასხვა გარემოების გამო განადგურება ემუქრება. ჩვენი აზრით, უნდა შეიქმნას პიქტოგრამების, სკრიპტოგრამების და პეტროგლიფების შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი, რომელიც ითანამშრომლებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ ანალოგიურ სტრუქტურებთან, რაც საშუალებას მოგვცემს შეიქმნას პიქტოგრამების, სკრიპტოგრამების და პეტროგლიფების გლობალური სისტემები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მაკალათია ს. ხევსურეთი, თბ. 1984.
2. ურუშაძე აკ. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბ. 1964.
3. სურგულაძე ი. ქართული ხალხური ორნამენტიკის სიმბოლიკა, თბ. 1986.
4. ჩიტაია გ. სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, თბ. 1941.
5. ქორიძე დ. კოლხური კულტურის ისტორისათვის, თბ. 1965.

Georgian and Laz pictograms

In the scientific literature the old systems of written language was forwarded by pictographic , figurative system of writing language. Nowadays in the territory of Georgia pictograms are mainly on material – cultural monuments, icons, crosses, fortresses, stones of early Christian churches. Pictograms preserved on the territory of Georgia are mainly geometrical figures the same items of written language which are proved by the scientists belong to the ancient people: Sumerians, Iberians, people from Crete, Egyptians.

The scientific interest towards Georgian pictograms appeared in the middle of 20th century, but it was impossible to do wide spread research. In 2002-2010 we found a lot of pictograms in the east region of Georgia. All these photos were shown on the exhibition and the was published as monograph (secret figures in the mountain part of east Georgia author G. Gigauri). In this monograph was presented comparative schedule of these same signs which were spread in historical countries. Scientists agreed to' start research in whole territory of Georgia and also in he territory of historical Tao-Klarjeti. For the period of 2010 we have found 170 stones with 900 secret sighs on it and also with figurative signs. In summer 2011 in khevsureti we have found several stones among them was `the stone of Minani" which was saved inside of cross-icon( see photo) photo (`Minani was preacher women, who established the cross of gudani, karati, khakhmati, and who established the ceremony of serving for cross). The culture of early Christian god serving ceremony and pictographic systems have some finks. This question needs deep research to find out pictograms and pictographic systems, analysis and classify them. Beside pictograms we see many ornaments which show tradition of our ancient people. It's very interesting Georgian and Laz decorative shapes.

Not only in Georgian but also abroad it well-known the culture of carving stones and wood by Laz people and question is on what tradition is based symbols of Laz devor? Laz masters and workers were the best builders and sailors. They used traditions which are saved up to now. Many things in the ceremony of god serving were changes but there were a lot of symbols of Laz décor which saved (stars, spirals and other geometrical ornaments).

There were a lot of topomins (letter on a stone) old people of kolkheti had relahans with other countries and it was necessary to receive and send some information. In the territory of historical Kolkheti there are a lot of material cultural monuments and their studiesuilopen the way for a new discoveries. There are several scientific works about Laz décor and ornaments and among them is very important the work of professor: G. Chitaia. Scientist made some conclusion that every similarity were served to the same rules, which was conditioned by the faith. According to paleographic near the pictographic signs are some décor symbols. Décor

saved its functions until now. We have information that in the mountain part of Kolkheti there are old carvings on the stone. Photo

The stone was founded in the mountains 2000 m from the sea level, where lived Laz people. It is proved by the toponims: gorge of kheveki, Dudkhe, Zizeni, Siponi, Odolisquiri, Neknari, Golazeni and ect . The same signs on the stones which are fixed in the other regions of Georgia (spirals, circles, circle figures, break lines and waved lines). This signs are local and observation of this concret stones we have fottowing impression; we must create special schedule mark all this territories and saved them to offer geregations according to this reserved fact in the mountain part, we think that there was pictographic tradition of receiving and sending information in this region ancient Greece sources give us vey important information about Laz and Kolkhi people. These people and this region is very important because from them start on ancient culture of Georgian history.

რას გვიამბობს გრაკლიანის წარწერა

რას გვიამბობს გრაკლიანის წარწერა ანუ რას გვიამბობს გრაკლიანის მთა და ტოპონიმები მის შემოგარენში?. გრაკლიანი კასპის მუნიციპალიტეტშია და ახლოს გორთან. ამიტომ ამ ორი რაიონის ტოპონიმები (გეოგრაფიული სახელები), ყველაზე კარგად ინახავს წარსულის ნაკვალევს. ხალხური მეხსიერება ადგილთა სახელებშია შემორჩენილი. ასეთი სახელით სოფელიც არსებობს. გრაკლიანის ძველი ფორმაა „გარკალი“, იგი მოხსენიებულია ჯერ კიდევ 13 საუკუნეში, კერძოდ, რკონის ღვთისმშობლის მონასტრში დაცულ კახაბერ თორელის ანდერძში. სოფელში რამდენიმე ეკლესიაა და ერთ-ერთი „წმ. თევდორეს“(კვირიკეწმიდა) სახელობისაა.

სოფ. გრაკალი შედის დოესის თემში. გარშემო საინტერესო დასახელებებია, მათ შორის ისეთნიც, რომლთა შინაარსის შესახებ ინფორმაცია დღეს დაკარგულია. მაგ: გუდალეთი, თხოთი, კაბერი, კირბალი, ქორდი(გორის რ-ნი), არბო, წოლდიდი. მდ. ლეხურა, ლიახვი; მთა არხი, ხარულა და სხვა. კასპისა და გორის სანახები უძველესი დროიდანაა დასახლებული და აქ ბევრი არქეოლოგიური აღმოჩენაც არსებობს.

გრაკლიანთან დაკავშირებით უნდა ვთქვათ, რომ სულხან-საბასთვის „გრაკალი-მოდრეკით გადაბმულის მნიშვნელობისაა“ (კრკალი). ყველაზე საყურადღებო კი ცნობილი ენათმეცნიერის ა. შანიძის აზრია და იგი გრაკალს – გარაკალეს – რკალს უკავშირებდა. რკალი იგივე შემორკალურ, სარიტუალო თასთან არის დაკავშირებული. ქრისტიანულმა კულტურამ უძველესი ღვთისმსახურებიდან გადმოიღო რიტუალი და ახალი ელფერიც შესძინა მას (გრაალის თასი). გრაკლიანის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით არის მეორე აზრიც, რომ სახელწოდება მცენარეს უკავშირდება და ხეთა თაყვანისცემის პერიოდისაა (გ. ბედოშვილი). ასეთ მნიშვნელოვან ადგილს ჩვეულებრივი სახელი რომ არ ექნებოდა, ესეც ლოგიკურია. ამდენად ის უფრო ძველი სახელი უნდა იყოს.

გრაკლიანის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა (ხელმძღვანელი პროფესორი ვ. ლიჩელი) დღეს ახალი ისტორიული ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს. მთაზე რამდენიმე საფეხურიანი უძველესი ცხოვრების კვალია. მთელი გორა არის ისტორიული მუზეუმი. უძველეს ქართველთა ანუ იბერიელთა რწმენის, ცხოვრების, საერთაშორისო ურთიერთობისა და გემოვნების მოწმე, საღვთო-საკულტო მთა. ტაძარში ცენტრალური საკურთხეველია აღმოჩენილი, რომელიც სამხრეთითაა მიმართული (ანალოგიურია აღმ. საქართველოს მთის სალოცავთა ნიშები და ისინიც სამხრეთის მიმართულებას აფიქსირებენ). საკურთხეველზე გორელიეფის სახით შესრულებული წარწერის ნიშნებია.





წარწერა შესრულებულია გაქვავებული, გამომშრალი თიხით, რომელიც ხელით გამოძერწეს, რასაც, ეთნოგრაფიული ჩანაწერებით, მთაში ეწოდება „დაჭვრეთილის ღვთის წესით“. (ხევსურეთი ს. მაკალათია გვ. 201.) წარწერა დეფორმირებული და დამსკდარია. ჩანს, ორი წარწერა იყო, უკანა და წინა წარწერა. უკანა წარწერა დაშლილია (მხოლოდ ორი ნიშნის ნაშთია), ხოლო წინა წარწერა უფრო შენარჩუნებულია. ის საკურთხევლის წინა მხარეს არის გაკეთებული. საკურთხევლის ნაპირები ოდნავ მორკალურია და ამით წარწერა მნახველზე დიდ შთაბეჭდლებას ახდენს. თითქოს „მოეგება“ (მოელის მომსვლელს). უცხოეთის ლაბორატორიულმა კვლევებმა აჩვენა რომ წარწერა გაკეთებულია ძვ.წ. XI -X საუკუნეების მიჯნაზე.

ითვლება, რომ „სამი განსხვავებული ნიშანი, გვერდიგვერდ გაკეთებული, უკვე დამწერლობაა“ (მ. ვენტრისი. პალეოგრაფი). გრაკლიანში კი რამდენიმე ასო-ნიშანი უნდა გვქონდეს. მეცნიერები ახასიათებენ დამწერლობის რამდენიმე სახეობას: 1. პიქტოგრაფიულ – ფრაზეოგრაფიკული. 2 . ცნებით – ლოგოგრაფიული. 3. იდე-

ოგრაფიული. 4. გრამატიკული ფორმების ანუ მორფემოგრაფიული. 5. მარცვლოვან(სილაბური). 6. ბგერით (ანბანური) დამწერლობას.

ზოგიერთი ლოგოგრამული წერის სახეობა დღემდე ფუნქციონირებს (ჩინეთი), ხოლო ზოგიერთი კი შერეული დამწერლობის ტიპია. გრაკლიანის შემთხვევაში რასთან გვაქვს საქმე?, (ორენოვანი) ბილინგვა არ გვაქვს, ამიტომ გარეგნული ფორმებისა და შედარებების საფუძველზე გვიწევს გარკვეული დასკვნის გამოტანა. ჩვენი აზრით, მსოფლიოს უძველეს დამწერლობებში მიმსგავსებული რამდენიმე ნიშანია, თუმცა, მისი რომელიმე ერთი დამწერლობის სისტემისთვის მიკუთვნება ძნელია. ნიშნები გამორჩეულია და ლოკალური საღვთო დამწერლობის ტიპს მიეკუთნება. ადგილობრივი დამწერლობაა და ადგილობრივ რიტუალებთანაა კავშირში. „სახასიათო“ ნიშნების მიხედვით, რაზეც ხშირად საუბრობენ პალეოგრაფები დამწერლობის კვლევისას და ნიშნების სემანტიკის ამოცნობის დროს, გრაკლიანის საკურთხევლის ნიშნები მსგავსებას ამჟღავნებს: უძველეს შუმერულ, წინა ელამიტურ, იბერიულ (პირენეის) და საქართველოში გვიან მოკვლეულ პიქტოგრაფიულ-ხაზოვან ნიშნებთან. ასევე ასომთავრულის ასოებთანაც (ე, ძ, მ, ქ, ჩ, ნ).

ჩვენი ადრინდელი წერილი „გრაკლიანის წარწერის ერთ-ერთი ნიშნის თავისებურება“ შეეხებოდა ერთ ნიშანს, რომელიც, ჩვენი აზრით, წარმართული ღვთაების სიმბოლოა.





მსგავსი ორწერტილიანი (ორტირეებიანი) ჯვრის მსგავსი გამოსახულება ან ანთროპომორფული ფიგურები საქართველოში პიქტოგრაფიულ-ხაზოვან ნიშნებში არსებობს. მათ შორის მთის სალოცავებში დაცულ ქვებზე, იხ პირაქეთ ხევსურეთის სოფ. ბლოს **„მუხის წმ. გიორგის“** სალოცავის „ქვა-სკამის“ ერთ-ერთი ნიშანი. ჩვენ ვიმეორებთ: „ეთნოგრაფია ხელისგულივით ინახავს ყველაფერს ისტორიიდან“ (ავტორი).





გრაკლიანის არქეოლოგიური ნივთების მოკვლევა შეიძლება თავისებურად მოგვეხმაროს წარწერის შინაარსის ამოცნობასა და მისი ხასიათის გამორკვევაში. უამრავია შეწირული კერამიკა, მოსავლის ნაშთებით. სამკაულები, თასები, ბრინჯაოს რგოლები, იარაღები, კერამიკული საბეჭდავები და სხვა. საბეჭდავებზე კოსმოლოგიური სიმბოლოები და ხორბლის გამოსახულებებია. ზოგი საბეჭდავი (როგორც ფიქრობენ) ჩამოტანილია ქ. ურუქიდან (შუმერის სამეფო ქალაქი), უძველესი ეგვიპტური სკარაბეები, მედალიონების ტიპები, შუმერული რვაქიმიანი ვარსკვლავას გამოსახულება, „ღმერთი“ ოვალურ მედალიონში (დინგირ – გვირგვინი ქართულად) და სხვა.

„ურუქის“ საბეჭდავზე გამოსახულება საკმაოდ საკამათოა, ჩვენ ვხედავთ სპირალს ოთხკუთხედით, რომელშიც მარცხნიდან მარჯვნივ შესასვლელია და გვერდიგვერდ „წყვილი ფიგურაა“ მოთავსებული. სპირალს მარჯვნივ და მარცხნივ სხივები აქვს ფრთებივით (ზოგი დოქებს ხედავს ამ გამოსახულებაში). დაფიქსირებულია ხელსაფქავები და ღუმელები, რომლებშიც სარიტუალო პურებს აცხობდნენ. სარიტუალო პურები კი ასეთი საბეჭდავებით ფორმდებოდა და რიტუალების დროს მიირთმევდნენ. სხვა საბეჭდავებზე ჯვრის სხვადასხვა სახეობაა ამოტვიფრული.

სხვადასხვა კულტურის ნიმუშების გრაკლიანში თავმოყრა იმ ფაქტზე მიგვანიშნებს, რომ აქ აღმართული ტაძარი საერთაშორისო მნიშვნელობისა იყო. ის სავაჭრო გზაზე მდებარეობდა და აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მოსული ქარავნების მესვეურნი ლოცვა-ვერდებას აღავლენდნენ ძლიერი ღვთაებისადმი, რომელიც მათ მფარველობდა.

საკურთხეველთან მარჯვენა მხარეს (ჩვენგან მარცხნივ) ოთხკუთხა სვეტია (კერპი), რომელიც წრეში თუ ნახევარრკალში იყო ჩადგმული (დედაბოძი, „კულა“ – ქვის დედაბოძი) – „დიმ გალ“ – დიდი ღერძი შუმერულად, სიმბოლურად ცისა და ქვეყნის შემაერთებელი [1. 20. გვ.141]. გრაკლიანში რკალის გამოსახულება ჩანს „სვეტის“ ჩრდილოეთ მხარეს, ასევე დასავლეთის საკურთხევლის ფორმაშიც. ერ-

თი საინტერესო ფაქტია, წარწერიანი აღმოსავლეთის საკურთხევლის თავზე არის ოთხკუთხა, ოდნავ მომრგვალებულკუთხეებიანი თიხისგან გაკეთებული „ვარცლის“ ფორმა, შესაწირების დასადები ადგილი. ვარცლის ცენტრში ასევე ოთხკუთხა ფორმის ნახვრეტია. საკურთხევლის მარჯვენა მხარეს მდგარი სვეტი (იგი წაქცეული იყო), სიმაღლით 70 სმ, კავშირში ჩანს საკურთხევლის თავზე არსებულ ვარცლის ფორმის ნივთთან. ეთნოგრაფიულად ოთხკუთხა ფორმის კვერები ფშავში კეთდებოდა ახალ წელს და მას „კუნჭულა“ ეწოდება (ე. ჭკუასელი.„ქართული რელიგიური წეს-ჩვეულებები და ხალხურ დღეობათა სარიტუალო ლექსიკა“. გვ.150.) სვანეთში დღესაც კეთდება მსგავსი სარიტუალო კვერები ეთნოგრაფთათვის ცნობილი. კვერი და კვირია კი ნაყოფიერებასთან კავშირშია ძველთაგანვე.


საკურთხეველზე წარწერის არსებობა მიუთითებს უძველესი ლოცვის ტექსტების არსებობას და, რაღა თქმა უნდა, სიმღერა-ლოცვებიც აღევლინებოდა. საკურთხეველთან, სადაც წარწერა და კერპის სვეტია, პურის „ღუმელის“ ტიპის ნაკეთობაა მოთავსებული. მისი გადახურვა თაღოვანია და დასავლეთ მხარეს კუთხეებში, ორი ზევით აშვერილი ერთი ფრთისა და მეორე სანთლის მსგავსი ორნამენტის ბარელიეფებია. ეს კიდევ ცალკე გამოცანაა. „ღუმელის“ სამხრეთის გვერდზე წრიული ღრმულებია ვერტიკალურად, ჩვენი აზრით მზის სხივის დაცემის კუთხეების განმსაზღვრელად. რაც მთავარია, საკურთხევლის გარშემო აღმოჩენილია შესაწირავი კერამიკის ჭურჭელი, გაფორმებული გეომეტრიული ორნამენტებით (კერამიკა ადგილობრივია). აღმოჩენილია კერამიკის ფალოსის ტიპის საბეჭდავი, თავზე ჩაჭდეული ჯვრით. საბეჭდავი შიგნით სიგრძეზეა გახვრეტილი.




მსგავსი საბეჭდავი საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ არსად დაფიქსირებულა. ერთ საბეჭდავზე ორი ურთიერთჩამჯდარი რკალია, რომელიც კოსმოლოგიური მოძრაობის შთაბეჭდილებას ტოვებს. შესაძლოა, მიწიერი და ზეციური კავშირის სიმბოლო იყოს ან მდედრობითი და მამრობითი არსების კავშირის.



ეთნოგრაფიულ მასალაში რკალებში ჩამჯდარი ჯვარი გვხვდება პირაქეთ ხევსურეთის ბისო-ხახმატის მიწის დედური ღვთაების სალოცავის, დარბაზის კედლის ქვის ნიშნებში [6 გვ. 48].



სხვა საბეჭდავებზეც ასევე კოსმოლოგიური სიმბოლოებია, მრავალწერტილიანი და ოთხრგოლიანი სიმბოლო-ორნამენტით.



გრაკლიანში აღმოჩენილია პურის გამოსაცხობი ღუმელები და ლითონის სამჭედლოს საცეცხლურები. საცხოვრებელი, მომლოცველთა ოთახები და სხვა. წარწერიანი საკურთხევლის წინ აღმოჩენილია კიდევ ერთი საინტერესო არტეფაქტი, ვერძის თავის ქანდაკება (ხვეული რქებით) და ორნამენტებიანი სტელა.



სტელაზე გამოსახულია ორი ცხოველი (სავარაუდოდ შვლები), პროფილში პირისპირ და მათ ზემოთ, თავებს შორის რკალია. სტელა მეორადი გამოყენებისა უნდა იყოს. ცალ გვერდზე მახვილი კუთხე მიუყვება და გაკეთებისას იგი ქვედა მხარე უნდა ყოფილიყო. ვერძის თავი იდგა სახით სამხრეთისკენ. სიმბოლო-ორნამენტები ისეთივე ტექნიკით შესრულებულია, როგორც საკურთხეველის ნიშნები.

დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, გრაკლიანის არქეოლოგიური ნივთების მრავალფეროვნებას და საერთაშორისო ხასიათს (იმპორტული ნივთები) და ეს გასათვალისწინებელია, რადგან ამით. ამ ობიექტის მნიშვნელობა იზრდება. უძველეს დროს გრაკლიანის მთა იზიდავდა ხალხს, მომლოცველებს, არა მარტო შუამდინარეთიდან, წინა აზიიდან, უძველესი ეგვიპტიდან, ასევე ეგეოსური კულტურიდანაც. არქეოლოგიური ნივთებიც ამაზე მიუთითებს.

ბოლო ინფორმაციით, აღმოჩენილია სამარხები, საკურთხევლიდან დასავლეთით 100 მეტრში, სადაც მიცვალებულებია დაკრძალული თავით აღმოსავლეთით. ჩონჩხები გვერდულად წვანან. ერთ მიცვალებულს თავ-მკერდზე ირმის დიდი რქები ადევს, მეორე ჩონჩხს, ხარის რქები აქვს ჩატანებული. იარაღი არსად ჩანს. მხოლოდ თიხის ჭურჭელია და თასები. ირმის რქებიან მიცვალებულს „ქორბუდას" სამარხი ვუწოდეთ პირობითად. ჩვენი აზრით, მიცვალებულები ქურუმი-კულტმსახურებია.


არქეოლოგების ინფორმაციით გრაკლიანში საკურთხევლის წარწერის ერთი ნიშნის (ორტირეებიანი ჯვრის) მსგავსი არის, გრაკლიანის მთიდან სამხრეთით სხვა, ასევე უძველეს საკურთხეველზე. უნდა აღვნიშნოთ, გეოგრაფიული მდებარეობაც ძველ დროს მნიშვნელოვანი იყო, ამიტომ ყველაფერი გასათვალისწინებელია. საკულტო ძეგლებისა და საკურთხევლთა ფასადი, ხშირად კავშირში იყო გეოგრაფიულ მხარეებთანაც („მზის ბუდეები", რითაც მზის მოძრაობის გათვალისწინება ხდებოდა). ამით ძველი ხალხის ღვთისმსახურნი ასტრალურ -კოსმოლოგიურ წარმოდგენებს საღვთო კულტთან აკავშირებდნენ.


საკურთხევლის წარწერაში 12-ზე მეტი ნიშანია. განმეორებული მხოლოდ ტირეებია და თავში და ბოლო ნიშნებს ეტყობა მსგავსება (არაზუსტი). ზოგიერთი ნიშნის მოხაზულობა ასომთავრულსაც ჰგავს (რაც ზემოთ აღვნიშნეთ), ასევე მსგავსებაა იბერიულ (პირენეის) დამწერლობის ნიშნებთან. წარწერის მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივაა (მარცხენა მხარე მთავარის იგივე დედური-ქალური ღვთაების მხარეა უძველეს ეგვიპტურში. **„ოკო რას"** თვალი). წარწერის მხატვრულ ხასიათზე შემდეგის თქმა შეიძლება: ყურადღება მის შინაარსზე უფრო ჩანს გამახვილებული, ვიდრე მის ესთეტიკურ გამომსახველობაზე. მისი ეფექტურობა ნიშნების პლასტიკურ მოხაზულობაშია. პირველი ნიშანი მოტეხილი იყო, თუმცა მისი აღდგენით ჩანს ასწვრივი მოხრილი კუთხე.




ეს ნიშანი, შუმერული მითოლოგოსების მსგავსად, დალოცვის საწინამძღვრო „ეემ“ მნიშვნელობად მივიჩნიეთ (მთაში სახუცო ტექსტებიც ასე იწყება „ეემ სანთელ-ბარძიმითა“..). ანუ აქაც არის „ე“-ნიშანი [1. 77გვ.] („ემ“ – მითითება). ვფიქრობთ, წარწერის წაკითხვა სიმბოლურ-სილაბურ-მარცვლოვანია. ანუ შერეულ სისტემასთან გვაქვს საქმე. ჩვენ გვაქვს მთის სალოცავების პიქტოგრაფიულ-ხაზოვანი სისტემური ნიშნების ჯგუფი და ამ არტეფაქტების გვერდით დეკორში გადასული ორნამენტები თავისი დასახელებებით, მათი „წაკითხვა“ შესაძლებელია. ძველი მსოფლიოს ხალხთა დამწერლობათა დახმარებით რომელ ეთნოსთა ენაც ქართულ ენასთან ახლოს იდგა.

ასეთი ხერხით „წაკითხვა“ და ეთნოკულტურის დამოწმება, ერთ-ერთი საშუალებაა ამოსაცნობად. პალეოგრაფიაში, როცა არ გვაქვს ბილინგვა (ორენოვანი) წარწერა, სხვანაირი გზა არ არსებობს. გრაკლიანის წარწერის მეორე და მესამე ნიშანი სიმბოლურებია (ქალი, კაცი).



ასეთი ნიშნების ზუსტი მსგავსება არსად არაა ცნობილი, ვფიქრობთ მხოლოდ მეორე ნიშნის ზედა მხარე „სამკუთხა“ ნიშანია შუმერული **„არხუშ“** (საშო-შასურუ შუმ.)[1.გვ.70]. თუკი ეს მდედრის (ძუ) ნიშანია, მაშინ მესამე ნიშანი მამრია. საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულია ითიფალური ქანდაკებები, არქეოლოგიური ფიგურები, მამაკაცური სქესის ხაზგასმით. იგი ღრიანკალის (მორიელის) სტილიზირებულ სიმბოლოსაც ჰგავს და ამით შუმერულ ეპოსსაც ეხმიანება. მორიელი „საკრალური ქორწინების“ ეროტიული ატრიბუტია [1. 266გვ). საინტერესოა, რომ ქალისა და კაცის გამოსახულება სქესობრივი ნიშნებით საღვთო წესებთან კავშირშია, „ქალ" (ძუ) სამკუთხედს ქვევით პორიზონტალურად რკალიც აქვს

და ქვევით ჩამოშვებული მოხრილი პატარა ხაზი (აქტის წინა მდგომარეობა). სტილიზირებულ გამოსახულებებს მოსდევს კიდევ უფრო საინტერესო ნიშანი.

მეოთხე ნიშანი (ფოტო) ასომთავრულ „ქ“-ს ჰგავს და ჩვენ იგი წავიკითხეთ როგორც „ქორ“, რადგან ზედა ორი ტირე (ორ-ორი), საღვთო მტკიცებულების გამომხატველია. საღვთო-საკრალურ საზღვართან მდგომს ანუ ზღუბლის პირას მდგომის სიმბოლოა.





ჩნდება კითხვა: რას ნიშნავს ქართული სიტყვა „ქორწილი“ ის ენაში ძირძველია თუ არა და უძველეს დროს რომელიმე ნაყოფიერების „ქორ“ ღვთაებისადმი მიძღვნილი სახელწოდებიდან ხომ არ მოდის?. საინტერესოა დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული ჩანაწერები რიტუალზე: „ერთ-ერთი მათგანია ოთხაშური, რომელიც ითვლებოდა ფუძის სალოცავად დიდმარხვაში სრულდებოდა. ამ დროს დიასახლისი აცხობდა თხუნელას და ქორის გამოსახულების კვერებს. ქორის გამოსახულების კვერს უმცროს ვაჟს მისცემდნენ, რომელიც შემოირბენდა სახლს და ღმერთს ოჯახის დალოცვას შესთხოვდა. თხუნელას გამოსახულების კვერს კი გოგონას მისცემდნენ, რომელიც შემოურბენდა ეზოს და ისიც ლოცულობდა“. (ე.ჭკუასელი„ქართული რელიგიური წეს-ჩვეულებები და ხალხურ დღეობათა სარიტუალო ლექსიკა 2014. გვ.127.). თუშეთში გვაქვს რიტუალი **„ქორბეღელა“ – „ქორბეღელას** გაკეთება“. ხუთი კაცი მხარი-მხარს გადახვეული დადგება წრედ და მათ მხრებზე შეადგება სხვა ხუთი. ასე წაღმა ტრიალით ააქვთ ქორბეღელა საჯარედან (თავშეყრის ადგილიდან) ჯვარისკარამდე (ხატამდე). აქაც სამჯერ შემოტრიალდებიან და ქორბეღელას დაშლიან. ქორბეღელა წარმოადგენს ასტრალური მნათობი-ღვთაების მაგიურ რიტუალს (ე. გელიაშვილი. „ორნამენტული სიმბოლიკა ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში“. 2014. გვ. 75). ქორბეღელას რიტუალის და პურობის შემდეგ იმართება გასართობი ხასიათის რიტუალური თამაშობანი. გავრცელებულია „ჩათარაობა“ – ქალებისა და მამაკაცების „ურთიერთშებრძოლების“, ტყვედ აყვანისა და გამოსყიდვის ცერემონიალი. „ჩათარაობა“ ეძღვნება მამრულ-მდედრული კოსმიური საწყისების აქტივაციას და სამყაროს შექმნის მაგიურ რიტუალს წარმოადგენს. (ისტორ. ნ. იდოიძე).

ქორბეღელას ქართლში „ზემყრელო“ ერქვა. სვანურ ენაში **„მორილმიქელა“,** ქორა – სახლი (ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი1. 1939),

„ქორდია“ – „ჯვარია“ (ლაზეთი, ნიგალის ხეობ.), **„ქორდი“** – სოფელია გორის რაიონში, **„ქორა“** – თეთრი ხარი, **„ქორედი“** – სახლის ზედა სახურავის ქვეშ სივრცეს ეწოდება, „ქორბეღელას თესლი“ – სიმინდის ჯიში (რაჭა) და სხვა (გ. ბედოშვილი) [4. გვ. 47]. ცნობილია სოფლების და ეკლესიების სახელებიც ქოროღო (ხადა), სადაც „ცეცხლისჯვრიანი“ ძველი სალოცავის ადგილია. **ქორუბნის** ეკლესია, **ქორედის** ეკლესია და სხვა.

სიტყვა ქორწილში, მეორე ნაწილში ჩანს „წილი“, წილდება, წილისყრა, ვფიქრობთ ეს ძირი ნაწილიანშიც იკითხება. ზანურში ნიგალის ხეობაში ჩაწერილია შესატყვისობა „ჩილ“ (დარჩილვა, დაწინდვა. „ქორჩილი“).

„ქორ“ იგივე „ქურ“ უძველეს შუმერულში საღვთო ამაღლებულ ადგილს ეწოდებოდა, რაც დღევანდელი ქართული ენის მიხედვით, „გორ“-თანაც ასოცირდება. ბუნებრივი მთა „ცისა და მიწის დამაკავშირებელი“ ზიქურათის როლს ასრულებდა. შუმერულში **„გიშ ხურ“** „დიდი ფრინველი, სიცოცხლის დამბადებელი. ის პირველი დამბადებელის სამყაროს კვერცხიდან გამოიჩეკა“ [1. გვ. 66]. ქართულში გვაქვს **„ქორბუდა“** მითიურ-ზღაპრული „დიდრქებიანი ირემი, რქები მაღლა ღმერთთან ადიოდა“ (ქართ. მითოლოგია). **„ქორ“** – ღვთაებასთან შეწირულად მიგვაჩნია გრაკლიანში აღმოჩენილი ფრინველის ბუმბულის ნაშთებიც (დამწვარი არა). შესაძლოა იმ ფრინველის ბუმბულის ნაშთებიც იყოს, რომელი ფრინველის სახელსაც ატარებდა ტაძარი. (ქორი ჭამს გველს და ამ ფაქტს მისი საღვთო მისტიურობის ასახსნელადაც წარმოიდგენდა უძველესი ადამიანი).

გრაკლიანში აღმოჩენილია ძვ.წ. V-საუკუნის ეგვიპტური სკარაბეის ტიპები და ერთზე ფრინველის (ქორი) გამოსახულებაც არის. ამ ღვთაების სახელის ხსენება ტრადიციულად მოგვიანებითაც ხდებოდა. ერთ კერამიკულ დოქზე გამოსახულია წყლის ფრინველები (ცნობილია, რომ ყველა ეს ატრიბუტი ნაყოფიერების ღვთაებასთანაა კავშირში).

საქართველოს რეგიონებში თუ არსებობდა ნაყოფიერებასთან დაკავშირებული ღვთაება? ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტშიც არსებობს სალოცავი **„ოცინდალე“** (ოწინდალე), დღეს იქ VIII საუკუნის ქრისტიანული ეკლესია დგას. ოწინდალე – „დაწინდვასთანაა“ კავშირში. ამ სალოცავში იყო წარმართული ქვის ტახტი, სადაც ახალდაქორწინებულებულები წვებოდნენ. (აღნიშნული ქვის ტახტი დღეს გადაგდებულია ხევში და, ვფიქრობთ, ასეთი უძველესი არტეფაქტი მუზეუმში უნდა ინახებოდეს). პირაქეთ ხევსურეთში არის მიწის დედური სალოცავი (ქალების სალოცავი), სოფ. ბისო-ხახმატში **„გიორგი ნაღვარმშვენიერის“** (ნაღორმშვენიერი) სახელობის, სადაც მომლოცველი გათხოვილი ქალები შვილიერებას შესთხოვდნენ ღმერთს და იქ არსებულ ქვებზე დგებოდნენ. ხახმატის სალოცავი ცნობილია, როგორც „რჯულიან – ურჯულოთ“ სალოცავი და მისი საერთაშორისო ანუ საერთო კავკასიური მნიშვნელობა დღესაც ყველამ იცის (ს. მაკალათია. ხევსურეთი). **„ხახ-**

მატი“ – ხახ (გოხი, კოხი) მკვრივი და უმეტესი, აღმატებული (ალ. ჭინჭარაული), ასე იკითხება ძველ ქართულად ხახმატის შინაარსი (იქ დაცულ ნიშნიან ქვაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ). მთაში „ხატ-ბეღელი“ წმიდა ადგილია და იქ ქორწინებასთან არანაირი შეხების კვალი არაა, ხოლო ზოგან კი შემონახულია ასეთი მიდგომა, მაგ. რაჭულ ეთნოგრაფიაში ბეღლის ფუნქცია შედის საქორწინო რიტუალშიც. „ნეფე-პატარძალს პირველ ღამეს ბეღლის თავზე ან ბეღლის თვალში აწვენდნენ“ (ბ.რუხაძე). მსგავსი წეს-ჩვეულება იყო შავშეთში, „ამბარობის“ სახელწოდებით. ქართულ ფოლკლორში გვაქვს ხალხური სიმღერები, სადაც, ფსიქოლოგების აზრით, ნაყოფიერებისა და სქესთაშორისი ურთიერთობის შინაარსია გადმოცემული მაგ:

„ამოვიარე ურავში, გოგონა იწვა ხულაში,
მივედი გადავეხვიე, გადავიგრიხე ულვაში“...
„ლერწამისა ხესაო, ქორი მოჯდა წვერსაო“...
(რაჭული ხალხური სიმღერა)

კასპის რაიონში ქვათახევში ასევე ცნობილია ნაყოფიერებასთან დაკავშირებული არტეფაქტიც, რომელიც ოწინდალეს არტეფაქტის მსგავსად, ხევშია გადაგდებული.

გრაკლიანის მთასთან ჩამოდის მდინარე სახელწოდებით **„ლეხურა“** და მისი სახელის ფუძე უძველეს შუმერულ სიტყვას **„არხუშ“-ს** მიემსგავსება (საშო, ნაყოფიერი) [1: 70]. ამ მდინარეს წარმომშობ მთებს ეწოდება **„არხი“** მთა-ქედი. გრაკლიანთან და მის ახლო სახელებთან მსგავსია კიდევ ერთი საინტერესო შინაარსის შუმერული სახელიც **„აგარინ“** – „ტაძარში ჩახატული ჩვილი“ [1.გვ.76]. ღვთაების ტაძართან ჩასახული ჩვილი განსაკუთრებული და გამორჩეული იყო ძველი ხალხის წარმოდგენებში.

გრაკლიანის მსგავსი ტოპონიმებია შორეულ იბერიის (პირენეის) ნახავარკუნძულზე: **გარაიო, გარაიტა, გარატაბარენა, გარაკაბე, გარაკალე, გარაკოეტხოეა, გარატეგი, გარტუნია, გარბაი, გორიკა, გორიკარან, გორაია, გორი, გრაზია** („მაღალი“ ბასკ.), **გროზინ** და სხვა. (გორა – მაღალი . ბასკ. გარა – ჩვენი, კალა – ფოთოლი). [7. გვ. 75. 8.გვ.36]. გამოდის რომ სახელწოდება გრაკლიანი (გარკალი) უძველესი დასახელებაა.

მივუბრუნდეთ „ქორთან“ დაკავშირებულ საღვთო გადმოცემებს და სახელებს, სადაც ქორი ნაყოფიერებასთანაა კავშირში.

თერგვაული – *ღვთისშვილი,* **„თეთრი მთის ქორი“**, კისტნელი (პირიქითა ხევსურეთი) ჰეროსი, ერთ-ერთი უძველესი მითოსური სახე (ხატი, ღვთის ნასახი) ფშავ – ხევსურულ მითოლოგიაში, მყინვარწვერთან ზედწოდებით დაკავშირებული გმირი, ქართული თეოგონიის გამოკვეთილი სახე, ღმერთ – მორიგეს ნასახი

(გაჩენილი), კოპალასა და ბაადურის თანამებრძოლი, დევთა და ქაჯთა შემმუსვრელი (ქართული მითოლოგია). „იბისის თავიანი ძვ. ეგვიპტური ღვთაება თოთი ითვლება დამწერლობის შემქმნელად და ღმერთების მემატიანედ. ზოგიერთი ენათმეცნიერი ამ ღვთაებას ქართველური სივრციდან შესულად მიიჩნევს (იური მოსინსკი, ვიაჩესლავ ივანოვი). ბერძნულ მითოლოგიაში თოთს შეესაბამება **ჰერმესი**, ეტრუსკულში-თურმსა, რომაულში-მერკური. ფინიკიურ მითოლოგიაში („სანხუნიატონის წიგნი“ – წყარო: ევსევი კესარიელის „რეპარატიო ევანგელიკა“) ღვთაებას ჰქვია თაავთი. მან შექმნა დამწერლობა და დაწერა პირველი თეოგონია „თაავთის წიგნი“ – იგივე „თურმსას წიგნი,“ (ე.ი. თაავთი თურმსაა). „სანხუნიატონის წიგნში“ (სანხუნიატონი ბერითელი ქურუმია, ცხოვრობდა XII ს.ძვ.წ.აღ) ხაზგასმულია, რომ იკონოგრაფიულად თაავთი გამოისახება ქორის თავით. ამ ღვთაების ქართული შესატყვისია თეთრი ქორი თერგვაული, თავადი თერგვაული, რომელიც არის ქართული თეოგონიის „ღვთიშვილთ დაბადების“ ავტორი. იგი არის მორიგეს კარზე ამბის მიმტანი“. (ე. გაფრინდაშვილი. ტექ. უნივერსიტეტის შრომები. თეზისები 2015). თეთრი მთის ქორი თერგვაულის საბრძანისში სოფ. კისტანში დღეს, ღვთისმშობლის“ სახელობის სალოცავია. კისტანის სახელიც „თეთრ მთის ქორის“ სახელთან და ნაყოფიერებასთან კავშირშია. კისტანი – ქისა (ბარაქის და ხვავის გამცემი) პატარა ჩანთა. ამ სალოცავის თავზეა „საკვირაოს გორი“, სადაც დგას ძველი ციხე-კოშკები. ამ ციხის კედელშია ჩატანებული მეორადი მოხმარების ნიშნიანი ქვებიც. ერთ-ერთზე ორწერტილიანი ჯვარიც გვხვდება (რისი მსგავსიც გრაკლიანშია დაფიქსირებული).



„კვირია“ ნაყოფიერების ღვთაების სახელი ამ სალოცავშიც იხსენიება ოდითგან (ინფორ. ხუცესი გ. ჭინჭარაული 2012 წ. ჩანაწერ.). საკვირაოს გორი კი ღვთაება კვირისათანაა დაკავშირებული. „კვირია, კვირიოლა და გურიოლა“ ლაზურ ყოფაში ცნობილია, ნიგალის ხეობიდან, საახალწლო სიმღერა-ლოცვები. გრაკლიანის წარწერაში „ქორ“ – ნიშნის გამოსახულება თუ სტილიზირებული ფრინველის გამოსახულებაა, მაშინ იგი „ცის“ სიმბოლოც გამოდის, ხოლო საკურთხევლის წინ (ქვევით) „ვერძი“ – დედამიწის სიმბოლო. „ცის“ სიმბოლო მამრობითი ფრინველით

გამოისახებოდა, ხოლო „ქალი" პოხიერი მიწის სიმბოლო ცხოველით-ვერძი, როგორც წმიდა ცხოველია. საქართველოში ამ ცხოველის ქანდაკება ბევრია აღმოჩენილი და ცხვრის ბეწვისგან დამზადებული ნაჭერიც ძალიან ძველია. მთაში, ხატის კარზე მიყვანილ ვერძს „რქაგირგვლიანი" და „რქაჯანგიანი" – ეწოდებოდა (ხატის ენაზე). შუმერულ მთოლოგოსებში, სადაც ჰიეროგაამის ტაძარი იდგა და ქურუმი დიაცი მსახურებდა, ის ცხვართანაა შედარებული, რადგან ის აპოხიერებს ნაღებითა და ერბოთი დასაქორწინებელ წყვილებს, **„გიპარ"** (ბნელი ბადე) საკრალური საქორწინო ადგილია ტაძარში. „შუმერულ გიპარში მსახურება, შეეძლოთ მხოლოდ ქურუმთა კასტის წარმომადგენლებს და ალბათ არა ყველას, არამედ მათ შორის გამორჩეულებს, რომლებიც ამზადებდნენ გიპარის შიგადს საიდუმლო რიტუალისთვის" [1. გვ. 249] ასე იქნებოდა გრაკლიანშიც.

შუმერულ მითოსში თვითონ ტაძარიც შედარებულია „ვერძის რქას", სადაც საუბარია იმაზე, რომ „მისი ტაძრის გიგუნუ აბზუსავით წმიდა ადგილას ამოიზარდა, მის გოდოლს აბზუს წმიდა ბოტკივით რქა გაუბრწყინდა" [1: 122]. გრაკლიანის შემთხვევაშიც საკრალურ ჰიეროგამიურ საქორწინო ტაძარის მსგავს ტაძარს დიდი ძალა და პატივდება ექნებოდა „ოქროს ვერძი" (საწმისი) ძველ ბერძნულ წყაროებში ნაყოფიერებისა და სიუხვის სიმბოლო, კოლხეთთან დაკავშირებით მოიხსენიება, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ვერძი საერთოქართველური კულტია.

„ვერძი" ძველ ბერძნულში ათენას შეესაბამებოდა. საინტერესოა ამ მხრივ, ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ორნამენტი „რქანახარა", რომელიც ამკობდა ხევსური ქალის სათურასა და მანდილს. კოპენებად დაყენებული ვარცხნილობით ჯიხვის იერს იღებდნენ მთის რაჭის მანდილოსნებიც.

ივ. ჯავახიშვილი ვერძს შვილიერებისა და ნაყოფიერების ღვთაებად-მზედ მიიჩნევს. საქორწინო საკიდებად ცხვრის რქებად აღქმული სასაფეთქლეების დანიშნულება პატარძლის ნაყოფიერების ღვთაებასთან გათანაბრების იდეის მატარებელია. დღესაც მთაში ქალის ცოლად მოყვანის „ჯვრისწერის" წინ, ვერძი (თოხლი) „გასახელდება" ხახმატის სალოცავის სახელზე და სწირავენ კიდეც. უძველესი წესი დღემდე ცოცხალია.

ფრინველის გამოსახულება შუმერულში **„ბედის"** (**ნამ**) სიმბოლოა, ანუ ფრინველი ადამიანისთვის ბედის აღმნიშვნელი პიქტოგრამაც იყო [1: 66.] (ქართ. „ნამდვილი" „ბედნიერი", „ბედიანაიმც იქნები").

გრაკლიანში როგორც ზემოთ აღვნიშნეთ აღმოჩენილია ოთხკუთხა საბეჭდავი, ზედ სპირალური მოძრაობის ხაზს ფრთები აქვს დამატებული. ჩვენი აზრით, აქ შეფარულად ღვთაების გამოსახულებაა. მოკლედ, ეს ორივე საკულტო არსება (ფრინველი და ვერძი) უძველესი დროიდან ნაყოფიერების აღმნიშვნელია (მოგვიანებით სახეცვლილი **„ბოჩი"** ღვთაება, მამალი თხა დაფიქსირებულია წარმართულ საქართველოში, როგორც საკულტო ცხოველი).

ქართული სახელწოდება, ქორწილი“ უძველესი „ქორ“ ღვთაების პატივსაცემოდ შემოგვრჩა და ცხვარი კი ქართულად „ცხოვრების“ აღმნიშვნელიც იყო, ასეთია სპეციალისტების აზრი (ა. შანიძე).

გრაკლიანის წარწერაში მეხუთე ნიშანი „ჩ“ – ასომთავრულსაც ჰგავს და ჩვენ „წილ“-ის მსგავსად ამოვიკითხეთ(რადგან ჩ და წ მონაცვლეობს ენაში).





მსგავსი ნიშანი პიქტოგრაფიულ-ხაზოვან ნიშნებსა ჰგავს, კერძოდ, საბერო სახლის კედლის ჩრდილოეთ ფასადის ქვაზე [6: 153].





თრუსოს ხეობის კარატყაუს სალოცავის გვერდთან (ინფ. ადგ. მცხოვ. რ. გუჯარაიძე. პედაგოგი). ასევე ხევსურეთში ხახმატის სოფელში ძველი კიდობნის ნიშნებში [6: 53]. შემდეგი(მეექვსე)მოხაზულობის ნიშანია იბერიულ(პირენეის) დამწერლობის ნიშნებში. წარწერის მეექვსე ნიშანი იბერიულ „ი“-ს ჰგავს და ასევე ასომთავრულ





ანალოგიურ ასო – ფიგურასაც (დაწვენილი ნიშანი). ჩვენ იგი „ილ“ მარცვლად წავიკითხეთ. თავის მხრივ, მას ქვევით მობმული აქვს (მეშვიდე) ასევე იბერიულის „ო“-ს მსგავსი ნიშანი.





ეს უკანასკნელი ძალიან დაბლაა და მიწასთან დამაკავშირებლად ჩანს. მერვე ნიშანი ზედა გასწვრივი ტირეა და იგი ჩვენ „ზე“ მარცვლად დავაფიქსირეთ. გასწვრივი ტირეს ქვევით(მეცხრე) საინტერესო ნიშანია, ქართული „იოტას“ და იბერიული „ბე“ მარცვლის მსგავსი ნიშანი.





ეს ნიშანი ქვევით არის, ქვედა ხაზზე ზის, ან „ამოდის“ და ჩვენ იგი „დაბადების“ შინაარსის სიმბოლოდ აღვიქვით (ბედ), ასეთი დაწვენილი ნიშანი ხახმატის სალოცავის შიგნით ქვაზეა, ადგილობრივი რკალებიანი ჯვრის გვერდით.



იბერიულ ნიშნებშიც ასეთი ნიშანი (მხოლოდ თავით ზემოთ) არის ცნობილი. ჰორიზონტალურ ტირესთან ერთად – ჩვენ ორივე წავიკითხეთ, როგორც „ზებედ“.




მეათე ნიშანი ასომთავრულ „ნ“-ს ჰგავს და იგი მარცვალ „ნა“-დ წავიკითხეთ.



მეათე ნიშნის გვერდზე ასწვრივი ტირე მის დამატებად, როგორც „ერთი“ წავიკითხეთ. ასეთი ტირეები მთის პიქტოგრაფიულ-ხაზოვან ნიშნებშიც გვაქვს და რიცხვის აღმნიშვნელადაც ჩანს (ასეთ ტირე ნიშნებზე თავისი ვერსია ჰქონდა ხეთოლოგ პროფესორ გ. გიორგაძეს. 2002 წ.) [5: 83]. ჩვენ ორივე ნიშანი ერთად „ნაერთ“ წავიკითხეთ. ადგილზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ გამომშრალი თიხა შლადია და მისი პატარა დეტალის მოძრობის შემთხვევაში, თითოეული ნიშანი სხვა ნიშნის გამოსახულებას ემსგავსება

მეათე ნიშანის დამატება(მეთერთმეტე) არის ხაზი (ვერტიკალური ტირე).



შემდეგი (მეთორმეტე) ნიშანი სიმეტრიულია და მთელ სიმაღლეზეა გაკეთებული (ქვედა ნაწილი დეფორმირებულია). იბერიულში მიმსგავსებული სტილიზირებული ნიშანია და „გე“ მარცვალია, ხოლო უძველეს კრეტულ იეროგლიფებში

„ღვთის სახლის“ აღმნიშვნელი იყო [11: 237]. ნიშანს ზედა მხარეს მცირედ ამოტეხილიც აქვს. სიტყვების თანამიმდევრობით ჩვენ „ღვთის სახლის“ და „გე“ მარცვლად წავიკითხეთ. მეცამეტე ნიშანი ძლიერ დეფორმირებული და დამსკდარია. (ჯერ ის არის დასადგენი და ზუსტად გასარკვევი, დეფორმაციამდე რა ფორმის ნიშანი იყო და მერე არქეოლოგიური გათხრების დროს რამდენ ადგილას მოსტყდა ნაპირები გორელიეფურ ნიშნებს).





ამიტომ მასზე ვერსიის გამოთქმისგან ამჟამად თავს ვიკავებთ. ბოლო ნაპირა ნიშანი, თითქმის ისეთივეა რაც თავშია „ემ“ (სარკისებული, სიმეტრიულ დამაგვირგვინებელი) და მთელი წარწერა კომპოზიციურად შეკრული გამოდის. ამ კუთხოვან ნიშნების და მათი განლაგების მსგავსია საქართველოს მთიანეთის პიქტოგრაფიულ-ხაზოვანი ქვის ნიშნები სოფ. ლებაისკარიდან. იქაც ასევე წარწერის თავ-ბოლოშია მსგავსი კუთხოვანი ნიშნები  [6.გვ.61]. დაკვირვებამ აჩვენა, რომ გრაკლიანის წარწერა გამოძერწეს ჯერ და მერე მიუერთეს საკურთხეველს. გამოშრობა კარგად არ იყო დამთავრებული და გორელიეფური ნიშნები დაიწნიხა, დასკდა. ჩვენი ვერსიით, ტექსტი ასეთია: „ემ, ქალ (ძუ) კაც (მამრ) ქორწ (ჩ) ილო, ზებედ ნაერთ გა .... ემ“ თანამედროვე ქართულით ასე გამოდის.




„ამ ქალისა და კაცის ქორწილო, ზებედნიერად გა ..... ამ“.

ქალისა და კაცის სიმბოლოები შეიძლება „დობილთა“ (პატარა ხატები მთაში) ტიპის გამოსახულებებია და მათ კავშირს ლოცავდნენ სიმბოლურად, ან მეორე ვარიანტია, რომ ეს ტაძარი არის ნაყოფიერებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სარიტუალო ტაძარი და თანამედროვე „ჯვრისწერის“ ტოლფასი საწესო ადგილი იყო. ამიერკავკასიის უძველესი ჰიეროგამიის ტაძარი. „ქორის“ და „წილის“ შეკავშირება (წილი – წული, ჩილი – ცოლი). „ქორ“ სინონიმად ჩანს „ჯორ“ (ჯუვარ-ჯვარი) სიტყვასთანაც. გრაკლიანის გეოგრაფიული მდებარეობა ამ უძველეს ტაძარს განსაკუთრებულ ფუნქციას უნარჩუნებდა გვიანობამდე. გრაკლიანის თავზე დაფიქსირებულია, გვიანდელი რომაული პერიოდის ნაგებობის ნაშთები. ამიერკავკასიაში მნიშვნელოვანი ჰიეროგაამის ტაძარი, თავისი არქაული საკულტო მსახურებით და თავის წესების კოსმოგონიურ რიტუალებით, ადგილობრივთა ცხოვრების უმთავრეს რწმენის საკრალურობას გვიჩვენებს (ამას ადასტურებს დღეს არქეოლოგია). ნაყოფიერება საღვთო სამსახურში უმთავრესი დასალოცი იყო.

როგორც ირკვევა, იბერიული (პირენეის) დამწერლობის ნიშნებსა და საქართველოს პიქტოგრაფიულ – ხაზოვან ნიშნებს შორის მსგავსება 60 ერთეულზე მეტია.



ამიტომ მოვიტანეთ ისინი დასამოწმებლად. იბერიული დამწერლობის ნიშნები წაიკითხეს პ. ვილაგრესმა და მ. გომეს მორენომ. [9: 57. 11: 299]. იბერიულში ანბანის რამდენიმე სახეობაა (ანდალუზიური ანუ ტარტესის და იბერიული), თუმცა, მათი მნიშვნელობები ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა[9:75-98]. იბერიული დამწერლობის აზრის გაგება ვერ მოხერხდა, რადგან არც ბილინგვა არსებობს და არც იმდროინდელი ბასკური ისტორიული წერილობითი წყაროები [11:.298-299]. ზოგიერთი ნიშანი ანბანურია, რაზეც მეცნიერები ეჭვობენ, ხოლო უმეტესობა მარცვლოვანია და ეს უფრო სარწმუნოა[10: 75]. იბერიული დამწერლობა ძვ.წ. VI-V საუკუნეებისა და ფინიკიურის და ძვ. ბერძნულის გავლენა ეტყობა (რაზეც ვერ ვიტყვით საქართველოში შემორჩენილ ნიშნებზე). ამ ნახევარკუნძულზე (იბერია) დაფიქსირებულია ანალოგიური გეომეტრიული პეტროგლიფური სიმბოლოებიც. იბერიულ დამწერლობის მიმართ ჩვენში გულგრილი დამოკიდებულებაა და ამაზე მეცნიერულად თითქმის არც უმუშავიათ. ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა ლინგვისტური მონაცემების შედარებების გვერდით ასეთი შედარებებიც რომ გაკეთებულიყო. ყურადღება უნდა გავამახვილო, რამდენიმე იბერიული ნიშნის დასახელებაზე და ქართულ ენაში მსგავს სახელწოდებებს შევადაროთ, მაგ: სამკუთხა ნიშანი „დუ" (იბერ.) და ქართული „ძუ", ვარსკვლავა ნიშანი „ბო" (იბერ.) და ქართული „ბორჯღალა" (მსგავსი ნიშანი), წრეში ჩახატული ჯვარი „დე" (იბერ.) და ქართული „დედამიწა" (ქვეყანა), კუთხის ნიშანი „კა'' (იბერ.) და ქართული „კანტი", „კანჭი" , ოთხკუთხედი შეკრული ნიშანი „ბუ"(იბერ.) და ქართული „ბუდე სახლი", წერტილიანი წრე „გუ" (იბერ.) და ქართული „გუგა თვალი" (ასეთი ორნამენტიც გვაქვს) და სხვა[9:75-98].

ასევე საინტერესოა, ასომთავრული ასოების მოხაზულობაც იბერიულ დამწერლობასთან მსგავსებაში, ასეთი ასოებია ა, ბ, დ, ე, თ, ი, კ, მ, ნ, ო, პ, ს, ქ, ღ, შ, ც, წ, ხ. ასოების ძირითადი ფორმები მსგავსია და ამაზე ადრეც გვქონდა წერილი „ფარული ნიშნები (კრიპტები) და ასომთავრული" [5: 107]. საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილი პიქტოგრამულ-ხაზოვან დამწერლობის თარიღის დადგენა რთულია, რადგან ქვები რამდენჯერმეა გამოყენებული ადრე დანგრეული კედლებიდან. ბოლო მონაცემებით ასეთი ნიშნები უკანაფშავში და პირაქეთ ხევსურეთის სალოცავებში კიდევ აღმოჩნდა, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ასეთი ნიშნიანი ქვები მთელ საქართველოს ტერიტოროაზე იყოს მიმოფანტული.

ამავე დროს, გვაქვს არქეოლოგიური არტეფაქტიც ქვემო სვანეთიდან, კერძოდ სოფ. ხაიშის ძვ. წ. 4 ს. „ქვა-ამულეტი" და რომელზეც ანალოგიური ნიშნებია რაც აღმოსავლეთ მთიანეთში გვაქვს (ნივთი დაცულია მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სადაც ანალოგიური სხვა ქვა-ამულეტებიც არის).



სვანეთის სოფ. იფხის ეკლესიის ფასადზე ანალოგიური კოსმოლოგიური ხასიათის სიმბოლო-ნიშნები დაფიქსირდა.

იბერიული (პირენეის) ნიშნების გარდა, დიდი მსგავსებაა საქართველოში არსებულ მატერიალურ კულტურის ძეგლებზე დაფიქსირებულ ასტრალურ-კოსმოლოგიურ ორნამენტებსა და იბერიის (პირინეის) ნახევარკუნძულზე შემორჩენილ ანალოგიურ სიმბოლო-ორნამენტებს შორის. [10: 75-98] იქაც მსგავს გეომეტრიულ ორნამენტებს ტრადიციულად დღემდე იყენებს მოსახლეობა და თავისი სახელწოდებებიც აქვს.

მსოფლიოს უძველეს კულტურის ხალხთა დამწერლობებში ზოგჯერ ტირე (ხაზები) ჩანს, რაზეც ე. ფეტერი ეტრუსკული დამწერლობის ნიშნებში არსებულ ტირეებზე ამბობდა, რომ მარცვლოვანი დამწერლობის დროს ტირეები მაჩვენებელია იმ [G.GBionamichi. Study Etrusk 1941] დროისა, როცა დამწერლობის ანბანურ წერაზე გადასვლის საფეხური იწყება[11: 573]. გრაკლიანის წარწერის შემთხვევაშიც ტირეები მეორდება და თანაც ნიშნების დამატებად აღიქმება. რაც შეეხება პიქტოგრაფიულ ხასიათს ასომთავრულში, აქაც ჩანს ასომთავრულის წინარე „ხატოვანი“ გამოსახულებები. მეცნიერები სწორედ მიუთითებდნენ ასომთავრულში ხატოვანი ნიშნების კვალზე მაგ. „თ“ და „თვალი“ , „ქ“ და „ქვეყანა“, „ხ“ და „ხარი“ და სხვა. ასომთავრულის წინარე დროის, ისტორიული წერის არსებობაზე ინფორმაციას გვაწვდის ანტონ კათალიკოსი: „არა უწიგნურნი იყვნენ ქართველნი ვიდრე ფარნავაზამდე.....“ („მატიანე შემეცნებათა“).

ცალკე საკითხია გრაკლიანის წარწერის იმდროინდელი ძველი ქართული ენის ფორმების სიზუსტე. რაზეც დღეს ვსაუბრობთ და რა გრამატიკულ ფორმებსაც ვიყენებთ, ასეთი ვერ იქნებოდა იმ დროს. კავშირები, შორისდებულები, პრეფიქსები, სუფიქსები და სხვა მახასიათებლები სიტყვებში ჯერ კიდევ გამოყოფილი ვერ იქნებოდა. (პალეოგრაფიაში ამის დაფიქსირება კიდევ უფრო გვიან ხდებოდა, ვიდ-

რე ენაში) მსგავს მოვლენას ვხედავთ ჩვენს დიალექტურ ენებშიც, სადაც „და“ კავშირი მიბმულია სიტყვაზე „დ“ დამატებით, მაგ: თუშ-ხევსურულ საუბარში („მეად მამაი, წოვიდით მთაჩი“ – მე და მამა წავედით მთაში. თ. რაზიკაშვილი) ზოგიერთი სარიტუალო არქაული ფორმა ქართულ სიტყვებში დღემდეა შემორჩენილი, როდესაც იგივე სიტყვა უძველეს დროში ღვთაებას აღნიშნავდა, მაგ. „ქორწილი“, „ბერიკაობა“, „ალალი“, „დილა“, „ბოსელი“, „ბეღელი“, „კარი“, „ კალო“, „ქალ“, „კაც“ და სხვა. დღეს რაც გვაქვს ჩვეულებრივ სახელწოდებად, ის გადმოღებული ჩანს უძველესი ღვთაებისა და საღვთო წარმოდგენათა სახელწოდებებიდან, ასეთია სპეციალისტების აზრი. ზუსტად მსგავსი სიტუაციაა დეკორულ – სიმბოლურ გამოსახულებებშიც. დღეს არსებული ორნამენტები ძველ დროში საღვთო შინაარსისა და იდეის მატარებელი პიქტოგრაფიულ – ხაზოვანი ნიშნები იყო. გრაკლიანის წარწერაში, რადგან წინ „ქალი“ სიმბოლო დგას, უნდა ითქვას, რომ საქმე გვაქვს, ქალური (მიწიერი) ნაყოფიერების სალოცავთან და ამ სქესის დიდი პატივისცემა იკვეთება, რაც ქართულ შეგნებაში დღემდე ცოცხალია.

და ბოლოს, ცნობილი პალეოგრაფების ძველი ფრაზა: „უცნობი დამწერლობის წაკითხვა ადვილია, დამტკიცებაა ურთულესი“, ჩვენს შემთხვევაშიც მოქმედებს, ჩვენ არ გვაქვს ბილინგვა და ვერ ვამტკიცებთ ჩვენივე ამოკითხულ ტექსტს, მაგრამ ამ ფაქტის არც უარყოფა შეიძლება. ამიტომ „აბსოლიტურ ჭეშმარიტებაზე“ პრეტენზია ნამდვილად არ გვაქვს. ჩვენ ეთნოგრაფიული კვლევების მიხედვით, წარწერის შინაარსის ხასიათი წარმოვადგინეთ. ამ წარწერას კიდევ ბევრი კვლევა სჭირდება და თუ კიდევ სხვა, ასევე უძველესი საკურთხეველი აღმოჩნდება მისი მსგავსი, კიდევ უფრო გამყარდება ჩვენი მონაცემები. კახეთში აღმოჩენილი საბეჭდავებიც (თურდოს ხეობა, თავწყარო, დიდნაური, მელაანი) დამწერლობის წინარე სიმბოლოებად შეიძლება იქნას აღიარებული.

წარმოდგენილი მასალის საფუძველზე გრაკლიანის წარწერა, არქეოლოგიური ნივთები, ადგილობრივი ტოპონიმები და ქართული ეთნოკულტურა, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. მის გამყარებას სათანადო კომპლექსური კვლევები სჭირდება მთელ საქართველოს ტერიტორიაზე და ისტორიულ ლაზეთში. გრაკლიანის წარწერის მნიშვნელობა, როგორც პალეოგრაფიული უძველესი ძეგლისა, ძალიან დიდია, რადგან უძველესი ქართული ეთნოკულტურის კვლევა და დაფასება ჩვენი ძირძველი კულტურის დაფასებაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია. თბილისი 1979.
2. ზ. კიკნაძე, ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა თბილისი 1985.
3. ბ. რუხაძე ჯ. ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში თბ. 1976.
4. გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით ეტიმოლოგიური ლექსიკონი 2002.
5. სვეტიცხოველი.სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი. საგამომცემლო სახლი ტექ. უნივერსიტეტი, თბილისი, 2009 წ.
6. ფარული ნიშნები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (გ. გიგაური). თბილისი 2010.
7. Jose Migel Barandiaran: *José Miguel de Barandiarán, obras completas*, Gran Enciclopedia Vasca, Bilbo, 1976.
8. Jose Migel Barandiaran: *Dictionnaire Illustré de Mythologie Basque*, Michel Duvertek itzulia eta iruzkindua, Ėlkar, Donostia, 1994. ISBN 2-913156-36-3
9. Correa, José Antonio (2004): «Los semisilabarios ibéricos: algunas cuestiones», *ELEA* 4, pp. 75–98.
10. Correa, José Antonio (1992): «Representación gráfica de la oposición de sonoridad en las oclusivas ibéricas (semisilabario levantino)», *AIΩN* 14, pp. 253 -292.
11. Д .Дирингер. Алфавитм.1963

The article deals with the language and alphabet aspects of archaeological artifacts Excavations at Mount Grakliani (XI -. X century BC f..) Specifically, characteristics and origin of the inscription, Where, according to the authors, revealed piktogramicheskie silabnye unit alphabet. Caption purely Ibero-Georgia and its parts (or rather the characters) Coincide not only with petroglyphs Touche-Pshav-Khevsureti, but also with drawings, which are executed in Svaneti during Lifanali holiday.

The authors also correlate Grakliani signs with signs Pyrenees Iberia (Spain), and read the text without a bilingual text. They takh prove that the complex was Grakliani hierogamicheskoy church and the inscription was vipolnena in the name etoy lord.

В статые расматриваються языковые и алфавитные аспекты, археологических артефактов раскопков на горе Граклиани (XI – X вв. до н. е.), А конкретно, особенности и происхождение надписи, где, по мнению авторов, выявляются пиктограмические и силабные единицы алфавита. Надпись чисто Иберо-Грузинская и ей отдельные части (точнее симболы) совпадают не толко с петроглифами Туш-Пшав-Хевсуретии, но и с рисунками, которых исролняли в Сванети во время праздника Лифанали.

Авторы статьи также сопоставляют знаки Граклиани со знаками Пиренеиской Иберии (Испании) и читают надпись, не имея двухязичного тексть. Они такхе доказывают, что в Граклиани был комплекс гиерогамической церкви и надпись была виполнена во имя етой великой владыки.

სარჩევი

წინათქმა 3

პიქტოგრამები და კოსმოლოგია 5

შესავალი 5

პიქტოგრაფიული ნიშნებისა და კოსმოლოგიური
ცოდნის კვალი ქართულ სამყაროში 7

დაკარგული ისტორია
(უძველესი ღვთისმსახურების კვალდაკვალ)..... 34

განსაკუთრებული ნიშანი წერაქვულ დამწერლობაში
(სკრიპტოგრამები) 66

ესპანური და ქართული
პიქტოგრაფიულ-ხაზოვანი ნიშნები 79

ფარული ნიშნები (სკრიპტები) და ასომთავრული 82

ქართული და ლაზური პიქტოგრამები
(წერაქვული დამწერლობა) 102

რას გვიამბობს გრაკლიანის წარწერა 111